3 ოქტომბერი, ორშაბათი, 2011 წ. №11 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თსუ-ის ისტორიაში პირველად, აკადემიური საბჭოს დადგენილებების კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია მოხერხდა

გვ. 4

რა სიახლეებით ხვდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს?

გვ. 2

ყურძნის წიპწის ზეთის წარმოება შესაძლოა საქართველოშიც დაიწყოს

გვ. 6

აბიტურიენტთა არჩევანი

მე-4 გვერდზე

მოგესალმებით,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ! თითოეული თქვენთაგანისთვის წარმატებული, ნაყოფიერი და ქვეყნის საკეთილდღეოდ ღირსეული საქმეების კეთების წელი ყოფილიყოს.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას განსაკუთრებით ვულოცავ პირველკურსელებს, რომელთა ცხოვრებაშიც ახალი ეტაპი იწყება. გისურვებთ, რომ სტუდენტობის ეს საუკეთესო წლები წიგნიერებას, ძიებას და თვითგანათლებას დაუთმოთ, რადგან თქვენი ცოდნა არა მხოლოდ თქვენ, არამედ უნივერსიტეტს და ჩვენს ქვეყნას წაადგება.

სასწავლო წელს ვულოცავ ღირსეულ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც მომავალ თაობებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ. თქვენი ამაგი ქვეყნისთვის ფასდაუდებელია. ღირსეული ადამიანების აღზრდა, სწორედ, თქვენი პროფესიონალიზმის დამსახურებაა. სწორედ ამიტომაც არიან ჩვენი სტუდენტები კონკურენტუნარიანები საქართველოშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც.

უნივერსიტეტს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, რაც სწორი აქცენტების შედეგია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობით უნივერსიტეტი კიდევ უფრო ძლიერი გახდება, ხოლო სტუდენტებს შეძენილი ცოდნა წარმატებული გზის არჩევაში დაეხმარებათ.

დიმიტრი შაშკინი
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

რექტორთან პირისპირ

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და რექტორატს შორის ხიდის გადებას შეეცდება, რათა თითოეული მათგანის აზრი, პოზიცია თუ შეკითხვა რექტორის ყურამდე მივიდეს და თსუ-ის ყველა თანამშრომელმა, პროფესორმა თუ სტუდენტმა ზუსტად იცოდეს პასუხი — მათთვის საჭირბოროტო თუ, ზოგადად, უნივერსიტეტისთვის აქტუალურ საკითხებზე რას ფიქრობს რექტორი. ბატონი ალექსანდრე კვიტაშვილი გულდასმით ისმენს თითოეულის შეკითხვას, რომელსაც ჩვენი რუბრიკის ეგიდით ვსვამთ და მის პასუხებში ყველას შეუძლია ამოიკითხოს კონკრეტული თემით დაინტერესება, პრობლემის გადაჭრისთვის შეთავაზებული გზა და მისეული ხედვა თუ სიახლე მიმდინარე საუნივერსიტეტო პროცესებში.

ეკატერინე კობახიძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

? — აპირებს თუ არა უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილების თანახმად არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსზე გადასვლას და როდის? რა რეორგანიზაციას გამოიწვევს ეს უნივერსიტეტში?

— უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ უკვე გააკეთა განაცხადი, თხოვნა მთავრობის მისამართით, რომ განიხილოს თსუ-ის იურიდიული სტატუსის ცვლილების საკითხი, რაც ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის ნაცვლად მოგვენიჭოს არამომგებიანი სახელმწიფო ორგანიზაციის სტატუსი. ალბათ, ერთი თვის ვადაში ეს გადაწყდება. პარალელურ რეჟიმში ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა წესდებაზე, რომელიც შემდგომ, ასევე, მთავრობის მიერაა დასამტკიცებელი.

ჩვენ გვინდა, რომ უნივერსიტეტში დარჩეს ორივე საბჭო, როგორც აკადემიური, ასევე, წარმომადგენლობითი. გადაიხედება ფაკულტეტების საბჭოების შემადგენლობა და, ალბათ, საბჭოს წევრთა რაოდენობა შემცირდება, რათა თითოეული ფაკულტეტის საბჭო უფრო მოქნილი რგოლი გახდეს.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, თუ რა რეორგანიზაციას გამოიწვევს ეს პროცესი უნივერსიტეტში, მინდა ყველა დავამშვიდო, რომ სტატუსის შეცვლის კვალობაზე ჩვენ არც ადმინისტრაციული და არც აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსების ჩატარებას არ ვაპირებთ. ზოგიერთი გაზეთის საშუალებით გავრცელებული ჭორი იმის თაობაზე, რომ თითქოს ეს ცვლილება გამოიწვევს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამართული კონკურსების გადახედვას, აბსურდი გახლავთ.

მე-3 გვერდზე

პროგრესი, რომლის დანახვაც არ უნდათ?!

ალექსანდრე კვიტაშვილი:
„რატომღაც ქართული პრესა ხელს უწყობს იმ თეორიის გავრცელებას, რომ უნივერსიტეტი მიდის ინერციით. 90-წლიანი ინერცია არ არსებობს. ჩვენ ვსაუბრობთ სწავლის ხარისხზე და იმ ბევრ სხვა ფაქტორზე, რომლის გამოც სტუდენტი სხვა უნივერსიტეტებისგან განსხვავებით თსუ-ს ირჩევს. ერთადერთი, რაც ინერციით მოდის, ეს არის უნივერსიტეტის ლანძღვა, რომელიც რაღაც მოვენტში უნდა მორჩეს. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ერთ-ერთი გაზეთის სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი ის ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც აპრილში მომხდარ გარკვეულ მოვლენას, კერძოდ კი სახელმძღვანელოების თარგმნის პრობლემას უკავშირდება. ჟურნალისტი არ დაინტერესებულა იმ პროცესის მსვლელობით, რაც ამ პრობლემასთან მიმართებაში ჩვენ ვიღონეთ“.

მე-5 გვერდზე

როლანდ თოფჩიშვილი:
ხელისუფლება მოვალეა იცოდეს, რა განწყობილებაა ეთნოსებს შორის, რა ტენდენციები იკვეთება მათთან ურთიერთობის მხრივ. ამ საკითხისთვის ქართველ ეთნოლოგებს დროულად რომ მიექციათ ყურადღება და ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობები სიღრმისეულად შეესწავლათ, შესაძლოა, მთელი რიგი პრობლემები თავიდან აგვერიდებინა. ჩვენ ხელიდან გავუშვით დრო. გვ. 12

თსუ-ის სტუდენტები ქართულ ენას რეგიონებში ასწავლიან
გვ. 11

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სტუდენტური თვითმმართველობაც იზრუნებს
გვ. 11

საქართველოს გაქრისტიანების თარიღის დასაბუთებისთვის
გვ. 15

ქრონიკა
გვ. 7-10

FACEBOOK - ᲘᲜᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘᲕᲘ

- ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲓᲔᲡ — **104 ᲮᲛᲐ**
- ᲨᲔᲕᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ — **95 ᲮᲛᲐ**
- ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲡᲙᲐᲛᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲠᲙᲔ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲨᲘ — **81 ᲮᲛᲐ**
- ᲓᲐᲒᲕᲘᲓᲒᲘᲗ ᲧᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲤᲝᲘᲔᲔᲑᲨᲘ — **79 ᲮᲛᲐ**
- ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲨᲘ — **67 ᲮᲛᲐ**
- „GOOD FOOD"-ᲨᲘ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲔᲜᲘᲣ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲜ — **50 ᲮᲛᲐ**
- ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲝᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ — **29 ᲮᲛᲐ**
- ᲓᲐᲘᲓᲒᲐᲡ ᲐᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲦᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲨᲘ — **27 ᲮᲛᲐ**
- ᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲘᲓᲝᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ — **12 ᲮᲛᲐ**
- ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲘᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝᲜ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲮᲘ ᲙᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ — **10 ᲮᲛᲐ**
- ᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲜ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ — **9 ᲮᲛᲐ**
- ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲫᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ — **9 ᲮᲛᲐ**
- ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲚᲓᲔᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ — **9 ᲮᲛᲐ**

ეს გახლავთ Facebook-ზე ამჯერად დარეგისტრირებული 2911 სტუდენტიდან გარკვეული ნაწილის სურვილები, რომლებიც სოციალურ ქსელზე — Facebook-ზე გახსნილ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქტორის „პროფილის" საშუალებით მოგვაწოდეს. სწორედ ამ სიახლის შეთავაზებას ითხოვენ ისინი უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ახალი სასწავლო წლიდან. შესაძლოა მათი სურვილები თუ პრეტენზიები ნაწილობრივ უკვე დაკმაყოფილებულიცაა, ან ამ საკითხების მოგვარებას ისედაც აპირებს ადმინისტრაცია პირველი კორპუსის გახსნის შემდეგ, მაგრამ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" აღნიშნული ჩამონათვალი იმიტომ მოხვდა, რომ ვიცოდეთ — რამდენად სერიოზულია ის მოთხოვნები, რასაც სტუდენტები აყენებენ, ასევე, რა ფანტაზიები აქვთ მათ და რომელ საკითხს შეიძლება იუმორითაც მივუდგეთ.

კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით ჩვენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გავესაუბრეთ და მათ პასუხებში ზოგიერთი საკითხის გადაჭრის ტენდენცია ამოვიკითხეთ.

როგორც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში გვითხრეს, ახალგაზრდები მათ, ძირითადად, სტუდენტის სტატუსის განსაზღვრის, აღდგენის, შეწყვეტის, სწავლის საფასურის გადახდის ვადის გადატანის და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მოთხოვნით მიმართავენ.

„სასწავლო დეპარტამენტში შემოსულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ საკითხზე რეაგირება, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხდება მაქსიმალურად მცირე დროში. სტუდენტების სურვილების დაკმაყოფილება, ისევ და ისევ, დამოკიდებულია დასმული საკითხის სპეციფიკაზე. თითოეული განცხადება საჭიროებს ინდივიდუალურ შესწავლას, ზოგ შემთხვევაში ხდება მოკვლევის ჩატარება, რაც თავისთავად მოითხოვს გარკვეულ დროს. მაგალითისათვის, თუ სტუდენტის მიერ დაწერილ განცხადებას თან ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ასეთ შემთხვევაში განცხადებაზე რეაგირება მაშინვე ხდება", — გვითხრა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის განყოფილების უფროსმა ელისო ბუალავამ.

სტუდენტების მოთხოვნის პასუხად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით გამდიდრებაზე. მიმდინარე წელს თსუ-მ 2500 საბიბლიოთეკო ერთეული შეიძინა.

„ახალი წიგნები როგორც მხატვრული, ასევე, სამეცნიერო ხასიათის გახლავთ, მათ შორისაა ინგლისურენოვანი ლიტერატურაც. მიმდინარე წლის გაზაფხულზე მემორანდუმი გაფორმდა 5 გამომცემლობასთან, რომელთა მიერ გამოშვებული წიგნებიც საჩუქრად გადმოეცემა ჩვენს ბიბლიოთეკას. ამასთან, ახლად შემოსული წიგნებიც პერიოდულად ემატება ახალ, ელექტრონულ ბაზას, რომლის ნახვაც უნივერსიტეტის საიტის მეშვეობით არის შესაძლებელი. უნივერსიტეტს ამერიკელებმა საჩუქრად გადმოსცეს ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემული სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ლიტერატურაც, რომელიც სულ მალე შეემატება ბიბლიოთეკის ფონდს და, აგრეთვე, განთავსდება ელექტრონულ ბაზაში.

უახლოეს პერიოდში კი ფაკულტეტები საჭირო ლიტერატურის შესაძენად ტენდერს გამოაცხადებენ", — აღნიშნა ჩვენთან საუბარში თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

როგორც გავარკვიეთ, უახლოეს პერიოდში თსუ-ის ბიბლიოთეკებში ასლის გადამღები აპარატებიც დაიდგმება.

P.S. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქცია სტუდენტების გამოკითხვას და აქტუალური პრობლემების მოსაგვარებლად მსჯელობას მომავალშიც განაგრძობს. ასე რომ, მიეცით ხმა კორექტულად და სამართლიანად დასმულ საკითხს Facebook-ზე გახსნილ გაზეთის რედაქტორის „პროფილის" გვერდზე და გაზეთში შესაბამის პასუხებსაც შემოგთავაზებთ.

მოამზადა **ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ**

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ახალი სასწავლო წლის დაწყება ყოველთვის ახლის მოლოდინს უკავშირდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზად არის, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს სწავლისა თუ სწავლებისთვის შესაფერისი პირობები შეუქმნას. ადმინისტრაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებას მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესებას ჰპირდება და თითოეული მათგანის მხრიდან წაყენებულ მოთხოვნებზე ადეკვატურ რეაგირებას ცდილობს. რა სიახლეებით ხვდება უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს? — ამის თაობაზე თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ** *გვესაუბრება.*

— თითქმის საუკუნის წინათ, საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ქართულმა საზოგადოებამ უნივერსიტეტის დაარსება იზეიმა. ჩვენთვის, ახლანდელი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის და, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, მეტად მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა კვლავ განახლდა და თავისი არქიტექტურული იერ-სახე დაუბრუნდა. დასრულდა სარემონტო სამუშაოები, რომელიც თანამედროვე სტანდარტების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. განახლებული შენობა ახალი ინვენტარით აღიჭურვება. სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ახალ, ნათელ აუდიტორიებში და სამუშაო ოთახებში გააგრძელებენ მუშაობას, რაც, დამეთანხმებით, ყველასთვის დიდი სტიმულია. ტრადიციულად, პირველ კორპუსს კვლავ დაუბრუნდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ბიბლიოთეკით, სამუშაო კაბინეტებით, ასევე, მუზეუმი და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.

ახალ სასწავლო წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სხვა, არაერთი სიახლით ხვდება. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ინფრასტრუქტურის განვითარებას — ამ მხრივ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მრავალი სასიამოვნი სიახლე ელით. აუდიტორიების განახლება ინვენტარით და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით უნივერსიტეტის სხვა კორპუსებშიც მიმდინარეობს. ეტაპობრივად ვიძენთ კომპიუტერებს, რომლებიც ფაკულტეტებზე გადანაწილდება, შესაბამისად გაიზრდება რესურს-ცენტრების რაოდენობაც.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ უნივერსიტეტს დაემატა ახალი შენობები: ავლაბარში — თეუსუ-ს შენობა, ქუთაისში — ყოფილი თეუსუ-ს შენობა, ასევე რუსთავში, თელეთში... ამის გარდა, რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტის შენობა და სხვა, ამიტომ მათ კეთილმოწყობაზეც უნდა ვიზრუნოთ. ამ მიმართულებით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს, მაქსიმალურად მოგვარდეს იქ არსებული პრობლემები და შევქმნათ სწავლისა და მუშაობისათვის შესაბამისი გარემო. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ დაზიანებული სახურავების გადახურვას. ამჟამად ყველა შენობა მწყობრშია. ჩვენი ყველა ფაკულტეტის სტუდენტი უკეთეს პირობებში გააგრძელებს სწავლას უნივერსიტეტში. ამგვარი სამუშაოები ჩვენთან ყოველწლიურად მიმდინარეობს, თუმცა, ამჟამად მან უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ საუკეთესო სტუდენტები, ტრადიციულად, კვლავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ. წელსაც, როგორც ყოველთვის, მთლიანად შეივსო ჩვენი კონტინგენტი როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში — ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ მათ უნივერსიტეტში სათანადო პირობები შევუქმნათ. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს უნივერსიტეტში მრავალი საინტერესო, მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამაა, რომელსაც პროფესიონალი პროფესორ-მასწავლებლები ხელმძღვანელობენ. ამიტომ, ჩვენ ნამდვილად გვაქვს იმის პრეტენზია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კონკურენციის პირობებშიც კი პირველობას შეინარჩუნებს.

მოამზადა **ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲣᲠᲡᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲛᲝᲬᲧᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ?!

20 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე რეგისტრაციის გრძელ რიგში პირველკურსელთა დაბნეულ გამომეტყველებას წააწყდებოდით. სარეგისტრაციო ოთახიდან გამოსვლის შემდეგ კი ისინი შედარებით თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ და უკვე ხალისიანადაც გვესაუბრებოდნენ იმ თემაზე, რომ ამ უნივერსიტეტში ჩარიცხვით ოცნება აუხდათ — გახდნენ საქართველოში ყველაზე დიდი ისტორიის მქონე, პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

26 სექტემბრიდან უნივერსიტეტში აკადემიური რეგისტრაცია დაიწყო. მართალია, პირველკურსელები, ჯერჯერობით, ვერც რეგისტრაციის თავისებურებებსა და კრედიტების სისტემაში ერკვევიან და საგნების არჩევის სირთულეებსაც პირველად წააწყდნენ, მაგრამ ტუტორების დახმარებით ნელ-ნელა ერკვევიან, როგორ დაგეგმონ საკუთარი სასწავლო პროგრამა ისე, რომ სასურველ პროფესიას საფუძვლიანად დაეუფლონ. რეგისტრაცია 3 ოქტომბრამდე გაგრძელდება. სტუდენტებთან გასაუბრება მხოლოდ იმაში გვარწმუნებს, რომ მათ იმედი აქვთ — სწავლის დაწყებამდე დაარეგულირებენ ყველა პრობლემას, „გაჭედილი ბაზებიც" გაიხსნება და სასურველ საგნებსაც აირჩევენ...

ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

რექტორთან პირისპირ

პირველი გვერდიდან

ჩატარებული კონკურსების საფუძველზე სრულ პროფესორთან ფორმდება 6 წლიანი კონტრაქტი, ხოლო ასოცირებულ პროფესორთან 4 წლიანი კონტრაქტი და, აქედან გამომდინარე, ამ პირობების გადახედვას არ ვაპირებთ, მით უფრო, რომ კონკურსებისას ძალიან სკრუპულოზურად ხდება ხალხის შერჩევა.

ერთადერთი, გვეყოლება რეგენტთა საბჭოს მიერ არჩეული თუ დანიშნული და შემდეგ ჩვენი საბჭოს მიერ დამტკიცებული კანცლერი და იმედი გვაქვს, რომ, ჩვენივე მოთხოვნის საფუძველზე, კანცლერის შერჩევის წესთან დაკავშირებული ცვლილება არ შეეხება თავად პიროვნებას, რომელიც დღეს ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს.

ნოდარ ხადური,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი:

? — აიპ-ზე გადასვლა იწვევს უნივერსიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდას. როგორ ხედავს რექტორი ამ ფონზე ფაკულტეტების ფინანსურ ავტონომიას ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, რათა ფაკულტეტების ბიუჯეტები არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ ხელფასებზე?

— უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილება უდავოდ გამოიწვევს უნივერსიტეტის ავტონომიის ხარისხის გაზრდას, რაც შეეხება ფაკულტეტების ფინანსურ ავტონომიას, ვფიქრობ, საკუთარი ბიუჯეტის განკარგვის საკითხში ფაკულტეტების თავისუფლების ხარისხი კიდევ უფრო გაიზრდება. ზოგ ფაკულტეტს მეტი შემოსავალი აქვს, ზოგს — ნაკლები, თუმცა წელს დიდი ნახტომი გააკეთა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა იმ მხრივ, რომ მისაღები კონტინგენტის გაზრდის ფონზე ამ ფაკულტეტზე წელს, გასულ წელთან შედარებით, 2-ჯერ მეტი, ანუ 800 სტუდენტი მოვა, რაც მის ფინანსურ მდგომარეობას მკვეთრად გამოასწორებს. ჩვენ გვინდა, თითოეული ფაკულტეტი იყოს პასუხისმგებელი იმ ხარჯზე, რასაც გასწევს. აქედან გამომდინარე, მათ გარკვეული ავტონომია საკუთარი ვირტუალური ბიუჯეტის შედგენისას თუ გადაწყვეტილების მიღების კუთხით ექნებათ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უნივერსიტეტი ერთიანი ორგანიზმია და, ამდენად, მის წინაშე ყველას გარკვეული ფინანსური და ნებისმიერი სხვა ვალდებულებაც აქვს.

გიკენტი გაგიძაშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

? — განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად 65 წელს გადაცილებული კონტინგენტი ვერ მიიღებს მონაწილეობას აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უნივერსიტეტს შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. ამდენად რა კონკრეტულ მიდგომას განახორციელებს იგი ამ კონტინგენტის მისამართით? ანუ ელოდება თუ არა 65 წელს გადაცილებულ პროფესორს მხოლოდ სახელმწიფო პენსიის ამარა ყოფნა?

— უნივერსიტეტში ასაკობრივი ცენზის დაწესებას არ ვაპირებთ. სტატუსის შეცლის შემდეგ ჩვენ გვექნება გარკვეული თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების უფლება მომავალში კონკურსების ჩასატარებლად ახალი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების დახვეწის მხრივ. თუკი ადამიანი არის 70-75 წლის და აქვს შესაბამისი უნარი, ინტერესი, საშუალება და სწავლების სურვილი და თუ სტუდენტს აინტერესებს მის ლექციაზე დასწრება, ამ შემთხვევაში, ასაკი არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი.

ემერიტუსების შერჩევის საკითხი კი ცალკე თემაა. გვსურს, რომ სტატუსის ცვლილების შემდეგ შემუშავდეს საერთო საუნივერსიტეტო კრიტერიუმი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ემერიტუსად მოაზრებული პიროვნება. შემდეგ ფაკულტეტებმა, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა დამატებით წარმოგვიდგინონ თავიანთი მოთხოვნა, რაც ერთგვარი ფილტრი იქნება ემერიტუსის შერჩევისას.

ირაკლი კოგანიძე, იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი:

? — ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის წესს არეგულირებს, შესაძლოა საჭიროებდეს შემდგომ დახვეწას. ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ კომისიას არ ევალება საკუთარი გადაწყვეტილების საჯაროდ დასაბუთება და ბუნდოვანია ის კრიტერიუმებიც, რომლებსაც ეფუძნება კომისიის გადაწყვეტილება. შეიძლება თუ არა გადაისინჯოს ეს პროცედურა?

— კრიტერიუმები ბუნდოვანი ნამდვილად არ არის. როცა შეფასების ფურცელი ივსება, იქ ძალიან მარტივად და კონკრეტულად არის ყველაფერი ჩამოწერილი... რაც შეეხება გადაწყვეტილების საჯაროდ დასაბუთებას, არ მესმის ამასთან დაკავშირებით რატომ გაჩნდა პრეტენზიები? კომისია ადგენს ოქმს, რომელსაც კომისიის წევრები ხელს აწერენ და ეს არის საჯარო დოკუმენტი. შემდეგ კომისია საბჭოს აწვდის რეკომენდაციას იმ აკადემიური პერსონალის შესახებ, ვინც მოხვდა შერჩეულთა სიაში, ხოლო თუ რატომ არ მოხვდნენ ზოგიერთები ამ სიაში, ამის სხვაგვარად დასაბუთება, მგონია, რომ მართებული არ იქნება. კომისიის შედეგების თანახმად ისედაც ცხადი ხდება, დღეს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით რატომ აჯობა ერთმა მეორეს, მაგრამ ის, რომ შეფასების კრიტერიუმები აუცილებლად შეიცვლება და კონკურსები ცოტა სხვაგვარად ჩატარდება, ამას ვადასტურებ. ამაზე ზუსტი პასუხი ჯერ არ გვაქვს. აღნიშნულ საკითხზე ყველა მიმართულების და ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით ვმუშაობთ.

იამზე კუტალაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი:

? — რატომ არ მოგვეცა წელს ერთდროულად განაცხადის შეტანის უფლება სრულ პროფესორად და ასოცირებულ პროფესორად არჩევაზე? ასეთ შემთხვევაში დიდი რისკის წინაშე ვდგებით და უნივერსიტეტის გარეთ დარჩენას ვამჯობინებთ არ მივიღოთ მონაწილეობა ცალკე სრული პროფესორის შესარჩევ კონკურსში... გვაინტერესებს თქვენი მოტივაცია...

— ვფიქრობ, საკითხის ასე დასმა მცდარი პოზიციაა. უნივერსიტეტი არ არის დამსაქმებელი კანტორა. თუკი ადამიანს სჯერა იმისა, რომ თავისი მონაცემებით, დამსახურებით თუ გამოცდილებით სრულ პროფესორად არჩევისთვის პირობებს აკმაყოფილებს, განაცხადი შესაბამის ვაკანსიაზე უნდა შემოიტანოს, ხოლო თუკი თვლის, რომ ასოცირებული პროფესორი უნდა იყოს, ამის მისაღწევად უნდა იბრძოლოს. სრულ პროფესორად არჩევაზეც შევიტან განაცხადს და ასოცირებული პროფესორის არჩევაზეც და თუ იქ ვერ გავედი, აქ მაინც გავალ — ასე საკითხისადმი მიდგომა არასერიოზულია. ამიტომ პრინციპი, რაც გვაქვს, იგივე დარჩება.

მერაბ კოკოჩაშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი

? — მიმაჩნია, რომ კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულებაზე მოსულ აბიტურიენტებს უნდა ჰქონდეთ გავლილი შემოქმედებითი ტური ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მიუხედავად, რათა გავარკვიოთ, რა მონაცემები აქვთ მათ შემოქმედებითი თვალსაზრისით? შესაძლებელია თუ არა ეს დამატებითი ტური სტუდენტებს ჩვენი მიმართულების პროფესურამ ჩაუტაროს?

— ამის გაკეთება შესაძლებელია. სტუდენტების ასეთ „ფილტრში გატარება" აუცილებელიც შეიძლება იყოს და მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა საუბარია კინო-ტელე-ხელოვნების მიმართულებაზე. აქ სწავლისთვის განსაკუთრებული ნიჭი მართლაც უნდა გქონდეს. ამიტომ საკითხის ასე დასმა სწორად მიმაჩნია და კითხვის ავტორს შეუძლია განცხადებით მოგვმართოს, შესაბამისად წარმოგვიდგინოს ის კრიტერიუმებიც, რის მიხედვითაც დამატებითი ტურის ჩატარება წარმოუდგენია.

გიორგი გოცირიძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

? — რამდენად არის პერსპექტივაში ამუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო სისტემა კვლევების დასაფინანსებლად?

— ამის პერსპექტივა არსებობს, მაგრამ ამას ფული სჭირდება. უნივერსიტეტს რა ფინანსური რესურსიც ჰქონდა, წელს მთლიანად გამოიყენა. ჩვენ შევძელით იმ კვლევების თანადაფინანსება (დაახლოებით 300-მდე კვლევისა), რომელიც სამეცნიერო ეროვნულ ფონდში იყო წარდგენილი. მოგეხსენებათ, რომ თსუ-ს 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შემოუერთდა. თითოეულის კვლევითი პოტენციალის გათვალისწინებით ამ ინსტიტუტებსაც გარკვეული თანხა სჭირდებათ, ამიტომ ცენტრალიზებული მიდგომაა საჭირო. იმედია, მომავალში გაჩნდება რესურსი, რათა შიდა კონკურსები ჩავატაროთ. მომავალი წლიდან ამის საშუალება უკვე გვექნება.

ეკა სეფაშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

? — იგეგმება თუ არა უნივერსიტეტისათვის ისეთი კომპიუტერული პროგრამის შემუშავება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის, სადაც განთავსდება სასწავლო რესურსები, მაგალითად როგორიც არის სილაბუსები, სტატიები, წიგნები და ა.შ. და, ამავე დროს, სადაც დაცული იქნება ინტელექტუალური საკუთრების უფლებები?

— უნივერსიტეტში ამჟამად კეთდება პორტალი, სადაც ყველა ინფორმაცია განთავსდება. იქნება ორ დონიანი დაცულობა — 1. პორტალის საშუალებით ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის ნებისმიერი საუნივერსიტეტო ინფორმაციის მიღება იქნება შესაძლებელი; 2. პორტალზე განთავსდება ინფორმაცია შიდამოხმარებისთვის, რომლის გაცნობაც უნივერსიტეტის თანამშრომელს, პროფესორსა თუ სტუდენტს პაროლით შეეძლება. ეს საინფორმაციო ბაზა მოიცავს სილაბუსს თუ სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელზეც ხელი მიუწვდება მხოლოდ გარკვეულ კატეგორიას. ეს პორტალი უკვე ტესტირების პროცესშია.

გონდო კუპატაძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი:

? — დარჩება თუ არა ძალაში A-კონტრაქტის სისტემა, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში ამ კონტრაქტით დაკავებულ პროფესორს სხვაგან მუშაობის საშუალებას არ აძლევს. შეიცვლება თუ არა ეს სისტემა?

— გარკვეულწილად, ეს პრინციპი ძალაში დარჩება. პროფესორს, რომელიც უნივერსიტეტში 100 პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს, ანუ საქართველოს შრომის კანონმდებლობის მიხედვით კვირაში 41 საათს აქ ხარჯავს, არ მგონია, ჰქონდეს დრო, უნარი და საშუალება დამატებით ასწავლოს სხვაგანაც. არ ვარ იმის მომხრე, რომ A, B, C და D კონტრაქტები შემოვიღო, მაგრამ რაღაც პრინციპს აუცილებლად დავიცავთ. უნივერსიტეტში დასაქმება არ ნიშნავს მხოლოდ ლექციის კითხვას, აქ საჭიროა როგორც სტუდენტებთან მუშაობა, ისე სამეცნიერო მოღვაწეობა. თუკი ადამიანი

აქ სრული დატვირთვით საქმიანობს, საეჭვოა, რომ სხვაგან მუშაობისთვისაც ეყოს დრო.

ვიცი, რომ ჩვენ გვყავს ისეთი კონტინგენტიც, რომელსაც სხვაგანაც აქვს დატვირთვა. თუკი ადამიანი 1 საათს კითხულობს რომელიღაც კერძო უნივერსიტეტში შაბათ დღეს, ეს ნაკლებად პრობლემატურია, ვიდრე ის, როცა პროფესორი ჩვენს უნივერსიტეტშიც 8 საათს კითხულობს ლექციას და კერძო უმაღლეს სასწავლებელშიც 8 საათიანი დატვირთვა აქვს. ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ ის ანაზღაურება, რომელიც ადამიანმა უნივერსიტეტში სრული სამუშაოს შესრულებისთვის უნდა აიღოს, სწორედ მისი უნივერსიტეტში მომაგრებისთვისაა განკუთვნილი.

ცირა ბარამიძე,
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი:

? — გაიზრდება თუ არა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის ხელფასი? როგორც მოგეხსენებათ, სხვა ფაკულტეტებზე პროფესორის ანაზღაურება ბევრად მაღალია...

— მოგახსენებთ, რომ, მაგალითად, იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორისა და სტუდენტის რაოდენობრივი შეფარდება არის რადიკალურად განსხვავებული, ვიდრე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. იქ არის ნაკლები პროფესურა და მეტი სტუდენტი, ხოლო ჰუმანიტარულზე არის მეტი პროფესურა და ნაკლები სტუდენტი. ამიტომაც არის განსხვავება ხელფასებში. კადრების შემცირების სურვილი კი არ მგონია, რომ ვინმეს ჰქონდეს.

მინდა გითხრათ, რომ ყველაფრის პერსპექტივა არსებობს, გააჩნია, რამდენ თანხას მიიღებს უნივერსიტეტი, შემდეგ კი რამდენს და როგორ დახარჯავს ამ ფულს. რაც უფრო ნაკლები იქნება გაუთვალისწინებელი და გაუმართლებელი ხარჯები, მით უფრო მეტად მოვახერხებთ დასახული ამოცანების მიღწევას — ერთი, რომ გავზარდოთ პროფესორთა ხელფასები და მეორე, რესურსი მივმართოთ კვლევების დასაფინანსებლად.

? — გაიზრდება თუ არა ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი?

— ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების საკითხი მიბმული იქნება იმ სამუშაოს აღწერილობაზე, რასაც კონკრეტული პიროვნება ასრულებს. მისი ხელფასის ზრდის საკითხი დამოკიდებული იქნება წლის განმავლობაში მის მიერვე შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ამის გაზომვის ბევრი საშუალება არსებობს და ამ სისტემაზე ჩვენ უკვე ვმუშაობთ, რათა შემდეგ არ გაჩნდეს კითხვები, თუ რატომ მოემატა ერთს ხელფასი და მეორეს — არა. მომავალი წლის ბიუჯეტში ახალი მიდგომა აუცილებლად იქნება გათვალისწინებული და, ამავე დროს, ყველას მიეცემა პროფესიული წინსვლისა და კარიერის გაუმჯობესების საშუალება.

მოამზადა **ნინო კაკულია**

ცნობისთვის

რეგენტთა საბჭო მიმდინარე წლის 10 აგვისტოს №1618 საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა და მუშაობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეუდგა. რეგენტთა საბჭოს ფუნქციაა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო და ქონებრივი ურთიერთობების კოორდინაცია. აღნიშნულ სასწავლებლებს საბჭო კოორდინაციას „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში გაუწევს.

რეგენტთა საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე თავმჯდომარეობს, ხოლო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, საბჭოს მდივანი ნოდარ სურგულაძე; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი; საქართველოს მთავრობის კანცელარიის მმართველობისა და ეკონომიკურ საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის უფროსი, პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი ვახტანგ ლეჟავა; საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძე; საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე დავით გიორგაძე.

აბიტურიენტთა არჩევანი

აბიტურიენტთა არჩევანი — სწავლა გააგრძელონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მომრავლებულ უმაღლეს სასწავლებელთა შორის თსუ კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას მაღალი ხარისხის განათლების მიცემის მხრივ.

ის ფაქტი, რომ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველადი ჩარიცხვისთანავე შეავსო ყველა ფაკულტეტზე გამოცხადებული ვაკანსია, თავისთავად მეტყველებს უნივერსიტეტის პრესტიჟსა და სანდოობაზე, ხოლო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, შარშანდელ წელთან შედარებით, ამჟამად ჩარიცხულ სტუდენტთა გაორმაგებული რაოდენობა აშკარა ნიშანია იმისა, რომ დაიწყო რევოლუციური სვლა იმ მეცნიერებებისკენ, რომლებმაც ხვალ ქვეყნის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს უნდა გაუხსნას გზა.

100%-იანი გრანტის მფლობელ პირველკურსელთა მრავალრიცხოვნობაც იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ საჯარო სკოლებში მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მქონე აბიტურიენტებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველ ნომრად შემოხაზეს. სტატისტიკის თანახმად: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩარიცხულ 630 სტუდენტს შორის 100%-იანი გრანტი მოიპოვა 65-მა სტუდენტმა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოხვედრილ 800 პირველკურსელს შორის 79 გახდა 100%-იანი გრანტის მფლობელი, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხულ 750 სტუდენტს შორის 127-ია 100%-იანი გრანტის მქონე, მედიცინის ფაკულტეტზე 150 პირველკურსელიდან 100%-იანი გრანტი მოიპოვა მხოლოდ 2-მა სტუდენტმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 650 სტუდენტიდან 131-ია 100%-იანი გრანტის მფლობელი, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩარიცხულ 796 პირველკურსელს შორის 88 სტუდენტია 100%-იანი გრანტის მქონე.

ასე რომ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით თსუ-ში ჩარიცხულ „გრანტოსან“ სტუდენტთა სიმრავლით უნივერსიტეტი ლიდერია საქართველოს მასშტაბით, რაც სწავლების ხარისხის კიდევ უფრო გაუბჯობესებაზე ორიენტაციისკენ გვიბიძგებს.

მოწყენილი სახეები აღარ იქნება?!

100%-იანი გრანტით

მეორე გვერდიდან

ნიკოლოზ გორდელაძე თბილისის 21-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია. სკოლის დასრულების შემდეგ პროფესიის არჩევაზე ბევრი არ უფიქრია, რადგანაც ბავშვობიდან სამართალმცოდნეობით იყო დაინტერესებული. ამიტომაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პირველ ნომრად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ჩაწერა და 100 %-იანი გრანტით საერთაშორისო სამართლის მიმართულების სტუდენტი გახდა.

„ინტერესი ამ სპეციალობისადმი იმანაც გამიღვივა, რომ განაცხადში ვაკანსიები ცოტა იყო, კონკურსი კი — მაღალი. ამან მაფიქრებინა, რომ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულება პრესტიჟული და კონკურენტუნარიანია. სხვა უნივერსიტეტზე არც მიფიქრია — ბევრი მეგობარი მყავს ამ ფაკულტეტზე და ვიცი, რომ ეს არის უნივერსიტეტი, სადაც მაღალი ხარისხის ცოდნის მიღება შემიძლია. საერთაშორისო სამართალის შესწავლა, მართლაც, ჩემი ოცნება იყო. მსურს, მომავალში გერმანიაში განვაგრძო სწავლა და მიღებული ცოდნა აქ, საქართველოში გამოვიყენო მომავალი კარიერისთვის“, — გვითხრა მან.

ნინო ჯღარკავამ თბილისის 63-ე საჯარო სკოლა ვერცხლის მედლით დაამთავრა და 100 %-იანი გრანტით თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მომავალში თავის თავს დიპლომატიაში ხედავს, მაგრამ ისიც იცის, რომ პოლიტიკური მეცნიერებების შესწავლის გარეშე მიზნის მიღწევა გაუძნელდება, ამიტომაც აირჩია ეს მიმართულება. ნინო ფიქრობს, რომ დამატებით სოციოლოგიასაც შეისწავლის, რადგანაც ეს სპეციალობაც შეუწყობს ხელს წარმატებული კარიერის შექმნაში. „უნივერსიტეტის სტუდენტობა მაინც ლექციებთან ასოცირდება, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ აქ ჩარიცხვის შემდეგ სიამაყისა და სიხარულის განცდა ერთად დამეუფლა. უნივერსიტეტი პირველ ნომრად მეწერა, რადგანაც მიმაჩნია, რომ აქ მივიღებ იმ ცოდნას, რაც საბოლოო მიზნის მიღწევაში დამეხმარება“, — განგვიცხადა ნინომ.

გვანცა არზემანაშვილი ქარელის რაიონის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია. მანაც ზუსტად იცოდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი უნდა გამხდარიყო, რადგანაც სამოქალაქო სამართლის შესწავლა სურს. „ამ უნივერსიტეტზე უკეთ ჩემთვის საოცნებო სპეციალობას ვერსად დავეუფლები. მინდოდა სწორედ აქ მესწავლა, რადგანაც კურსდამთავრებულებისგან ბევრი კარგი მსმენია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესზე და სტუდენტურ ცხოვრებაზე. ველოდები, რომ უნივერსიტეტი მაღალი ხარისხის განათლებას მომცემს და წარმატებულ კარიერასაც შევიქმნი. მინდა, ყველა ჩემს თანატოლს ვუსურვო — მოლოდინი გაუმართლდეთ და აქტიური სტუდენტური ცხოვრებით იცხოვრონ“, — განაცხადა გვანცამ, რომელიც რეგისტრაციის დროს უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ გამოჩენილი ყურადღებით კმაყოფილი ჩანდა.

კურსდამთავრებულებისგან ბევრი კარგი მსმენია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესზე და სტუდენტურ ცხოვრებაზე. ველოდები, რომ უნივერსიტეტი მაღალი ხარისხის განათლებას მომცემს და წარმატებულ კარიერასაც შევიქმნი.

აკადემიური საბჭოს დადგენილებები კოდიფიცირებულია

თსუ-ის ისტორიაში პირველად, თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის ინიციატივით, აკადემიური საბჭოს დადგენილებების კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია განხორციელდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უკვე ატვირთულია 2006 წლიდან დღემდე თსუ-ის უმაღლესი მართვის ორგანოს მიერ მიღებული თითოეული სამართლებრივი აქტის მოქმედი კოდიფიცირებული ვერსია. აქამდე უნივერსიტეტის საიტზე ცალ-ცალკე იყო განთავსებული აკადემიური საბჭოს დადგენილებები და მათში შესული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტები, რაც დაინტერესებულ პირებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ მიღებული აქტის საბოლოო და დღეს მოქმედი ვარიანტის მოძიების საშუალებას არ აძლევდა. თსუ-ის უმაღლესი მართვის ორგანოს მიერ მიღებული აქტების კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია თსუ-ის ნორმატიული აქტების რეფორმის ფარგლებში განხორციელდა. აღნიშნული საკითხების შესახებ რექტორისა და აკადემიური საბჭოს მრჩეველი იურიდიულ საკითხებში, სამართლის დოქტორი ვასილ გონაშვილი *გვესაუბრა.*

ნატო ოგოლაძე

— ბატონო ვასილ, რას ითვალისწინებს თსუ-ის ნორმატიული აქტების რეფორმა?

— აკადემიური საბჭო თსუ-ის უმაღლესი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის დადგენილებების შესრულება უნივერსიტეტის ყველა თანამდებობის პირისა თუ სტრუქტურული ერთეულისთვის სავალდებულოა. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი, რომ ნორმატიული აქტების რეფორმა აკადემიური საბჭოს დადგენილებებიდან დაგვეწყო. ეს რეფორმა, უპირველესად, გულისხმობდა ამ დოკუმენტების კოდიფიკაციას, მათ სისტემატიზაციას გარკვეული სფეროების მიხედვით, ასევე, აკადემიური საბჭოს იმ დადგენილებების გაუქმებას, რომლებიც უკვე ძალადაკარგულია.

— რას გულისხმობს აკადემიური საბჭოს დადგენილებების კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია?

— დღემდე აკადემიური საბჭოს თითოეული დადგენილება და თითოეულ მათგანში შესული ცვლილებების ამსახველი აქტები ცალ-ცალკე იყო განთავსებული. შესაბამისად, რთული იყო მისი საბოლოო ვარიანტის მოძიება. კოდიფიკაციის შედეგად კი ყველა დადგენილებაში აისახა მათში შესული შესწორებები და თსუ-ის ვებ-გვერდზე მოქმედი ვერსია აიტვირთა. სისტემატიზაცია გულისხმობს აკადემიური საბჭოს დადგენილებების გარკვეული დარგების მიხედვით დაყოფას. აქტები გადანაწილდა 4 ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროს გათვალისწინებით: 1. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასერტიფიკატო კურსების დამტკიცების შესახებ დადგენილებები, რომლებიც მოიცავს 2006 წლიდან ამ დრომდე უნივერსიტეტში ყველა სასწავლო პროგრამის, სასწავლო და სასერტიფიკატო კურსის დამტკიცებას; 2. აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და პირობების თაობაზე — აქ მოცემულია თითოეული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების ანაზღაურების, შრომითი ვალდებულებების საკითხებთან დაკავშირებით მიღებული აქტები; 3. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება და მედლით დაჯილდოება — ამ ნაწილში შესულია სამართლებრივი აქტები სხვადასხვა პიროვნებებისთვის საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოების შესახებ; 4. დადგენილებები აკადემიური პერსონალის არჩევისა და შრომითი ხელშეკრულებების ვადის გაგრძელების შესახებ — ეს სფერო მოიცავს აქტებს აკადემიური პერსონალის ასარჩევი კომისიების

თემის რესპონდენტი
ვასილ გონაშვილი

შექმნის, ამ კომისიის მიერ მიღებული შედეგების დამტკიცებისა და ზოგიერთი პროფესორისთვის არჩევნებამდე ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ. ცალკე გამოყოფილია უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები. ასევე, თსუ-ის ვებ-გვერდზე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის მოცემული აკადემიური საბჭოს დადგენილებები.

რაც შეეხება რეფორმის მესამე ეტაპს, იგი აკადემიური საბჭოს იმ აქტების გაუქმებას გულისხმობს, რომლებიც უკვე აღარ გვჭირდება. ასეთია, მაგალითად, საბჭოს 2009 წლის დადგენილება — „უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარების შესახებ“, რადგან 2010 წელს ამ დოკუმენტის ახალი რედაქცია მივიღეთ. სულ 30-მდე დადგენილება იყო გასაუქმებელი. ისინი კოდიფიცირებული აქტების ბაზაში მაინც დარჩება, თუმცა მითითებული იქნება, რომ ძალადაკარგულია.

— რამდენად მნიშვნელოვანია ეს სიახლე საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის?

— ნორმატიული აქტების რეფორმის განხორციელება უნივერსიტეტის მუშაობით დაინტერესებულ ყველა პირს ინფორმაციის მიღებაში შეუწყობს ხელს, უპირველესად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტების თანამშრომლებსა და სტუდენტებს დაეხმარება. მაგალითად, თსუ-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებს სჭირდებათ დადგენილებები აკადემიური პერსონალის არჩევისა და შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე. რეფორმის შედეგად მათ უკვე აღარ მოუწევთ საჭირო აქტის დიდხანს ძიება და საქმე მნიშვნელოვნად გაუმარტივდებათ. აკადემიური საბჭოს დადგენილებების კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია მნიშვნელოვანია სტუდენტების, მომავალი სტუდენტებისა და იმ დაინტერესებული პირებისათვის, რომელთაც სურთ რაიმე სამართლებრივი შრომითი ურთიერთობა ჰქონდეთ უნივერსიტეტთან. მნიშვნელოვანია, რომ აქტების კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის პროცესი მუდმივად გაგრძელდება. მაგალითად, გასულ კვირას აკადემიურმა საბჭომ რამდენიმე დადგენილებაში ცვლილება შეიტანა, რაც აისახა კოდიფიცირებული აქტების საერთო ბაზაში.

— რაც შეეხება თსუ-ის რექტორის ბრძანებებს, იგეგმება თუ არა მათი კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია?

— რა თქმა უნდა, მომავალში განხორციელდება თსუ-ის სხვა უმაღლესი მმართველობის ორგანოების აქტების და, მათ შორის, რექტორის ბრძანებების კოდიფიკაციაც. მთავარი იყო, ეს პროცესი აკადემიური საბჭოს დადგენილებებიდან დაგვეწყო.

პროგრესი, რომლის დანახვაც არ უნდათ?!

მეორე გვერდიდან

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი გაზეთ „რეზონანსის“ დამატება „მთელ კვირაში“ დაბეჭდილ სტატიას ეხმაურება, სადაც უცხოენოვანი სასწავლო სახელმძღვანელოების თარგმნასთან დაკავშირებით თსუ-ში აქამდე არსებული და უკვე ამჟამინდელი ვითარება სუბიექტურად გაშუქდა. სტატიის ავტორი არ დაინტერესებულა იმ პროგრესით, რაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ითავა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოენოვანი სასწავლო სახელმძღვანელოების თარგმნის საკითხი პრესის ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, რაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე სტუდენტთა გარკვეულმა ჯგუფმა თარგმნის პრობლემა წამოჭრა. მას შემდეგ ,,თარგმნეს“ სახელით ცნობილი სტუდენტური ჯგუფის წევრებსა და თსუ-ის ადმინისტრაციას შორის ორი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნის პროცესის დასაწყებად სპეციალური გეგმა შემუშავდა. გეგმის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთარგმნელობითი ბიურო იქმნება, რომელიც უახლოეს ერთ თვეში აქტიურ მუშაობას შეუდგება.

„ჩვენ შევხვდით ჯგუფ „თარგმნეს“ სტუდენტებს. ისინი ძალიან კონსტრუქციულნი არიან. მოვიფიქრეთ რა უნდა გაკეთდეს. სულ მალე შეიქმნება ძლიერი მთარგმნელობითი ბიურო, რომელიც კოორდინატორის მეთვალყურეობით სტუდენტებს, მაგისტრანტებს დაასაქმებს. ისინი დაიწყებენ სახელმძღვანელოების, რიდერების, სასწავლო ლიტერატურის და ა.შ. თარგმნას და შემდეგ ენების ცენტრი და ლექსიკოგრაფიის ცენტრი უზრუნველყოფს თარგმანის სტილისტურად გასწორებასა და ტექსტების კორექტურას,“ — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზეა. სწორედ ამიტომ, ბიურო მუშაობას ამ ფაკულტეტის სტუდნეტებისთვის საჭირო ლიტერატურის თარგმნით დაიწყებს. თსუ-ის რექტორატში სათარგმნი სახელმძღვანელობისა და რიდერების სია უკვე გადაგზავნილია.

„თსუ-ის რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მთარგმნელობითი ბიუროს შექმნის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეს. ისინი მოძებნიან კომპეტენტურ პირს და უახლოეს ერთ თვეში ბიურო ფუნქციონირებას დაიწყებს.

ამ ეტაპზე, მხოლოდ, ჩვენი ფაკულტეტისთვის საჭირო სახელმძღვანელოები და რიდერები ითარგმნება, მომავალში კი ბიუროს საქმიანობა უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს — თსუ-ის ყველა ფაკულტეტს მოიცავს და, შემდეგ, შეიძლება გარეშე პირებსაც მოემსახუროს, თუმცა ეს უკვე შორეული პერსპექტივაა. ჩვენ თარგმნის პროცესში არ ჩავერთვებით, ამ სამუშაოებს პროფესიონალი მთარგმნელები განახორციელებენ, საინიციატივო სტუდენტური ჯგუფი „თარგმნე“ კი მონიტორინგის ფუნქციებს შეითავსებს,“ — გვითხრა საინიციატივო ჯგუფის „თარგმნე“-ს წევრმა და თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ქეთი მჭედლიშვილმა.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ამირან ბერძენიშვილმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ფაკულტეტთან არსებობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცენტრი, რომლის დახმარებითაც, ამ დროისთვის, 10 აკადემიური ნაშრომია თარგმნილი და თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლების მიერ დაწერილი 20 წიგნია გამოცემული. დეკანის მოადგილე იმ პრობლემების შესახებაც გვესაუბრა, რომელიც თარგმნილი სახელმძღვანელოების გამოცემისთვის აუცილებელ საავტორო უფლებების მოპოვებას უკავშირდება.

სულ მალე შეიქმნება ძლიერი მთარგმნელობითი ბიურო, რომელიც კოორდინატორის მეთვალყურეობით სტუდენტებს, მაგისტრანტებს დაასაქმებს. ისინი დაიწყებენ სახელმძღვანელოების, რიდერების, სასწავლო ლიტერატურის და ა.შ. თარგმნას და შემდეგ ენების ცენტრი და ლექსიკოგრაფიის ცენტრი უზრუნველყოფს თარგმანის სტილისტურად გასწორებასა და ტექსტების კორექტურას

„ნათარგმნი სახელმძღვანელოს გამოსაცემად საავტორო უფლების მოპოვება აუცილებელია, რაც, ზოგ შემთხვევაში, ბარიერს გვიქმნის. მაგალითისთვის გეტყვით, რომ პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა მოიპოვა გრანტი, რათა გვეთარგმნა ენტონი კიდენსის სახელმძღვანელო სოციოლოგიაში. ამ მიზნით შემდგარმა ჯგუფმა წიგნი კი თარგმნა, მაგრამ საავტორო უფლებისათვის წიგნის ავტორმა ისეთი რაოდენობის თანხა მოითხოვა, რომ მას ვერანაირი გრანტი ვერ გასწვდებოდა. ახლა იძულებულნი ვართ, რომ დავბეჭდოთ ამ წიგნის შემოკლებული ვარიანტი,“ — აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ამირან ბერძენიშვილმა.

უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმანის საკითხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი მართლაც

ქეთი მჭედლიშვილი

არის, რათა ქართველ სტუდენტს, უპირველეს ყოვლისა, მშობლიურ ენაზე სწავლის საშუალება მიეცეს. თსუ-ის ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო დურგლიშვილი იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე გვესაუბრება, რაც უნივერსიტეტში უკვე გატარდა: „უახლესი სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა სასწავლო პროცესის ხარიხსის ამაღლებისა და თანამედროვე ტერმინოლოგიით ქართული ენის გამდიდრების აუცილებელი წინაპირობაა. მინდა გითხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ უკვე ბევრი უცხოენოვანი წიგნია თარგმნილი, მათ შორისაა: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გრ. მენქიუს „ეკონომიკის პრინციპები“; ფილიპ კოტლერის „მარკეტინგის საფუძვლები“; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ვებერის „რჩეული ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიაში“; ბენედიქტ ანდერსენის „წარმოსახვითი საზოგადოება“; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის იოჰანეს ვესელსისა და ვერნერ ბოილკეს „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“; რენე დავიდის „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“; მედიცინის ფაკულტეტზე ითარგმნება სახელმძღვანელო – „Lippincott's Illustrated Reviews: Pharmacology“, რომელსაც თსუ-ის გამომცემლობა გამოსცემს და ა.შ.“

ასე რომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლიდან ეს ტენდენცია და უახლესი უცხოენოვანი სახელმძღვანელობის თარგმნის პროცესი უფრო აქტიურად გაგრძელდება. მთავარია, პროგრესი დავინახოთ და ის შედეგი რეალურად მივიღოთ, რასაც სტუდენტები ითხოვენ. და კიდევ, ფაკულტეტებმა დროულად უნდა მიაწოდონ თსუ-ის ხელმძღვანელობას საჭირო სათარგმნი წიგნების ნუსხა.

ცნობარი

აბიტურიენტებს იწვევს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სკოლის მოსწავლეებს საინტერესო სიახლეებს სთავაზობს. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება ახორციელებს ორ პროექტს — თსუ-ის მოსამზადებელი განყოფილება მოზარდებს საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოამზადებს. სწავლა 3 ოქტომბრიდან დაიწყება და 2012 წლის 20 ივნისს დასრულდება. ახალი სასწავლო წლიდან სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში 30 სექტემბრამდე დარეგისტრირდნენ და საგნები უფრო გაძლიერებული პროგრამით შეისწავლონ. თსუ-ის ვებ-გვერდზე მოქმედებს სპეციალური პორტალი, სადაც მოსწავლეები ინტერნეტის საშუალებითაც დარეგისტრირდებიან. მოსწავლეებს არჩეულ საგნებში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თსუ-ის მოსამზადებელ კურსებზე სიარული დაბრკოლების გარეშე შეძლონ, ლექციები სკოლებში გაკვეთილების დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ, 15:00 საათის შემდეგ დაიწყება.

საატესტატო გამოცდებისთვის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები საჯარო სკოლების მოსწავლეებს 8 საგანში მოამზადებენ: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული), ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა. თითოეულ საგანს კვირაში 4 საათი დაეთმობა და თითოეულის ღირებულება 400 ლარით განისაზღვრება, თუმცა, თსუ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ერთზე მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში, მოსწავლეებს საფასურთან დაკავშირებით შეღავათებით სარგებლობაც შეეძლებათ, მაგალითად: 8 საგნის არჩევის შემთხვევაში მოსწავლე 3000 ლარს გადაიხდის, 4 საგნის არჩევის შემთხვევაში — 1500 ლარს, 2 ან მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში კი შესაძლებელია თანხის ეტაპობრივი გადახდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სკოლის მოსწავლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ამავე საგნებში შეუძლიათ მომზადება. ამ შემთხვევაში საგნის ღირებულება 700 ლარი იქნება და თითოეულ საგანს კვირაში 4 საათი დაეთმობა. მოსწავლეების ამ კატეგორიისთვისაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გარკვეული შეღავათები დააწესა. 2 და 3 საგნის არჩევის შემთხვევაში აბიტურიენტი სწავლების ღირებულების 95%-ს, 4 საგნის შერჩევის შემთხვევაში კი 90%-ს გადაიხდის. აღსანიშნავია, რომ თსუ-ში ჩარიცხვის შემთხვევაში აბიტურიენტს გადახდილი თანხის 10% უკან უბრუნდება.

იმ აბიტურიენტთა უმეტესობა, რომელმაც სასწავლო მართვის დეპარტამენტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების მიერ შეთავაზებული პროგრამა შარშან გაიარა, სახელმწიფო გრანტის მფლობელი გახდა და მათთვის პრიორიტეტულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა. ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ რუსუდან სანადირაძემ მოგვაწოდა.

მობილობის პირველადი შედეგი

მობილობის პირველადი შედეგების თანახმად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა რაოდენობა დიდი იყო. მათი ჩარიცხვა მოხდა ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებში მიღებული მაღალი საკონკურსო ქულებისა და, უმეტეს შემთხვევაში, პირველ პრიორიტეტად თსუ-ის მითითებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №662 ბრძანების თანახმად, გამოცხადდა გარე მობილობის ახალი ვადები იმ სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის, რომლებსაც გაუუქმდათ აკრედიტაცია ან ვერ გაიარეს ავტორიზაცია. ვიდრე გარე მობილობის მეორე ეტაპი არ დასრულდება, ძნელია წინასწარი შეფასებების გაკეთება. პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით კი თსუ-ში 704 სტუდენტი გადმოვიდა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლისა და სწავლის გაგრძელების სურვილი დააფიქსირა 26-მდე უმაღლესი დაწესებულების სტუდენტმა, რომელთაგან გადმომსვლელთა რიცხობრივი სიმრავლით შეიძლება გამოიყოს საქართველოს უნივერსიტეტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი და თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი. მობილობის შედეგები დაახლოებით სექტემბრის ბოლოსთვის იქნება ცნობილი. ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ რუსუდან სანადირაძემ მოგვაწოდა.

პოზიცია

სტუდენტს ვასწავლოთ უცხო ენა კარგად

კორნელი კაკაჩია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულების ასოცირებული პროფესორი:

— სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა განვითარება წარმოუდგენელია უცხო, ძირითადად კი, ინგლისური ენის ცოდნისა და გამოყენების გარეშე. თუ გადავხედავთ მსოფლიოში არსებულ რეალობას, ინგლისური ენა თითქმის ყველგან მაღალ დონეზე ისწავლება და საერთაშორისო ენადაც კია მიჩნეული. ფინეთში, დანიასა და სხვა პატარა ქვეყნებში ინგლისური არის მეორე ენა, რომელმაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნების მოდერნიზებას. მიღწევები, რაც მათ აქვთ, სწორედ ამ მოდერნიზების შედეგია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საქართველოში ინგლისურ ენას მშობლიურ ენასთან ერთად, სამართლიანად მიენიჭა მეორე ენის პრიორიტეტი.

იმისათვის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მაღალკვალიფიციური კადრი აღზარდოს, საჭიროა სტუდენტს სწავლების პირველი ეტაპიდანვე შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მან უცხო ენა საფუძვლიანად შეისწავლოს, რათა III-IV კურსებზე თავისუფლად შეძლოს ამ ენებზე ლიტერატურის გაცნობა.

საქმე ისაა, რომ მეცნიერებაში, კონკრეტულად კი ჩვენს დარგში, შესავალი კურსებისა და კლასიკური სასწავლო წიგნების გარდა, შეუძლებელია ყველა სახელმძღვანელო ქართულად თარგმნო, რადგანაც ელემენტარულად ერთ მსოფლიო მნიშვნელობის სამიტს შეუძლია შეცვალოს ბევრი რამ და ლიტერატურაც მოძველდეს. ამიტომ, ჩემი აზრით, უფრო მომგებიანი იქნება სტუდენტს ვასწავლოთ უცხო ენა კარგად, ვიდრე თანხები გადავიხადოთ ახალ-ახალი ლიტერატურის ინტენსიურ თარგმნაში. ისე არავინ გამიგოს, რომ მე ქართულად სწავლის წინააღმდეგი ვარ, პირიქით, ყველა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო უნდა ითარგმნოს და სტუდენტებმა ქართულ ენაზე უნდა ისწავლონ, მაგრამ სრულფასოვანი ცოდნის მისაღებად უცხოენოვან ლიტერატურასთან და ელექტრონულ ბაზებთან ურთიერთობა უნდა შეეძლოთ. ამასთანავე, ენის ცოდნა მათ მაგისტრატურაში სწავლასაც გაუადვილებთ.

ჩვენ ვიცით, რომ უნივერსიტეტი კონკრეტულად ითხოვს B2 დონის ინგლისურის ცოდნას, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტების უმრავლესობამ უკვე ბაკალავრიატშივე უნდა იცოდეს მაღალი დონის ინგლისური. ამისთვის, ჩემი აზრით: 1) უნდა გადაიხედოს უცხო ენის სწავლების პროგრამები და შემუშავდეს ისეთი პროგრამა, რომელიც სტუდენტს ბაკალავრიატშივე შეასწავლის ენას მაღალ დონეზე. ამისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს სასწავლო საათების გაზრდაც; 2) გაფორმდეს ხელშეკრულება რომელიმე ევროპული ენის შემსწავლელ ცენტრებთან (მაგ. ინგლისურის შემთხვევაში ბრიტანეთის საბჭოსთან), რომელიც სტუდენტებს უცხო ენას შეასწავლის.

უფრო მომგებიანი იქნება სტუდენტს ვასწავლოთ უცხო ენა კარგად, ვიდრე თანხები გადავიხადოთ ახალ-ახალი ლიტერატურის ინტენსიურ თარგმნაში.

სწავლის დამამთავრებელ ეტაპებზე კი მათ უნდა შეეძლოთ აირჩიონ უცხოენოვანი კურსები, რაც მათ ენის ფლობის პრობლემასაც მოუგვარებს და ცოდნის შეძენაშიც დაეხმარება.

კომერციალიზაცია

სასარგებლო ზეთი ყურძნის წიპწისგან

ყურძნის წიპწის ზეთის წარმოება შესაძლოა საქართველოშიც დაიწყოს. ამის წინაპირობა უკვე არსებობს, რადგანაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში დასრულდა პროექტი, რომლის შედეგადაც ქართული საღვინე ვაზის ჯიშებიდან მაღალი ხარისხის საკვები ზეთი მიიღეს.

მაია ტორაძე

1993 წელს ამერიკულ კოლეჯში გამართულ კარდიოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო სესიაზე მეცნიერებმა წარადგინეს გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც 56 ქალსა და მამაკაცში, რომლებიც ყოველდღიურად 43 გრამ ყურძნის წიპწის ზეთს მოიხმარდნენ, გულის შეტევის რისკი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ყურძნის პროდუქტის მიღება ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ეს დასკვნა, გარკვეულწილად, ეხმიანება დედამიწის რესურსების რაციონალური გამოყენების მოთხოვნას, რაზეც მეცნიერება კარგა ხანია მუშაობს, რადგან სასარგებლო წიაღისეულისა და ბუნებრივი ნედლეულის (მაგალითად, ყურძნის) უნარჩენო წარმოება სწორედ ამ რესურსების უდანაკარგოდ გამოყენების ხელშემწყობი ფაქტორია.

იმ დარგებს შორის, რომელსაც უდავოდ შეუძლია ნარჩენები ხელახალ წარმოებაში დააბრუნოს, მევენახეობა და მეღვინეობა-ცაა, რადგან ყურძნის ღვინოდ გადამუშავებისას რჩება ე.წ. მეორადი პროდუქტები: კლერტი, ყურძნის ჭაჭა, წიპწა, საფუარის ლექი და სხვა. მათი გადამუშავების შედეგად შესაძლებელია ეთილის სპირტის, ღვინის მჟავას, ყურძნის ზეთის, ანტიოქსიდანტების, უალკოჰოლო და მცირეალკოჰოლიანი სასმელების, ასევე, კოსმეტიკური და ფარმაცევტული დანიშნულების პროდუქტების მიღება. ყველა ეს პროდუქტი ძვირადღირებული და ეკოლოგიურად სუფთაა, ამიტომაც თანამედროვე მეცნიერება ხშირად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყურძნის გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვა მეღვინეობისთვის მომგებიანი, ხოლო საზოგადოებისთვის სასარგებლო წარმოებაა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში განხორციელებული პროექტი — „ქართული საღვინე ყურძნის წიპწიდან ზეთისა და ანტიოქსიდანტების ექსტრაქცია სუპერკრიტიკული CO2-ის გამოყენებით“, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველო, როგორც ვაზისა და ღვინის სამშობლო, კიდევ ერთი იშვიათი პროდუქტის — ყურძნის წიპწის ზეთის მწარმოებელი შეიძლება გახდეს.

ყურძნის წიპწის ზეთი ძვირფასი პროდუქტია და მაღალი საკვები ღირებულება აქვს — მდიდარია ვიტამინით და მონო და პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავებით. ის ძირითადად გამოიყენება საჭმლის დასამზადებლად, სალათებში, მარინადებში, სანელებელ ზეთებში, გამოსაცხობად, კოსმეტიკაში, დამწვრობის საწინააღმდეგო ლოსიონებში, სამასაჟე ზეთებში, თმის მოსავლელ საშუალებებში, სხეულისა და ხელის კრემებში, ტუჩის საცხში. ყველა ამ პროდუქტში ყურძნის ზეთი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ კოსმეტიკურ ინგრედიენტს დაზიანებული და დაჭიმული ქსოვილების რეგენერაციის და კანის დატენიანების თვალსაზრისით. ყურძნის წიპწიდან მიღებული ექსტრაქტები ფლობენ ანტიოქსიდანტურ თვისებებს, რაც გამოკვეთს მათ უნარს — შეამცირონ თავისუფალი რადიკალებით გამოწვეული ზიანი და ოქსიდანტური სტრესი (დამჟანგველი ზემოქმედება), რითაც ამცირებენ სიმსივნის, სისხლძარღვთა დაავადებებისა და ასაკთან დაკავშირებული ქრონიკული დაავადებების რისკს. ანტიოქსიდანტურ ჯგუფებს შეუძლიათ შეინარჩუნონ იმუნური სისტემის ქმედითუნარიანობა, შეაჩერონ დნმ-ის დაზიანება და იქონიონ ანტიკანცეროგენული მოქმედება. ისინი ხელს უშლიან ათეროსკლეროზის, გულის შეტევების, დამბლის, სისხლძარღვთა და სხვა დაავადებებს.

საქართველოში ყურძნის წლიური მოსავალი 170-200 ათასი ტონაა, საიდანაც ღვინის წარმოების შემდეგ ზეთის გამოსახდელად რჩება 15-18 ათასი ტონა მეორადი ნედლეული, რაც, საშუალოდ, 2-2,4 ათასი ლიტრი ზეთის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

ყურძნის წიპწის ზეთს თითქმის ყველა ის ქვეყანა აწარმოებს, სადაც მეღვინეობა ერთ-ერთი წარმატებული დარგია. საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში უკვე იყიდება საფრანგეთის, ჩილეს, იტალიისა და ესპანეთის წარმოების ყურძნის ზეთები, რომელთა ღირებულება საკმაოდ მაღალია. ამ ფონზე ქართველი მეცნიერების მიერ განხორციელებულ პროექტში საინტერესოა სიახლე, რომელიც ქართული საღვინე ჯიშის ყურძნის წიპწიდან ზეთის სუპერკრიტიკული ექსტრაქციით წარმოებას ითვალისწინებს.

როგორც პროექტის მენეჯერმა, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა მზია ციცაგმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ყურძნის წიპწიდან ზეთის მიღების იდეა გაჩნდა 2006 წელს, როცა ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი გიორგი ქვარცხავა სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ინგლისში, ნოტინგემის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, სადაც სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქციებზე მუშაობდნენ. ამავე პერიოდს დაემთხვა სატელევიზიო გადაცემა, რომელშიც ნაჩვენები იყო, თუ როგორ იყრებოდა ყურძნის ნარჩენები ღვინის წარმოების შემდგომ და გაჩნდა იდეა, შესწავლილიყო საქართველოში ღვინის წარმოების ნარჩენებიდან სუპერკრიტიკული ექსტრაქციით (CO2-ის გამოყენებით) ზეთის მიღების შესაძლებლობა. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ჯიშის ყურძნის წიპწა განსხვავებული რაოდენობით შეიცავს ზეთს. განსხვავებულია მათი საკვები ღირებულებაც.

მზია ციცაგი: „ცხადია, შევისწავლეთ ლიტერატურა და პირველ ამოცანად დავისახეთ — დაგვედგინა, მიზანშეწონილი იყო თუ არა ქართული ჯიშის ყურძნის წიპწიდან სუპერკრიტიკული ექსტრაქციით ზეთის გამოყოფა. შერჩეულიყო როგორც ექსტრაქციის, ასევე, ნედლეულის შენახვის ოპტიმალური პირობები ისე, რომ მიღებულ პროდუქტს არ დაეკარგა სასარგებლო თვისებები.

შეირჩა ოთხი ჯიშის ყურძენი: რქაწითელი, ალადასტური, საფერავი და იზაბელა (დასავლეთ საქართველოს კულტურებიდან). აღმოჩნდა, რომ ღვინის წარმოების შედეგად დარჩენილი სათანადოდ გამომშრალი ნედლეულის გადამუშავება ერთი წლის განმავლობაში დანაკარგის გარეშეა შესაძლებელი. ჩვენ მიერ შერჩეული სუპერკრიტიკული CO2-ით ექსტრაქციის უპირატესობა ისაა, რომ CO2-ის აორთქლების შემდეგ დარჩენილი ზეთი ბუნებრივ მდგომარეობას ინარჩუნებს“.

საქართველოში ყურძნის წლიური მოსავალი 170-200 ათასი ტონაა, საიდანაც ღვინის წარმოების შემდეგ ზეთის გამოსახდელად რჩება 15-18 ათასი ტონა მეორადი ნედლეული, რაც, საშუალოდ, 2-2,4 ათასი ლიტრი ზეთის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

როგორც ცდებმა დაადასტურა, მეცნიერების მიერ შერჩეული 4 ჯიშის ყურძნიდან მიღებული ზეთის ქიმიური შემადგენლობა ყურძნის ჯიშის მიხედვით მცირედ იცვლება. მეცნიერთა თქმით, წიპწაში ზეთის შემცველობა 10 პროცენტიდან 17 პროცენტამდე მერყეობს ჯიშის, კლიმატური პირობების და ადგილმდებარეობის მიხედვით.

ქართველ მეცნიერთა მიერ გამოყენებული მეთოდი — წიპწიდან ზეთის მიღება სუპერკრიტიკული CO2-ის გამოყენებით განსხვავდება ზეთის მიღების სხვა ტექნოლოგიებისაგან. მზია ციცაგის თქმით, მნიშვნელობა აქვს, რა ხერხით და გამხსნელებით მიიღება ეს პროდუქცია. თუ ის სათანადო ტექნოლოგიით არ არის დამუშავებული, მისი საკვებად გამოყენება არ შეიძლება. „არსებობს ზეთის მიღების სხვადასხვა სამრეწველო ხერხი, მათ შორის წიპწის დაპრესვა, რაც გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის. კერძოდ, ცხელი დაპრესვით ის სასარგებლო თვისებებს კარგავს, ანუ არ ინარჩუნებს ბუნებრივ მდგომარეობას, ცივი დაპრესვით კი პროდუქტი ხარისხიანია, მაგრამ მცირე რაოდენობის ზეთი მიიღება. ამასთან, თუ სხვა (მაგალითად, მზესუმზირის, სოიოს) ზეთების მრავალჯერადი გამოყენება პროდუქტის შესაწვავად მავნებელია, ყურძნის წიპწის ზეთის რამდენჯერმე გამოყენების შემდეგაც კი არ წარმოიქმნება ჯანმრთელობისთვის საშიში კანცეროგენული ნივთიერებები. ის შესაძლებელია გამოვიყენოთ დაბალკალორიულ დიეტებშიც. გარდა ამისა, ჩვენს მიერ შერჩეული მეთოდით მიღებული ყურძნის წიპწის ზეთი რაფინირებას არ საჭიროებს“, — აღნიშნა მზია ციცაგმა.

სამეცნიერო პროექტი „ქართული საღვინე ყურძნის წიპწიდან ზეთისა და ანტიოქსიდანტების ექსტრაქცია სუპერკრიტიკული CO2-ის გამოყენებით“ 2010 წელს დასრულდა. მეცნიერთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატები — მზია ციცაგი (პროექტის მენეჯერი), გიორგი ქვარცხავა (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), მარიამ ჩხაიძე, მირანდა ხაჩიძე, ირმა ჯინიყაშვილი, ქეთევან ებრალიძე და პროექტის კონსულტანტი, საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ბადრი არზიანი, უკვე წარადგინა კვლევის შედეგები და ზეთის ნიმუშები სიღნაღში გამართულ პრეზენტაციასა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. აქ ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვლადიმერ ციციშვილმა წარადგინა მოდელური ბიზნეს-გეგმა საქართველოში წიპწის ზეთის წარმოების შესაძლებლობის შესახებ. პრეზენტაციას ესწრებოდნენ როგორც მეცნიერები, ასევე, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებიც. როგორც პროექტის მესვეურებმა გვითხრეს, ზეთის წარმოებით ბევრი მათგანი დაინტერესდა, მაგრამ მის შემდგომ კომერციალიზაციაზე ჯერჯერობით არავის უზრუნია.

მეცნიერთა აზრით, პროექტის შემდგომ ეტაპზე უკვე ბიზნეს-ჯგუფები უნდა ჩაერთონ. „ამ პროექტში ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დიდი თანხა ჩადო. ჩვენ შევასრულეთ აღებული ვალდებულება პროდუქციის შექმნის თაობაზე და მიღებული შედეგები იძლევა საშუალებას, რომ ყურძნის წიპწის ზეთის წარმოება მომგებიანი იყოს. ამას იქით უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეგვიძლია. მიუხედავად ამისა, არ გვსურს პროექტი მხოლოდ სამეცნიერო თაროზე დარჩეს, ამიტომაც ვცდილობთ ბიზნესის დაინტერესებას, რაშიც ინსტიტუტის დირექტორი აქტიურად გვეხმარება“, — აღნიშნა მზია ციცაგმა.

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი სულ რამდენიმე თვეა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა და, ამიტომაც, უნივერსიტეტის როლი ამ პროექტის მიმდინარეობაში ნაკლები იყო, მაგრამ ახალ პროექტში, რომელიც უკვე შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდშია წარდგენილი და ითვალისწინებს „ბუნებრივი საღებავების ექსტრაქციას ბოსტნეულის ნარჩენებიდან“, უნივერსიტეტი ერთ-ერთი თანადამფინანსებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ საბოლოო პროდუქტის მიღების შემდეგ მეცნიერთა ჯგუფს მის კომერციალიზაციაშიც გაუწევს დახმარებას.

P.S. თავის დროზე ალბათ ერთ თვეში მიღებულ მოგებაზე არ უზრუნიათ ფრანგ, ესპანელ, ჩილელ და იტალიელ ბიზნესმენებს, რომლებიც ყურძნის წიპწის ზეთს აწარმოებენ. მოგებას ისინი დღეს ითვლიან, რადგანაც ზეთის ეს სახეობა ერთ-ერთი ძვირი პროდუქტია მსოფლიოს სავაჭრო ქსელში. ალბათ ჩვენმა ბიზნეს-სექტორმაც უნდა გაითვალისწინოს, რომ კაპიტალდაბანდება ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქტის წარმოებაში არა მხოლოდ პრესტიჟის საქმეა...



თუ სხვა (მაგალითად, მზესუმზირის, სოიოს) ზეთების მრავალჯერადი გამოყენება პროდუქტის შესაწვავად მავნებელია, ყურძნის წიპწის ზეთის რამდენჯერმე გამოყენების შემდეგაც კი არ წარმოიქმნება ჯანმრთელობისთვის საშიში კანცეროგენული ნივთიერებები.

ქ რ ო ნ ი კ ა

იენა-თბილისის კლასიკოსების ისტორია

თამარ დადიანი
მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ისტორია იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტთან აკავშირებს. ეს პარტნიორობა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იღებს სათავეს და მას წელს 45 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა საიუბილეო კონფერენცია, რომელიც 14 სექტემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" გაიმართა და რომელზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იენის უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის ისტორია გაიხსენეს.

„იენის უნივერსიტეტთან ჩვენმა თანამშრომლობამ ურთულესი პერიოდი გამოიარა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ იენის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მთლიანად გამოიცვალა, თანამშრომლობა მაინც არ შეწყვეტილა და ის ჩვეულ კალაპოტში გრძელდებოდა. ახალმა ხელმძღვანელობამ არ წაშალა ის ტრადიცია, რაც ჯერ კიდევ 1966 წლიდან არსებობდა. დღეს იენის უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი გერმანიაში. მან ძალიან სწრაფად მოახერხა რეფორმირება აღმოსავლეთ გერმანიის შემოერთების შემდგომ და დღეს საკმაოდ მაღალი დონის სპეციალისტებს ამზადებს.

აღსანიშნავია ამ უნივერსიტეტში კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის მიმართ ინტერესის ხელახალი გაღვივება. იენის უნივერსიტეტის რექტორი კლაუს დიკე და იენის ფილოსოფიის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ჰუნკი პირადად არიან დაინტერესებულნი ძლიერი კავკასიოლოგიური ცენტრის შექმნითა და ყველა იმ ქართველოლოგის მობილიზებით, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო წრეებში მოღვაწეობენ. იენის უნივერსიტეტთან პარტნიორული ურთიერთობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პრესტიჟი და დიდი პატივია," — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

იენის უნივერსიტეტის რექტორმა კლაუს დიკემ უდიდესი შეფასება მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც მნიშვნელოვან სამეცნიერო კერას კავკასიის რეგიონში და მას „ცოდნის ტაძარი" უწოდა.

იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი 1558 წელს დაარსდა. ამ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი 10 ფაკულტეტზე მიმდინარეობს. უნივერსიტეტში სწავლობს 21 000 სტუდენტი, ასწავლის 340-მდე პროფესორი და მოღვაწეობს 6 400 თანამშრომელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იენის უნივერსიტეტთან ხელშეკრულება 1966 წელს გააფორმა. ორი უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის პროგრამაში ერთ-ერთი პირველი ჩაერთო თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. პროგრამის ფარგლებში ქართველი მეცნიერები და სტუდენტები ყოველწლიურად იგზავნებოდნენ იენაში ცოდნის მისაღებად. გერმანიიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოდიოდნენ ის მეცნიერები, რომლებიც კავკასიოლოგიით, კერძოდ კი, ქართველოლოგიით იყვნენ დაინტერესებულნი. ამ ურთიერთობის შედეგად, თსუ-ის კურსდამთავრებული მეცნიერის — ჰაინც-ეინრიხის ინიციატივით, 1973 წელს დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „გეორგიკა", რომელიც აკაკი შანიძის ზედამხედველობით გამოდიოდა და პოპულარიზაციას უწევდა ქართულ სამეცნიერო კვლევებსა და ნაშრომებს.

საიუბილეო კონფერენციაზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა რისმაგ გორდეზიანმა გაიხსენა იმ იენელი და თბილისელი პროფესორების თაობები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორმხრივ ურთიერთობებში. „იენელი პროფესორების: ფრიდმარ კიუნერტისა და ერნსტ გიუნთერ შმიდტის ძალისხმევამ ჭეშმარიტად სანიმუშო შედეგი გამოიღო — ეს გახლავთ ცხრა ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია სიძველეთმცოდნეობაში, რომელთაც უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ფორუმების რეპუტაცია მოიპოვეს. მათ ამგვარი ფორმულით აღნიშნავდნენ: „იენა-თბილისის კლასიკოსები".

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის მჭიდრო მეგობრული კონტაქტებიც, რომლებიც იენელ კოლეგებთან გვაკავშირებდა. სწორედ ამ მეგობრობით იყო მოტივირებული ერნსტ გიუნთერ შმიდტი, როდესაც მან თავისი მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა ჩვენს ინსტიტუტს უანდერძა," — განაცხადა რისმაგ გორდეზიანმა.

იენის უნივერსიტეტთან განსაკუთრებული სამეცნიერო ურთიერთთანამშრომლობა აკავშირებს თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს. აღსანიშნავია, რომ პირველი სტუდენტური გაცვლითი პროგრამა თსუ-სა და იენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებს შორის 1989 წელს განხორციელდა, ხოლო 2006 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ინსტიტუციონალური პარტნიორობის შესახებ. იენის უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთანაც.

საიუბილეო კონფერენციას ესწრებოდნენ იენის უნივერსიტეტის დელეგაცია, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ხელმძღვანელი გოკა გაბაშვილი, გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები.

კონფერენციის დასასრულს, იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტის რექტორს — კლაუს დიკეს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

ორმაგი დიპლომის მიღების შანსი ეკონომისტებისთვის

ნატო ოზოლაძე

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ახალი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდა. პროგრამა სტუდენტების მომზადებას ბიზნესის ადმინისტრირების (,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა") მიმართულებით ითვალისწინებს. მეორე წელს, პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს სტუდენტები იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში (გერმანია) გაივლიან.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესი ინგლისურ ენაზე წარიმართება. ლექციებს ქართველი და გერმანელი პროფესორ-მასწავლებლები ერთობლივად წაიკითხავენ. ლექცია–სემინარები ე.წ. Team Teaching-ის პრინციპით ჩატარდება. სასწავლო პროცესში მაგისტრანტები ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკური ინფორმატიკის, საერთაშორისო საწარმოთა მართვის, ინტერკულტურული ეკონომიკის კომუნიკაციის თეორიებს შეისწავლიან, დაეუფლებიან პროფესიულ უნარ-ჩვევებს და შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, გერმანიაში მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

„ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაზე 12 მაგისტრატი უკვე ჩაირიცხა. მათ მოწვეული პროფესორები წაუკითხავენ ლექციებს. ეს არის მოტივირებული სტუდენტებისთვის შექმნილი პროგრამა და მოხარულნი ვართ, რომ ამ გამოწვევას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვიმედოვნებ, რომ ახალი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა წარმატებული იქნება", — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირების (,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა") წარმატებულ კურსდამთავრებულებს თსუ-სა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომები გადაეცემათ.

„ახალი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა თსუ-სა და იენის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ახალი ეტაპია. მნიშვნელოვანია, რომ ეს არის პირველი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, რომლის კურსდამთავრებულნიც ორმაგ დიპლომს მიიღებენ. სტუდენტებს საშუალებას ეძლევათ — მიიღონ ისეთი განათლება, რაც მათ კონკურენტუნარიანს გახდის საერთაშორისო ბაზარზე", — აღნიშნა ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტის რექტორმა კლაუს დიკემ.

ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაზე მოსახვედრად სტუდენტებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა და ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის გარდა, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნაც მოეთხოვებათ. პროგრამაზე, ყოველ წელს, მხოლოდ 20 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ პროგრამა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით ხორციელდება.

ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 15 სექტემბერს გაიმართა. ღონისძიებაზე იენის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან სასაუბროდ სპეციალური ტელე-ხიდიც მოეწყო.

მოკლედ

ნატოს გენერალური თანაშემწის განაცხადი

ნატო-ს შესახებ საინფორმაციო ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 7 სექტემბერს ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე თავდაცვისა და პოლიტიკური დაგეგმარების საკითხებში ჰუსეინ დირიოზი ეწვია.

შეხვედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე ხოშტარია, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწემ ნატო-საქართველოს ურთიერთობებისა და წლიური ეროვნული პროგრამის შესახებ ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ ალიანსი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

„2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ალიანსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მრავალწლიან პრინციპებს ეფუძნება. ნატო სრულ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტსა და მის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ჩვენ კვლავინდებურად მოვუწოდებთ რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება გააუქმოს", — განაცხადა ჰუსეინ დირიოზმა.

თვითმმართველობის განვითარებისთვის

საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და გერმანიის ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ამავე საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა თსუ-ში გამართულ ერთკვირიან საზაფხულო სკოლაში მიიღეს მონაწილეობა. მუნიციპალური განვითარება, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მთავარი თემა გახლდათ — „მდგრადი განვითარება სამხრეთ კავკასიაში – თეორიიდან პრაქტიკამდე". მხარეებმა საკუთარ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებული პრობლემები განიხილეს და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს. შეხვედრებს თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილიც ესწრებოდა.

საერთაშორისო საზაფხულო სკოლის — „მდგრადი განვითარება სამხრეთ კავკასიაში – თეორიიდან პრაქტიკამდე" ფარგლებში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე მონაწილეებმა საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურიერთთანამშრომლობის დეფიციტზეც ისაუბრეს.

მე-8 გვერდზე

მოკლედ

მეშვიდე გვერდიდან

თვითმმართველობის განვითარებისთვის

ეს ღონისძიება ამ მხრივაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ერთმანეთში არსებული კონფლიქტის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში გამოცდილების გასაზიარებლად აზერბაიჯანისა და სომხეთის თვითმმართველობის წარმომადგენლები ერთ მაგიდასთან დასხდნენ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საკითხებზე მსჯელობა ჩვენი საზაფხულო სკოლის მთავარი ამოცანა იყო. საზაფხულო სკოლის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ ისიც, რომ კომუნიკაცია დაგვემყარებინა მეზობელი ქვეყნების მუნიციპალიტეტებთან, რადგან ასეთი სახის ურთიერთთანამშრომლობით ადგილობრივი თვითმმართველობა უფრო აქტიურად განვითარდება. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ სამხრეთ კავკასიის სამეცნიერო წრეების იმ წარმომადგენლების კავშირის გაღრმავებასაც, რომლებიც მუნიციპალურ საკითხებზე მუშაობენ“, — განაცხადა საზაფხულო სკოლის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იოსებ სალუქვაძემ.

საერთაშორისო საზაფხულო სკოლამ დისკუსია 12 სექტემბერს დაიწყო. პროექტი თსუ-ის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცენტრის, გეოდეზიის ინსტიტუტის, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მინის მართვის, წყლისა და გარემოს რისკის მართვის ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა. ღონისძიება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით გაიმართა.

გრანტი ნორვეგიიდან

თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ (ISET) საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ერლინგ შონსბერგს უმასპინძლა. ნორვეგიის ელჩის ვიზიტის მიზანი იყო საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა, რომლის თანახმადაც თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, გრანტის სახით, 3 მილიონი ნორვეგიული კრონა მიიღო ახალი თაობის ეკონომისტების აღსაზრდელად გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის ეკონომიკის დარგებში.

საქართველოს მხრიდან, საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა ერიკ ლივნიმ, რომელმაც ელჩს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მიღწევები გააცნო.

ნორვეგიის ელჩი ერლინგ შონსბერგი აგრეთვე შეხვდა ISET-ის პროფესორებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს, სადაც მან ხაზი გაუსვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მნიშვნელობას იმ ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების მხრივ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

კონფერენცია

გლობალური დათბობა — კაცობრიობის თავსატეხი

გლობალური დათბობა „გაეროს” მიერ კაცობრიობის ერთ-ერთ მწვავე პრობლემადაა მიჩნეული. თანამედროვე გამოკვლევები ეჭვმიუტანლად ადასტურებენ, რომ ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელ მატებას (1-3°C) მომავალ ათწლეულებში მოჰყვება როგორც მთის, ასევე საფარული მყინვარების ინტენსიური დნობა და, შესაბამისად, ოკეანეების დონის მნიშვნელოვანი აწევა. ეს კი დიდ საშიშროებას შეუქმნის ოკეანის და ზღვისპირა ქვეყნების მოსახლეობას და მეურნეობას. მეცნიერები ამ საკითხზე დიდი ხანია მუშაობენ და ცდილობენ დაადგინონ, რა იწვევს ბუნებაში კლიმატურ ცვლილებებს. ქართველი გეოგრაფები უცხოელ კოლეგებთან ერთად ჩართულნი არიან კვლევებში და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს, თუმცა, გლობალური დათბობის თემა დღემდე კვლავ კაცობრიობის უდიდეს პრობლემად და თავსატეხად რჩება.

თეოფანე დავითაია

შურთხია ბეროშვილი

პირველი ქართველი მეცნიერი, ვინც მიზნად დაისახა გლობალური დათბობის მიზეზებისა და მათი გადაჭრის გზები მოეძებნა, აკადემიკოსი თეოფანე დავითაია იყო, რომელმაც თავისი მეცნიერული მოღვაწეობა კლიმატის თანამედროვე ცვლილების კვლევას მიუძღვნა. ამ მწვავე პრობლემის ძიებაში, მეცნიერთა შეფასებით, მას უთუოდ გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო მასშტაბით. ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში აკადემიკოსმა წამოაყენა ატმოსფეროს გლობალური გაჭუჭყიანების ჰიპოთეზა, როგორც კლიმატისა და მყინვართა რეჟიმის ცვლილებების მნიშვნელოვანი ფაქტორისა. ამ პრობლემამ იგი იმდენად გაიტაცა, რომ გლაციოლოგებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა კავკასიონის მყინვარების კვლევაში. ამ გაბედული ექსპერიმენტით მან დაასაბუთა, რომ მყინვარების ზედაპირზე (როგორც კავკასიონზე, ასევე ალპებში და სხვაგანაც), ბუნებრივ მტვერთან ერთად სამრეწველო მტვერიც გროვდება, რაც მყინვარის ზედაპირზე ინტენსიურ დნობას და მყინვარების უკან დახევას იწვევს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 15 სექტემბერს გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე — „გარემო და გლობალური დათბობა” სწორედ აკადემიკოს თეოფანე დავითაიას 100 წლისთავს მიეძღვნა, რომელზეც გლობალური აზროვნების მეცნიერის კვლევათა საფუძველზე შემუშავებული დასკვნები თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტების, ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტისა და უცხოელ მეცნიერთა მხრიდან გაჟღერდა.

გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის ნანა ბოლაშვილის ინფორმაციით, თეოფანე დავითაიას მეცნიერულ მოღვაწეობაში, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ცენტრალური ადგილი დაიკავა დედამიწის ბუნებრივი რესურსების გამოლევის და ბიოსფეროს სტრუქტურის ტრანსფორმაციის პრობლემებმა. მეცნიერმა დროულად განჭვრიტა დიდი საშიშროება, რომელიც ჩვენი პლანეტის ბიოსფეროს ემუქრება ატმოსფეროში თავისუფალი ჟანგბადის კლებასთან დაკავშირებით. ამ პრობლემას მან მეტად საინტერესო ნაშრომი — „Атмосфера и биосфера - прошлое, настоящее, будущее“ მიუძღვნა, რომელშიც თეოფანე დავითაია აუცილებლად მიიჩნევდა დედამიწის ატმოსფეროს გაზოვან შემადგენლობაზე მონიტორინგის ორგანიზებას და მისი ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებისათვის იგი მეცნიერებს მთელ რიგ ღონისძიებებს სთავაზობდა.

სწორედ ამ აქტუალურ პრობლემებს ეხმიანება სამეცნიერო კონფერენცია — „გარემო და გლობალური დათბობა”, რომელზეც კლიმატოლოგიის, ფიზიკური გეოგრაფიის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სექციების მუშაობის დროს მრავალი საინტერესო საკითხი გამოიკვეთა. გლობალური დათბობის თემატიკას მიუძღვნეს თავიანთი ერთობლივი ნაშრომი — „წყალბადქლორფტორნახშირბადების ხმარებიდან ამოღების ეროვნული პროგრამა” თსუ-ის პროფესორმა ლელა კვინიკაძემ და საერთაშორისო ექსპერტებმა: სულხან სულაძემ და მიხეილ თუშიშვილმა.

სულხან სულაძის ინფორმაციით, გლობალურ დათბობას ბევრი ფაქტორი უძღვის წინ. „ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში მეცნიერულად დასაბუთებული იქნა, რომ წყალბადქლორფტორნახშირბადები ხასიათდებიან ოზონის დაშლისა და გლობალური დათბობის პოტენციალების (ოდპ და გდპ) მაღალი მნიშვნელობით. ამის გამო ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის ოქმისა და კლიმატის ცვლილების შესახებ კიოტოს ოქმის თანახმად, წყალბადქლორფტორნახშირბადები საჭიროა ამოღებული იყოს ხმარებიდან, რათა გამოირიცხოს მათი ემისია ატმოსფეროში. ამ ორი საერთაშორისო ოქმის რატიფიცირების შემდეგ, საქართველომაც აიღო ვალდებულება, რომ ეტაპობრივად შეამციროს და ხმარებიდან საბოლოოდ ამოიღოს ნივთიერებები, რომლებიც წარმოადგენენ სათბურ აირებს და, ამავე დროს, საფრთხეს უქმნიან დედამიწის ოზონის შრეს. ამ მიზნის მისაღწევად 2009-2010 წლებში მონრეალის ოქმთან არსებული მრავალმხრივი ფონდის დაფინანსებით ჩვენს მიერ შეგროვდა შესაბამისი მონაცემები და შემუშავდა წყალბადქლორფტორნახშირბადების ხმარებიდან ამოღების ეროვნული პროგრამა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საქართველოში წყალბადქლორფტორნახშირბადები, ისევე როგორც სხვა ოზონდამშლელი ნივთიერებები, არასოდეს უწარმოებიათ და ყოველთვის დამოკიდებული ვიყავით იმპორტზე. ეს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ჩვენი ქვეყნისათვის ოზონდამშლელი ნივთიერებების და სამრეწველო სათბური აირების ალტერნატიული ნივთიერებებით ჩანაცვლების პროგრამის დროულ და ეფექტურ განხორციელებას,“ — აღნიშნავს სულხან სულაძე.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ქართველი გეოგრაფები სხვა მნიშვნელოვანი პრობლემატიკით დატვირთული მოხსენებებითაც წარსდგნენ, მათ შორის იყვნენ: დალი მუმლაძე (თეოფანე დავითაია და ბიოსფეროს პრობლემები), გივი გაგუა (აკადემიკოსი თეოფანე დავითაია და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის აგროკლიმატოლოგიური გამოკვლევები), ვაჟა გოგიტიძე (შიგნიკახეთში მევენახეობა-მეღვინეობის აგროკლიმატური დარაიონების საკითხისათვის), კუკური თავართქილაძე, ანთაზ ქიქავა, რევაზ სოლომონიძე, ნატო გოგატიშვილი (ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის რეგიონალური ცვლილების თავისებურება საქართველოში), ბაკურ ბერიტაშვილი, ნაილი კაპანაძე (სუფთა განვითარების მექანიზმის დანერგვა საქართველოში), ლიანა ქართველიშვილი, რამაზ მესხია, მარიკა ტატიშვილი, ირინე მკურნალიძე (ელჭექური აქტივობა საქართველოს უღელტეხილებზე), დალი ნიკოლაიშვილი, ოთარ დემეტრაშვილი (გლობალური დათბობის გავლენა საქართველოს დალნდშაფტებზე), მერაბ გონგაძე (რელიეფის ანთროპოგენური ცვლილებები საქართველოში) და სხვანი.

მეექვსე გრძნობით დაჯილდოვებული კლიმატოლოგი

„მოყვარულის კინო-კამერამ დააფიქსირა, როგორ ავიდა იგი მყინვარწვერზე — ეს ნაბიჯი კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მაგრამ იგი ჯიუტად მიიწევდა მაღლა, იქ, სადაც თოვლი არასდროს დნება. თოვლის ძველ ფენებს გადაუშლელი წიგნის ფურცლებს ადარებდა და ცდილობდა, ამოეცნო დღევანდელი კაცობრიობისათვის თავსატეხი — რა იწვევს კლიმატის ცვლილებებს? მისი უამრავი ნაშრომი სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის ცდაა, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევენ საერთაშორისო დონის მეცნიერები; მის მოსაზრებებს დღესაც იზიარებენ ცნობილი გეოგრაფები და კლიმატოლოგები; მოწაფეები და მეგობრები კი მეცნიერის საოცარ თვისებებზე საუბრობენ... თურმე მას შეეძლო გაესინჯა ღვინო და ამის მიხედვით ზუსტად განესაზღვრა, როგორ ნიადაგზე ხარობდა ვაზი და როგორი კლიმატი იყო იმ წელიწადს. თეოფანე დავითაიას ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, როგორ უნდა გიყვარდეს და ემსახურებოდე შენს სამშობლოს“, — ეს სიტყვა ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს თამაზ გამყრელიძეს, რომელიც მან მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში თეოფანე დავითაიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წარმოსთქვა.

გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, პროფესორ თეოფანე დავითაიას ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა, ქართველი და უცხოელი მეცნიერები დაესწრნენ. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალური ვიზიტით თბილისში ჩამოვიდა საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის პრეზიდენტი როლანდ აბლერი, რომელმაც თეოფანე დავითაიას დამსახურებაზე ისაუბრა და მის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი იმედოვნებს, რომ წლის ბოლოს არქეოლოგებს, კვლევის თვალსაზრისით, სერიოზული შედეგები ექნებათ. არქეოლოგების სამომავლო გეგმები, მისი ინფორმაციით, რამდენიმე ძეგლს უკავშირდება და თვლის, რომ ამ დრომდე მიღებული შედეგები უაღრესად საინტერესოა.

„ჩვენ ვაგრძელებთ სამუშაოებს. დაგეგმილი გვაქვს კიდევ 3 ექსპედიციის ჩატარება, ერთ კვირაში დავიწყებთ სამუშაოებს მცხეთის აღმოსავლეთით — ამ ტერიტორიაზე გაზისა და ნავთობის კორპორაცია სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებს. გამოცხადებული იყო ტენდერი, რომელშიც უპირატესობა ჩვენ მოგვენიჭა და, ახლა, შესაბამისად, იქ შევასრულებთ გადარჩენით სამუშაოებსაც. ამ ეტაპის დასრულების შემდეგ იტალიელ კოლეგებთან ერთად გავაგრძელებთ მუშაობას სოფელ თმოგვის მიდამოებში, სადაც გამოვლენილია ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულის ყორღანების ნაშთები. სხვათა შორის, თავის დროზე, ამ ძეგლს სწავლობდნენ უნივერსიტეტში მოღვაწე არქეოლოგები აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, მაგრამ სამუშაოები აქ, დაახლოებით, ნახევარი საუკუნის წინ შეჩერდა. ახლა ვაპირებთ, რომ ამ ძეგლის კვლევა ისევ უნივერსიტეტმა გააგრძელოს", — აღნიშნა ვახტანგ ლიჩელმა.

მუშაობა გაგრძელდება გრაკლიანის გორაზეც, სადაც ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით არა ერთი გადარჩენითი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო ჩატარდა. ეს უკვე კარგად ცნობილი არქეოლოგიური ძეგლია, რომლის შესახებაც მკვლევარმა მოხსენებები უკვე წარადგინა ევროპის მრავალ სამეცნიერო ცენტრში — პარიზში (ლუვრში, საფრანგეთი), ფლორენციაში (იტალია), უპსალას უნივერსიტეტში (შვეცია), ოქსფორდის უნივერსიტეტში (ინგლისი), ინსბრუკის უნივერსიტეტში (ავსტრია), ნიუნბერგსა და მიუნხენში (გერმანია).

„გრაკლიანი გორა განსაკუთრებული ისტორიული ძეგლია, სადაც, ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტი შეძლებს სათანადო საშუალებათა კონცენტრაციას, რის შედეგადაც ძეგლს ის სახე და სტატუსი მიეცემა, რაც საქართველოში, ჯერჯერობით, ნაკლებად აქვთ არქეოლოგიურ ძეგლებს. საქმე იმაშია, რომ გრაკლიან გორას აქვს როგორც განსაკუთრებული სამეცნიერო მნიშვნელობა, ასევე, შესანიშნავი ტურისტული პოტენციალიც. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი დამოკიდებულება აქვს უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ სანდრო კვიტაშვილს და ამ ჭეშმარიტად საშური სამუშაოების განახლებაც მისი ინიციატივა იყო. თუმცა, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერასაც, რადგან სათანადო კონსერვაციის გარეშე ამ ძეგლების გათხრას არ ვაპირებთ — ჩვენ ხომ საქმე გვაქვს თიხის ქალაქთან, რომელიც, თავისთავად, უიშვიათესი მოვლენაა. ამიტომ, თუ მის გადასარჩენად განსაკუთრებულ ზომებს არ მივიღებთ, სხვაგვარად აზრი არა აქვს გათხრების გაგრძელებას. ჩვენ გვინდა, რომ მომავალ თაობებს სამეცნიერო ინფორმაციასთან ერთად ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული ცენტრიც შევუნარჩუნოთ", — ამბობს ვახტანგ ლიჩელი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲤᲐᲖᲘᲡᲘ — ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲐ

დღემდე იდუმალებითაა მოცული მიწისაგან აღგვილი უძველესი ციხე-ქალაქის — ფაზისის მდებარეობა. თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ვახტანგ ლიჩელის ინფორმაციით, შესაძლოა, უახლოეს მომავალში, ამ ქალაქის საიდუმლოს ფარდა აეხადოს: მიუხედავად იმისა, რომ დღეს რეალურად, არავინ იცის, სად მდებარეობდა ეს უდიდესი კულტურული და სავაჭრო ცენტრი, რომელიც ძველ საბერძნეთსა და რომში თავისი მშვენიერებითა და სიმდიდრით იყო განთქმული და რომელიც გაურკვეველ ვითარებაში განადგურდა, იგი ადრე თუ გვიან მაინც აღმოჩნდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ერთ-ერთი ექსპედიცია, რომელსაც პროფესორი გურამ გრიგოლია ხელმძღვანელობდა (ბატონი გურამი ათეულობით წელია ამ რეგიონის შესწავლითაა დაინტერესებული), სწორედ ფოთის მიდამოებში აწარმოებდა კვლევას. ქართველ მკვლევართა უმეტესობა ამ არეალში ვარაუდობს ძველი ქალაქის — ფაზისის არსებობას. ვახტანგ ლიჩელის ინფორმაციით, ამ არეალის კვლევა მრავალი მხრივ არის საინტერესო: როგორც ბერძნული და რომაული წერილობითი წყაროები მიგვანიშნებენ, ფაზისი ზღვას, მდინარესა და ტბას შორის მდებარეობდა. ეს სამკუთხედი დღესაც არსებობს, მაგრამ დღესდღეობით ამ ,,სამკუთხედში" არაფერი არქეოლოგიური არ იკვეთება.

„ეს ისეთი მეცნიერული ინტრიგაა, რომელიც უკვე 200 წელია, რაც მკვლევარებს აწუხებთ. დღემდე ვერავინ მიიღო ისეთი რეალური შედეგი, რომელიც მეტ-ნაკლებად გასცემდა პასუხს ამ კითხვას – სად მდებარეობს ძველი ქალაქი ფაზისი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ დაწყებული ძიება მხოლოდ არქეოლოგიური კვლევა არ არის, ეს ინტერდისციპლინარული პროექტია, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ არეალის ხელახლა შესწავლას გეოლოგიური და გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, ბუნებრივია, იმ არქეოლოგიური მასალის გამოყენებით, რაც უკვე ცნობილია; ასევე მნიშვნელოვანია ტოპონიმიკური და ეთნოგრაფიული მასალისა და, ისევ და ისევ, იმ წერილობითი წყაროების (სტრაბონი, ფლავიუს არიანე, დიუბუა დე მონპერე და სხვ.) გამოყენება, რაც კარგად არის ცნობილი", — აღნიშნავს საუბარში ვახტანგ ლიჩელი.

თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტმა ამ ტერიტორიაზე მხოლოდ სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა. „კვლევა ფოთის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, რადგან იქ არსებობდა სუსტი, მაგრამ გარკვეული მინიშნება იმისა, რომ შეიძლებოდა გვიანრომაული, ან ადრებიზანტიური ხანის ნაშთები აღმოგვეჩინა. ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ საბჭოთა პერიოდში, აეროპორტის მშენებლობის დროს, გაანადგურეს იქ არსებული ე.წ. დიხა-გუძუბები, რაც იმას ნიშნავს, რომ 4 კოშკი, რომლებიც, სავარაუდოდ, რომაელებს უნდა აეგოთ, მიწასთან გაასწორეს. ამჟამად ეს ადგილები იმდენად დაჭაობებულია, რომ შეუძლებელი გახდა მათი მიკვლევა. აქ ოცამდე თხრილი გავჭერით და გარკვეული არქეოლოგიური მასალა მოვიპოვეთ. მეორე პუნქტი, სადაც ექსპედიციამ იმუშავა, არის პალიასტომის ტბის შემოგარენი. ამ ტერიტორიაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქეოლოგიური ცენტრის ექსპედიცია 20 წლის წინათ მუშაობდა (იმჟამინდელი ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. გამყრელიძე). ამჯერად სამუშაოები უკვე თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით გრძელდება. ტბაში ათასობით კერამიკული ნივთია წყალქვეშ მოქცეული. ჩვენ ჯერჯერობით, დაახლოებით, 1500-მდე ნივთი ამოვიღეთ და მათი სტატისტიკურ-მათემატიკური მეთოდებით დამუშავება დავიწყეთ, რათა შემდგომში მათი ისტორიული იდენტიფიკაცია მოხერხდეს", — აღნიშნა ვახტანგ ლიჩელმა. ეს პირველი ეტაპია. დაგეგმილია დეტალური სატელიტური და კარტოგრაფიული ანალიზიც, რაც მკვლევარებს შემდგომი დასკვნების გაკეთების საშუალებას მისცემთ.

ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲫᲐᲠᲘ

ბრინჯაოს სამკაულები და შრომის იარაღები, თიხის ჭურჭელი, სამარხი ადამიანის ძვლებით და საქონლის კბილები — ეს საგარეჯოში „ივრის ჭალების" სამონადირეო კომპლექსში აღმოჩენილი „წმინდა ფშანის" სამლოცველოს გათხრებისას ნაპოვნი არტეფაქტების მხოლოდ მცირე ნაწილია. თსუ-ის არქეოლოგების გათხრების მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, სამომავლოდ ამ ადგილზე ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ძალზე ღირებული ათი ათასობით ექსპონატის აღმოჩენას ვარაუდობენ.

„წმინდა ფშანის სამლოცველოს" მიგნებაში მეცნიერებს ბუნება დაეხმარა. ადიდებულმა მდინარემ სამონადირეო კომპლექსის მარცხენა ნაპირი მთლიანად გადარეცხა და ისტორიული ძეგლის ნაწილის ფრაგმენტები გამოაჩინა. აღმოჩენის შესახებ ბიზნესმენმა გოგი თოფაძემ, რომლის სამონადირეო კომპლექსის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა ძეგლი, ადგილობრივ ხელისუფლებას აცნობა. გათხრების წარმოება თსუ-ის არქეოლოგთა ექსპედიციამ დაიწყო. ისტორიული ძეგლი ძველი წელთაღრიცხვით მე-13-მე-14 საუკუნეებით თარიღდება და გვიან ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის.

„ფშანის წყაროს ირგვლივ, სადაც სამლოცველო იყო განლაგებული, ძალზე ბევრი შესაწირი მასალაა აღმოჩენილი. ასევეა სხვადასხვა სახის ქოთნები, რომელშიც სავარაუდოდ ღვინო ინახებოდა", — აცხადებს გათხრების ხელმძღვანელი კოტე ფიცხელაური.

უნივერსიტეტის პროფესორი გურამ გრიგოლია ფშანის წყაროს სამკურნალო თვისებებსაც არ გამორიცხავს, რაც, ლაბორატორიული ანალიზით დაზუსტდება.

თსუ-ის პროფესორ-არქეოლოგთა აზრით, აღმოჩენილი ივრის ექსპონატების შესწავლა და ლაბორატორიული ანალიზი დიდ როლს შეასრულებს იმდროინდელი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური სურათის უფრო სრულად აღდგენაში.

მასალა მოგვაწოდა თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ „ᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲒᲘᲙᲐ"

19 სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტარტი აიღო მე-7 საერთაშორისო საზაფხულო სკოლამ — „ენა და ლოგიკა", რომლის მთავარი მიზანია მათემატიკური ცოდნის დონის ამაღლება და ლოგიკის, როგორც მეცნიერების, საერთაშორისო სტანდარტებით სწავლება.

საერთაშორისო საზაფხულო სკოლა, რომელიც „კურტ გიოდელის საზოგადოების" (ავსტრია) მიერ იყო ორგანიზებული, საფრანგეთის „ეკო-ნეტ პროექტისა" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით გაიმართა. 5 დღის განმავლობაში მეცნიერები საფრანგეთის, ავსტრიისა და იაპონიის უნივერსიტეტებიდან ქართველ სტუდენტებს მათემატიკური მეცნიერებების თანამედროვე, ინოვაციურ ხედვასა და მიღწევებზე უკითხავდნენ ლექციებს.

უკვე რამდენიმე წელია საერთაშორისო საზაფხულო სკოლას უშუალო ორგანიზებას უწევს ვენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მატიას ბააზი. მისი რეკომენდაციით 5 ქართველი სტუდენტი სწავლას საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში აგრძელებს.

ქართველ სტუდენტებს უცხოელმა მეცნიერებმა შემდეგი საინტერესო თემები შესთავაზეს: „ჰიბერტის ეპსილონ აღრიცხვა" (მათიას ბააზი, ვენის ტექნიკური უნივერსიტეტი), „ალგორითმების კომპლექსურობა" (სტეფან ჰეთზლი, საფრანგეტის სორბონის უნივერსიტეტი); „უნიფიკაციის თეორია" (თემურ კუცია, ლინცის უნივერსიტეტი, ავსტრია); „ქვესტრუქტურული ლოგიკა" (ჰიროაკირა ონო, იაპონიის ტექნოლოგიებისა და მეცნიერების ინსტიტუტი) „ნატურალური დედუქცია" (მიშელ პარიგო, საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტი) და სხვ.

ხიმური რუხაია

„უკვე მეშვიდე წელიწადია ამ სკოლას ვხელმძღვანელობ. პროექტი საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტებს უცხოელ მეცნიერებთან ურთიერთობები დაამყარონ, სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელონ და უახლეს სამეცნიერო მიღწევებს გაეცნონ. ეს კი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს და ორივე მხარისთვის დადებით შედეგს მოიტანს", — აღნიშნა მატიას ბააზმა.

„საზაფხულო სკოლის ფუნქციონირების შედეგად, თსუ-დან ყოველწლიურად იგზავნებოდნენ სტუდენტები საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. ბატონი მატიას ბააზის რეკომენდაცია კი გარანტი გალხდათ იმისა, რომ იგი პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტი გახდებოდა", — განაცხადა სკოლის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის პროფესორმა ხიმური რუხაიამ.

მე-7 საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ტრადიციულად დატვირთული გახლდათ საინტერესო ლექციებით, აზრთა გაცვლა-გამოცვლით, გამოცდილების გაზიარებით. დაისახა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების გზები და პერსპექტივები.

ღონისძიებების ბოლოს თითოეულ სტუდენტს, როგორც მონაწილეს, სერტიფიკატი გადაეცა.

მასალები მოამზადეს
თ. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ Ნ. ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ქ რ ო ნ ი კ ა

ვაჟა-ფშაველას იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები

2011 წელი იუნესკომ ვაჟა ფშაველას წელიწადად გამოაცხადა. ქართველი მწერლის 150 წლისთავის იუბილის ფარგლებში თსუ-ისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა. 28 სექტემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ვაჟა ფშაველას იუბილესადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის საზეიმო გახსნას უამრავი სტუმარი დაესწრო, მათ შორის, მსოფლიოს 18 ქვეყნის 134 მონაწილე. მკვლევარებმა 29-30 სექტემბერს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე — „მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება“ თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები წარმოადგინეს.

იუბილეს ფარგლებში ლიტერატორის და მკვლევარის ამირან არაბულის წიგნის — „ვაჟკაცობისას ამბობენ“ პრეზენტაცია გაიმართა.

28 სექტემბერს თსუ-ის II კორპუსის ფოიეში, თსუ-ის მუზეუმისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით ვაჟა ფშაველას იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო თსუ-ის მუზეუმში დაცული ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები, რომლებიც ქართველმა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა ვაჟა ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავზე უანგაროდ უსახსოვრეს უნივერსიტეტს.

ღონისძიებას დაესწრო ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმის დირექტორი ლელა რაზიკაშვილიც, რომელმაც აღნიშნა, რომ იუბილესთან დაკავშირებით ღონისძიებების ციკლი მთელი წლის მანძილზე გაგრძელდება.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს სპეციალურ ჩანართს მიუძღვნის შემდეგ ნომერში

თანამშრომლობის მემორანდუმი სკოლებთან

29 სექტემბერს ქ. რუსთავის №24 საჯარო სკოლაში, გასულ სასწავლო წელს რუსთავის სკოლებში ჩატარებული მათემატიკისა და ფიზიკის კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების საზეიმო დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და რუსთავის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის წარმომადგენლების ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი დაესწრო.

დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რუსთავის №24 საჯარო სკოლასა და კერძო სკოლა „მილენიუმს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის მიზანია ერთობლივი აქტივობების ხელშეწყობა, განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობისაკენ მიმართული პროექტების განხორციელება. ხელშეკრულების თანახმად ორივე სკოლის მოსწავლეები თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ,,საბავშვო უნივერსიტეტის” სხვადასხვა დარგობრივ სკოლაში გაწევრიანდებიან და ერთობლივ ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას.

რა გადაწყდა გერმანიაში ერთი ვიზიტით?

ნინო კაკულია

პროფესორები ვ. ვენგი, რ. გველესიანი, ე. ხარაიშვილი, ა.მიკლეი, უ. ჰალბახი, ე. მექვაბიშვილი

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები: რევაზ გველესიანი, ელგუჯა მექვაბიშვილი, ეთერ ხარაიშვილი და ეკა ლეკაშვილი 17-26 ივლისს სამუშაო ვიზიტით ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში (გერმანია) იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,ეკოლოგიური ეკონომიკა და პოლიტიკა“ სამუშაო ვერსიის მომზადება; სემინარის — ,,კრიზისის პრევენციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობების გამომუშავება” და ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმის — ,,კონფლიქტები — კრიზისების პრევენცია — სამშვიდობო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში” ორგანიზების საკითხის განხილვა; ,,თანამშრომლობის სივრცის” პროექტზე ერთობლივი მუშაობის დაწყება; ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ვებ-გვერდის განახლებისა და მისი ინფორმაციული სრულყოფის საკითხებზე გერმანულ მხარესთან შეთანხმება.

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წევრთა ინიციატივით განისაზღვრა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის — „ეკოლოგიური ეკონომიკა და პოლიტიკა“ შემუშავება ეკონომიკის მიმართულებით. აღნიშნულმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ყველა ეკონომიკური სუბიექტის — საოჯახო მეურნეობების, მომხმარებლების, ფირმების და ა.შ. ეკოლოგიურ-ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრება სახელმწიფოებრივ დონეზე. სწორედ ამ პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩაბმულმა ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა, გერმანელი კოლეგების რეკომენდაციით, ბრანდენბურგის მხარეში — გროს გოილში მეცხოველეობის კომპლექსი მოინახულა, სადაც მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო საწარმოში ნარჩენების გადამუშავების საშუალებით ბიოგაზის მიღების ტექნოლოგიურმა პროცესმა, რაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებასთანაა დაკავშირებული.

თავის შთაბეჭდილებას გვიზიარებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ეკა ლეკაშვილი, რომელიც უშუალოდ იყო დაინტერესებული მეცხოველეობის კომპლექსის ფუნქციონირებით. ,,საწარმოს სახელმწიფო სტატუსი აქვს, თუმცა თავის საქმიანობას იგი წარმართავს როგორც კერძო სამეურნეო სუბიექტი. მასში დასაქმებულია 15 ადამიანი. მისი წლიური შემოსავალი შეადგენს 3,2 მილიონ ევროს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ ურთიერთკავშირების გაცნობა, რომელიც აღნიშნულ საწარმოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვადასხვა კვლევით ცენტრებთან გააჩნია. აღსანიშნავია, რომ საწარმოში სტაჟირებას გადიან სტუდენტები, რაც მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენაში ეხმარებათ“, — აღნიშნა ეკა ლეკაშვილმა. მისი ინფორმაციით, ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა ბარუთის მინის წარმოების ქარხანა-მუზეუმი, რომელიც ძველი წარმოების გარშემო ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების გზით მოსახლეობისგან დაცლილი სოფლის აღორძინების კარგ ნიმუშს წარმოადგენს. მეცნიერებმა, ვიზიტის ფარგლებში, მოინახულეს მეთევზეთა დასახლება – ვერდერიც, რომელიც მეთევზეობისა და ტურიზმის განვითარებაზეა ორიენტირებული. სამივე ობიექტის დათვალიერება და უცხოელი მეწარმეების გამოცდილების გაზიარება გერმანიაში მივლინებულ ჯგუფს განსახორციელებელი ამოცანების რეალიზებაში დაეხმარება.

ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა პოტსდამის უნივერსიტეტის გამოყენებითი მეცნიერების უმაღლესი სკოლის პროფესორთან, კონფლიქტოლოგიის დარგში მსოფლიოში აღიარებულ ექსპერტთან დოქტორ ანგელა მიკლეისთან. პროფესორმა მიკლეიმ ქართულ დელეგაციას შესთავაზა ოქტომბრის დასაწყისში, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით, თბილისში სემინარის ჩატარება, რომელიც მიეძღვნება ეკონომიკურ ინტერესებთან ასოცირებული კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობების გარკვევის საკითხს. დოქტორ ანგელა მიკლეის აზრით, კონფლიქტების მოგვარების მნიშვნელოვანი ასპექტია ეკონომიკური თანამშრომლობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. შესაბამისად, სემინარის დიდი ნაწილი ამ პრობლემების განხილვისკენ იქნება მიმართული.

ქართული დელეგაციის წევრები სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების ცნობილ ექსპერტს, პროფესორ უვე ჰალბახსაც შეხვდნენ. მან თანხმობა განაცხადა, იყოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ფორუმის — ,.კონფლიქტები — კრიზისების პრევენცია — სამშვიდობო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ პლენარული სხდომის მთავარი მომხსენებელი. ფორუმის ჩატარება დაგეგმილია 3 ოქტომბერს, რომელიც გერმანიის გაერთიანების დღეს მიეძღვნება.

ყველა ეს ღონისძიება თუ შეხვედრა, რაც გერმანიაში ქართული დელეგაციის ვიზიტისას დაიგეგმა, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უკვე აქტიურად დაიწყეს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და ფორუმისა თუ სემინარის მაღალ დონეზე ჩატარებაზე ფიქრი.

კონფლიქტების პრევენციაზე მომუშავე ეკონომისტები

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 26-30 სექტემბერს მიმდინარეობდა სემინარი: ,,კრიზისის პრევენციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობების გამომუშავება“.

სემინარის ორგანიზატორი იყო პოტსდამის გამოყენებითი კვლევების უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი (GDI-Georgisch-DeutschesInstitutfürWirtschaftspolitik und ökonomischeBildung). პროექტი დაფინანსებულია DAAD-ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) მიერ.

სემინარში მონაწილეობდნენ მაღალი კომპეტენციის უცხოელი ექსპერტები: მეიკ დუდი და ულრიხ ჰარტმანი, ასევე, ეკონომიკის, კულტურის, პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და სხვა დარგების წარმომადგენლები, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ, კომპეტენცია გაეფართოვებინათ კონფლიქტის აღქმასა და ანალიზში, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრასა და კრიზისის პრევენციაში.

„სემინარის მუშაობას, რომელიც მიეძღვნა კრიზისის პრევენციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საკითხებს, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ხელს შეუწყობს კონფლიქტების მოგვარებისა და საშუამავლო მეთოდების დანერგვას. ამ კუთხით მომზადდება კონფლიქტების გამწვავების შემამცირებელი სხვადასხვა ინსტრუმენტი, რაც ყველანაირი სახის ძალადობაზე სწრაფი რეაგირების საშუალებას მოგვცემს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვოლფგანგ ვენგი, რომელიც სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობას ნაყოფიერსა და წარმატებულს უწოდებს: „კონფლიქტების საფუძველი ხშირად ეკონომიკური პოლიტიკაცაა. გადაწყვიტეთ, კონფლიქტების მენეჯმენტზე სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკოსებთან ერთად ეკონომისტებსაც ემუშავათ. ამიტომაც ავირჩიეთ სემინარის მთავარ მომხსენებლად პოტსდამისგამოყენებითი კვლევების უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ანგელა მიკლეი, რომელიც კონფლიქტების დარეგულირების არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკოსი მკვლევარია. მას სპეციფიკური მეთოდები აქვს შემუშავებული კონფლიქტების დარეგულირებისათვის“, — აღნიშნა პროფესორმა ვოლფგანგ ვენგმა.

პირველი სემინარის შეფასების შემდეგ მის მონაწილეებს შეეძლებათ 2012 წლის მარტამდე ექსპერიმენტები ჩაატარონ განსხვავებულ პირობებში და სფეროებში, რათა გამოსცადონ საკუთარი კომპეტენცია და სემინარზე შეძენილი უნარ-ჩვევების ეფექტურობა.

პროგრამის ფარგლებში

თსუ-ის სტუდენტები ქართულ ენას რეგიონებში ასწავლიან

შურთხია ბეროშვილი

ნიკოლოზ ბერიძე თბილისელი ბიჭია, თუმცა, ახლა ბოლნისში ცხოვრობს და ყოველ დილით ფეხით მიუყვება სკოლისკენ მიმავალ გზას, სადაც ახალგაზრდა პედაგოგს ბავშვები ელოდებიან. ნიკოლოზმა გასულ წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად დაიწყო მზადება. სწორედ იმ პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით უნივერსიტეტში ახალი პროექტი — „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ამოქმედდა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა გიორგიმ, თავისი ცხოვრება შეეცვალა.

„როდესაც მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის უკეთ შესწავლის მიზნით, ახალი სახელმწიფო პროგრამის — „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ განხორციელება დაიწყო და სტუდენტებს ამ პროგრამაში ჩართვა და მაგისტრატურის დაფინანსება შესთავაზა, ბევრი აღარ მიფიქრია, გადავწყვიტე კონკურსში მონაწილეობა მიმეღო. გამიმართლა და ახლა უკვე შევუდექი პედაგოგიურ საქმიანობას სოფელ ბოლნისის (ხაჩინის) საჯარო სკოლაში. სოფლის გამგებელმა და აქაურმა მაცხოვრებლებმა კარგად მიმიღეს. ჩემს სომეხ მასპინძელთან, რომელთანაც ერთი წლის განმავლობაში უნდა ვიცხოვრო, ჯერჯერობით „ჟესტების ენით“ ვსაუბრობ, მაგრამ, ალბათ, ეს პრობლემაც მოგვარდება. ყველანაირად ვეცდები, რომ ბავშვებს ქართული არა მარტო ვასწავლო, არამედ შევაყვარო კიდეც. ბავშვებს მათემატიკის და სხვა ტექნიკური საგნების სწავლაშიც დავეხმარები“, — ამბობს ნიკოლოზ ბერიძე ჩვენთან საუბარში.

როგორც ცნობილია, პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ 2011 წლის ივნისიდან ამოქმედდა. პროგრამის ფარგლებში, კონკურსის წესით შერჩეული 150 მონაწილე უკვე ეტაპობრივად გადანაწილდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის არაქართულენოვან სკოლებში. მზად არის ქართული ენის სახელმძღვანელოც არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის, რომლის გამოყენებაც ახალი სასწავლო წლიდან დაიწყო. პროგრამაში ჩართული ბაკალავრები და მაგისტრანტები ერთი აკადემიური წლის განმავლობაში რეგიონებში დარჩებიან და მათთვის შერჩეულ ოჯახებში იცხოვრებენ. ქართული ენის სწავლებისთვის კი სახელმწიფო იმ პირობას შეასრულებს, რაც რეგიონებში მასწავლებლად წასულ ბაკალავრებსა და მაგისტრანტებს აღუთქვა — ანუ სახელმწიფო მათ დაუფინანსებს მაგისტრატურაში სწავლას და ხელფასსაც გადაუხდის.

ანა ქებაძე

პროგრამის — „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ხელმძღვანელის ანა ქებაძის ინფორმაციით, პროგრამაში ჩართვის სურვილი ძალიან ბევრმა სტუდენტმა გამოთქვა, მათგან კი სამინისტრომ საუკეთესოები შეარჩია.

„თავდაპირველად პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად 800-მდე სტუდენტი დარეგისტრირდა. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი ვერ ჩაერთო პროგრამაში, რადგანაც საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო. აღსანიშნავია, რომ პროექტის პრეზენტაცია პირველად სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, რამაც განაპირობა ის, რომ პროგრამის ბევრი მონაწილე თსუ-ის კურსდამთავრებულია“, — აღნიშნა საუბრისას ანა ქებაძემ.

პროგრამის ფარგლებში უკვე დასრულდა მონაწილეთა პირველი ნაკადის შერჩევა და მომზადება, სადაც კონკურსანტებმა პედაგოგის ელემენტარული უნარ-ჩვევები და ბილინგვური გაკვეთილის წარმართვის ტექნიკა შეისწავლეს.

როგორც ანა ქებაძემ ამ საკითხზე საუბრისას აღნიშნა, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია ასევე „ქართული ენის სახლების“ დაარსება; მასწავლებელთა ტრენინგები; მულტილინგვური სწავლება; ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო მასალების გამოცემა; საზაფხულო ბანაკებისა და ბილინგვური სკოლამდელი განათლების ცენტრების შექმნა; მოსწავლეთა გაცვლითი და სკოლების დამეგობრების პროგრამების შექმნა; კონკურსები; პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში; დოქტორანტების ჩართულობა და სხვა ღონისძიებები.

ამ პროგრამაში ჩართულია თსუ-ის კიდევ ერთი კურსდამთავრებული თეონა სამხარაძეც, რომელიც უკვე შეუდგა თავის პედაგოგიურ საქმიანობას ქვედა ბოლნისის მეორე საჯარო სკოლაში. თეონამ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენის მიმართულება დაამთავრა. „მოტივაცია იმდენად ძლიერი იყო, რომ მასწავლებლად მუშაობის გადაწყვეტილება მალე მივიღე... თან ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც შევიძენ. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის ახლობლებისგან შორს, უცხო გარემოში ცხოვრება, მაგრამ ვიცი, რომ ეს ჩემი მომავალი კარიერული ზრდისთვის აუცილებელია. ამიტომ თამამად გადავდგი ეს ნაბიჯი. მიხარია, რომ მოსწავლეებთან უკვე დავამყარე მეგობრული ურთიერთობა და დავაინტერესე ქართული ენის შესწავლით. მუშაობის სტიმულს ისიც მაძლევს, რომ ანაზღაურებაც ნორმალურია — თვეში 500 ლარი. გამგებლიდან დაწყებული, ყველა ცდილობს, რომ მარტოობა არ ვიგრძნო. ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე“, — ამბობს თეონა.

პროგრამის მესვეურთა ინფორმაციით, მომავალში პროექტის ფარგლებში სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც დაიგეგმება, რაც სულ უფრო და უფრო მეტ სტუდენტს დაინტერესებს.

გზავნილი სტუდენტურ თვითმმართველობას

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სტუდენტური თვითმმართველობაც იზრუნებს

თსუ-ში ჩარიცხული არაქართულენოვანი სტუდენტების რიცხვი წელს 300-მდე გაიზარდა, რაც გასული წლის მაჩვენებელზე ორჯერ მაღალია. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლების ერთწლიანი პროგრამა სახელმწიფო მნიშვნელობისაა და მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია გახლავთ. სახელმწიფო ენის შესწავლა არაქართულენოვან სტუდენტებს უმაღლესი განათლების მიღების საშუალებასა და კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევთ. სწორე ამაზეა დამოკიდებული მათი კარიერული წინსვლა. თუმცა, როგორც ქართული ენის სწავლების პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი აცხადებს, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება მხოლოდ ლექციების საშუალებით არასაკმარისია. მათთვის აუცილებელია ქართულ გარემოში ცხოვრება, თანატოლებთან ქართულ ენაზე კომუნიკაცია და სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა. ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა კი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მოვალეობაც გახლავთ.

ნატო ოგოლაძე

„აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტები, რომლებიც თსუ-ის ქართული ენის სწავლების ერთწლიან პროგრამაზე სწავლობენ, საკუთარ წრეში არიან ჩაკეტილნი. რამდენიმე ქართველი მეგობარიც შეიძინეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მეგობრობის ინიციატივა ქართველი სტუდენტების მხრიდან წამოვიდა. ძირითადად ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ და ძნელია მოსთხოვო, იყვნენ კომუნიკაბელურები, რადგან, გარდა ენობრივი ბარიერისა, მათთვის თბილისური გარემოც უცხოა. თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას ვურჩევთ, რომ იფიქრონ ამ ხალხის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრირებაზე; სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებთან ერთად, ამ სტუდენტებისთვის გააკეთოს თუნდაც ორკვირიანი საზაფხულო სკოლა, რომელშიც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას. ასეთი სახის პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქართველ სტუდენტებთან გატარებული ორი კვირის მანძილზე ისინი ენას გაცილებით მეტს ისწავლიან, ვიდრე, მაგალითად, ორთვიანი სალექციო კურსის მოსმენის შემდეგ“, — გვითხრა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თსუ-ის პროფესორმა კახა გაბუნიამ.

კახა გაბუნია

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლებისას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მოტივაციურ ფაქტორებს უჭირავს. ფსიქოლოგების განცხადებით, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ახალგაზრდებს საწყის ეტაპზე სახელმწიფო ენის შესასწავლად ინსტრუმენტული მოტივაცია ამოძრავებთ, რაც გულისხმობს, რომ მათ ქართული ენის დაუფლება მხოლოდ განათლების მისაღებად და შემდეგ დასაქმებისთვის სჭირდებათ. ასეთ შემთხვევაში კი ენის შესწავლის ხარისხი საკმაოდ დაბალია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ამ სტუდენტებში ინტეგრაციული მოტივაციის ამაღლებისთვის ხელშეწყობა, რათა ინტეგრირდნენ ქართულ საზოგადოებაში, გაიცნონ ქართული კულტურა და უკეთ შეისწავლონ სახელმწიფო ენა.

„საზოგადოება მიიჩნევს, რომ არაქართულენოვანი სტუდენტები ჩვენთან უნდა ინტეგრირდნენ, მაგრამ არ ფიქრობენ იმას, რომ ჩვენც უნდა ვიცოდეთ მათი კულტურისა და ღირებულებების შესახებ. ინტეგრაცია ორმხრივი უნდა იყოს. ჩვენი ქართულენოვანი სტუდენტები კი ნაკლებად იცნობენ მათ კულტურას და ამ საკითხით ნაკლებადაც ინტერესდებიან. ახალგაზრდებმა კი ამ მიმართულებით ბევრი რამ შეიძლება გააკეთონ და მათ შორის სტუდენტურმა თვითმმართველობამ. განწყობები და დამოკიდებულებები ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ არაქართულენოვანმა სტუდენტებმა ენა კარგად აითვისონ. აუცილებელია, ისინი სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთონ. ამისთვის მათ გარკვეული წახალისება სჭირდებათ. სასურველია თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ჩამოაყალიბოს კლუბები, დაგეგმოს ლაშქრობები და ექსკურსიები, სხვადასხვა სახის შემეცნებითი ღონისძიებები, სადაც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არაქართულენოვანი სტუდენტები თვითმმართველობაშიც გაწევრიანდნენ. ჩვენ მათ გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერების დაძლევაში უნდა დავეხმაროთ“, — განაცხადა ფსიქოლოგმა, თსუ-ის პროფესორმა მზია წერეთელმა.

მზია წერეთელი

როგორც თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში გავარკვიეთ, არაქართულენოვანი სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვის პროცესი უკვე დაწყებულია. რამდენიმე მათგანი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტურ თვითმმართველობაშიც გაწევრიანდა. მომავალ წელს კი საზაფხულო ბანაკის ამოქმედება იგეგმება, სადაც ქართველ სტუდენტებთან ერთად სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებიც დაისვენებდნენ.

„სტუდენტური თვითმმართველობა ყველაფერს აკეთებდა, რომ ამ ბავშვებს თავი არ ეგრძნოთ უცხო გარემოში. ამ მიზნით დავგეგმეთ ექსკურსიები. ახალი სასწავლო წლიდან ამ მიმართულებით უფრო გავაქტიურდებით. დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება. შარშან ენის ბარიერი უშლიდათ მათ ხელს, წელს კი იმედი მაქვს, რომ ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდება. ასევე, გვინდა, ერთობლივი კონფერენციების გამართვა, ერთობლივი ფოლკლორული საღამოების მოწყობა. 2012 წელს აუცილებლად გავხსნით საზაფხულო ბანაკსაც“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა ბექა ახლოურმა.

აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვანი სტუდენტების უმრავლესობა წარმოშობით სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან არიან, სადაც დღის წესრიგში ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა მწვავედ დგას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება, რის შედეგადაც ერთიან ეროვნულ გამოცდებში ცვლილებები შევიდა და უმაღლეს სასწავლებლებში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ერთწლიანი ქართული ენის სწავლების კურსი დაინერგა, ხელს უწყობს

ბექა ახლოური

შეიქმნას აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების ქართული ენის მცოდნე კადრები, რომლებიც სამომავლოდ ამ რეგიონებში თავად უზრუნველყოფენ სახელმწიფო ენის სწავლებას, რაც ვითარებას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს. აღსანიშნავია, რომ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაქართულენოვანი, ეთნიკურად აფხაზი ერთი სტუდენტიც ჩაირიცხა.

 თვითდამკვიდრებისთვის

არის თუ არა შეღავათი ინტეგრაცია

2011 წლის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეუერთდა. ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი ერთ-ერთი ის ინსტიტუტია, რომელიც საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში აგრძელებს. იგი დიდი ტრადიციების მქონე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, რომელსაც წელს 60 წელი შეუსრულდა.

ამჟამად, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ინტერესები ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის, კონდენსირებული გარემოს ფიზიკის, პლაზმის ფიზიკის, ბიოლოგიური სისტემების ფიზიკისა და ბირთვული ფიზიკის მიმართულებებით შემოიფარგლება. ინსტიტუტში 200 თანამშრომელი აგრძელებს საქმიანობას. აქედან 100 მეცნიერია, 100 — ტექნიკური და მომსახურე პერსონალი.

სამეცნიერო ინსტიტუტების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაცია ორმხრივი აქტიური თანამშრომლობის შესაძლებლობას აძლევს როგორც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას, ასევე, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. რას ელიან ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან და რა კონკრეტული თანამშრომლობის შეთავაზება შეუძლიათ მათ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვისათვის? ამ საკითხებზე გვესაუბრება ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი გელა გელაშვილი.

თამარ დადიანი

მაია ტორაძე

თემის რესპონდენტი
გელა გელაშვილი

— ბატონო გელა, რამდენად აქტუალურად მიგაჩნიათ სამეცნიერო ინსტიტუტების ინტეგრაცია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან?

— მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაში რეფორმები ხორციელდება, მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების დარგებშიც. 2006 წელს ე.წ. აკადემიური ინსტიტუტები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბდნენ და გარკვეული დამოუკიდებლობა მიიღეს, ანუ, მათი ზემდგომი ორგანო, მეცნიერებათა აკადემიის ნაცვლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა სამინისტრო გახდა. ამით ინსტიტუტებმა გარკვეული დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რაც, მიმაჩნია, რომ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა ამ გადაწყვეტილებით რეფორმა, შეიძლება ითქვას, სანახევროდ გატარდა. საქმე ისაა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შედეგად, სამეცნიერო ინსტიტუტებს მფლობელობაში უნდა გადასცემოდათ უძრავი და მოძრავი ქონება, რაც მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. ამ შემთხვევაში ინსტიტუტებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი გაუმართლებელი იყო, რასაც მოყვა გადაწყვეტილება — ეს სტატუსიც გაუქმებულიყო და დამოუკიდებელი სამეცნიერო ინსტიტუტები უნივერსიტეტების შემადგენლობაში შესულიყვნენ. უნდა აღვნიშნო, რომ სასწავლო დაწესებულებებთან სამეცნიერო ინსტიტუტების ინტეგრაციას აქვს უდავოდ დადებითი მხარე აქვს — ეს არის მათ შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. ჩვენს შემთხვევაში კი, კარგია, რომ აღდგა ტრადიციული თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

— რა შედეგს მოიტანს თქვენი ინსტიტუტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაცია?

— უნდა გითხრათ, რომ ინტეგრაციამდე ფიზიკის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული იყო თანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც მასთან ისედაც მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა. ადრე თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტზე 200-მდე სტუდენტი სწავლობდა. აქედან დაახლოებით 100 სტუდენტი წინასადიპლომო სტაჟირებას ფიზიკის ინსტიტუტში გადიოდა. ეს სტუდენტებისთვის კარგი იყო, რადგან ისინი 10 თვის განმავლობაში ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიებში ცოდნასა და გამოცდილებას იძენდნენ. ამის მერე ბევრს სურვილი უჩნდებოდა სწავლა და სამეცნიერო მუშაობა ასპირანტურაში გაეგრძელებინა. იმის გამო, რომ რამდენიმე წლის წინ გაუქმდა სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოები, თსუ-სთან აქტიური თანამშრომლობის აუცილებლობა დაიკარგა, რადგანაც, დებულების მიხედვით, მაგისტრანტის და დოქტორანტის თემის ხელმძღვანელი მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ინსტიტუტის უნივერსიტეტთან ინტეგრაციის შედეგად გაჩნდა იმედი, რომ ახალგაზრდებთან უშუალო ურთიერთობის საშუალება ისევ გვექნება. ისინი ჩვენთან გაივლიან სასწავლო პრაქტიკას და სპეციალისტებად ჩამოყალიბდებიან, რაც გადაწყვეტს ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვან ასაკობრივ პრობლემასაც. საქმე ისაა, რომ ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის საშუალო ასაკი 60 წელია, რადგან ბოლო წლებში ინსტიტუტს ახალგაზრდა კადრი აღარ მიუღია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ფიზიკის მიმართულებაზე ძალიან ცოტა ახალგაზრდა აგრძელებდა სწავლას და ჩვენი მხრიდან არც მატერიალური დაინტერესება არსებობდა. იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტთან შეერთებით ამ პრობლემასაც ეშველება. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მოვიზიდოთ. ეს მეცნიერული განვითარების თვალსაზრისით მათ დიდ პერსპექტივებს ჰპირდება.

ინტეგრაციის დადებითი მხარეა ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძლიერი ორგანიზაციაა და მას მძლავრი ტექნიკური ბაზა გააჩნია. ეს საშუალებას მოგვცემს, მეტი სამეცნიერო კვლევები ვაწარმოოთ.

— კონკრეტულად, რა პრობლემები დგას დღეს თქვენი ინსტიტუტის წინაშე?

— ჩვენი პრობლემა ყოველთვის იყო კომუნალური გადასახადები, რის გამოც მთელი ჩემი ძალისხმევა მიმართული იყო იმისკენ, რომ არ გაეთიშათ ელექტროენერგია, წყალი, ინტერნეტი და ტელეფონი. 2001 წლიდან მის უზრუნველყოფას როგორღაც ვახერხებდით, ახლა უკვე ამას უნივერსიტეტი არეგულირებს, რაც მუშაობას გვიმსუბუქებს.

მიუხედავად ბევრი დადებითი ასპექტისა, სამეცნიერო ინსტიტუტების თსუ-სთან ინტეგრაციამ გარკვეული პრობლემები მაინც გააჩინა — ამდენი ინსტიტუტის შეერთების შედეგად გართულდა ადმინისტრირების პროცესი — ძალიან დიდი დრო მიაქვს გადაწყვეტილებების მიღებას და მის ოფიციალურად გაფორმებას, რაც სამეცნიერო მუშაობაში გარკვეულწილად ხელს გვიშლის, თუმცა, ვფიქრობ, რომ სათანადო რაოდენობის კადრების არსებობის შემთხვევაში ეს პრობლემაც მოიხსნება.

ყველაზე აქტუალური პრობლემა კი დღეისათვის მაინც დებულების არარსებობაა — ოფიციალურად ამა წლის 1 იანვრიდან ვართ თსუ-ის შემადგენლობაში და იმის გამო, რომ უნივერსიტეტი სტატუსის შეცვლის მოლოდინშია, დებულება ჯერ კიდევ არა გვაქვს. ასეთ პირობებში კი მუშაობა გვიჭირს.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაციის შემდეგ ინსტიტუტის საქმიანობა ახალ ფაზაში გადავა, რას გააკეთებთ უნივერსიტეტის წიაღში თვითდამკვიდრებისთვის?

— ფიზიკის ინსტიტუტი რომელ დაწესებულებასაც არ უნდა შეუერთდეს, იგი მაინც შეინარჩუნებს ძირძველ ტრადიციებს, რომელმაც ინსტიტუტს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ამ ტრადიციების ერთგულება მოგვცემს იმის გარანტიას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ.

ფუნდამენტური კვლევები ფიზიკის ინსტიტუტში

ფუნდამენტური კვლევა ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებაა. კვლევების შედეგად დაგროვდა მასალა, რომლის გამოყენებაც წარმოებაში შეიძლებოდა. უცხოელი პარტნიორების ხელშეწყობით აქტიურად დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით. დიდი ბრიტანეთის ფონდი — „დახურული ბირთვული ქალაქების პროგრამა“ ფიზიკის ინსტიტუტში სამ მნიშვნელოვან პროექტს აფინანსებს, რომელიც კომერციალიზაციის ინტერესს ემსახურება. ეს პროექტებია: „მცირე საწარმოს შექმნა სამკურნალო პრეპარატების დოზიმეტრების შესაქმნელად“; „ბიოჩიპების შექმნა პათოგენური ბაქტერიებისა და ვირუსების სწრაფი დიაგნოსტირებისათვის“ და „ტეხნოციუმის იზოტოპი“.

საზოგადოებამ იცის, რომ საქართველოში მუშაობს მეტადონის პროგრამა. მეტადონი ნარკოტიკის შემცვლელი პრეპარატია და ნარკომანებს ოფიციალურად ეძლევათ მკურნალობის ჩასატარებლად. თავიდან ამ წამლის დოზირება, ფაქტობრივად, კუსტარულად ხდებოდა. ამიტომ საქართველოს შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს რეკომენდაციით შეიქმნა წამლის ზუსტი დოზის ჩამომსხმელი ავტომატიზებული ხელსაწყო, რათა აღრიცხული წამლის მასა ზუსტად გაკონტროლებულიყო. ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც წამლის დოზაც განსაზღვრულია და რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედებაც — გამორიცხული. პროექტის — „მცირე საწარმოს შექმნა სამკურნალო პრეპარატების დოზიმეტრების შესაქმნელად“ ფარგლებში ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა 15 დოზატორი, რომელმაც საქართველოს ბაზრის მოთხოვნა მთლიანად დააკმაყოფილა. მკვლევარებს უკვე სხვა ქვეყნების ბაზარზე გასვლაც სურთ. ამ მიზნით მოლაპარაკებები დაიწყო უკრაინასთან, ინდოეთთან და სხვა ქვეყნებთან.



მეორე წარმატებული პროექტი — „ბიოჩიპების შექმნა პათოგენური ბაქტერიებისა და ვირუსების სწრაფი დიაგნოსტირებისათვის“, რომელიც შემდგომ კომერციალიზაციას ექვემდებარება, სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტირებისთვის საჭირო ე.წ. ბიოჩიპების დამზადებაა. ამ ჩიპის მეშვეობით, მასზე ადამიანის სისხლის წვეთის განსაზღვრული რაოდენობის დატანის შედეგად, მოხდება ამა თუ იმ დაავადების დიაგნოსტირება. პროექტით გათვალისწინებული დაფინანსება ინსტიტუტს უკვე მიღებული აქვს. მიმდინარეობს მუშაობა და პროდუქციასაც უმოკლეს ვადაში გამოუშვებენ. იმის გამო, რომ დამკვეთი მხარე ინგლისია, მისი რეალიზებაც ინგლისში მოხდება. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ ყველაზე გავრცელებული დაავადებების დიაგნოსტიკისთვის უახლოეს მომავალში მას საქართველოშიც გამოიყენებენ.

აქტიურად მიმდინარეობს პროექტის — „ტეხნოციუმის იზოტოპის“ მოსამზადებელი სამუშაოებიც. ამ პროექტით გათვალისწინებულია მცხეთის ატომურ რეაქტორზე ერთ-ერთი იზოტოპის — ტეხნოციუმის მიღება, რომელსაც სიმსივნური დაავადებების დიაგნოსტირებისა და მკურნალობისთვის გამოიყენებენ. საქართველოში ამ მეთოდით მკურნალობა დღეს მხოლოდ კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტშია შესაძლებელი. კლინიკა ჰოლანდიისგან ყიდულობს ამ რადიაქტიურ პრეპარატს, რომელსაც შენახვის ძალზე მცირე ვადა აქვს. ამის გამო მისი ადგილზე დროული მიწოდება გართულებული და ზოგჯერ შეუძლებელიცაა. ამიტომ ფიზიკის ინსტიტუტი მცხეთის ატომური რეაქტორის ბაზაზე იწყებს ტეხნოციუმის წარმოებას, რაც უზრუნველყოფს პრეპარატის ადგილზე დროულად მიტანას და ფასის შემცირებას. სამომავლოდ ამ პრეპარატის ქვეყნის გარეთ გატანაც იგეგმება.

ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები დაინტერესებულნი არიან მცხეთის ატომური რეაქტორის ბაზაზე დაბალი სიმძლავრის მიკრორეაქტორის აღდგენით, რომლის პროექტიც უკვე წარდგენილია. ეს რეაქტორი გამოიყენება არა მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისთვის, არამედ სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდაც. დღეს რადიოაქტიური მეთოდები ყველაზე ეფექტური და წარმატებულია სიმსივნური დაავადებების სამკურნალოდ. ქართველ პაციენტებს მხოლოდ საზღვარგარეთ შეუძლიათ ამ მეთოდით მკურნალობა, რაც ძალიან ძვირი ჯდება. ავადმყოფების დაახლოებით 98%-ს ამის გადახდა არ შეუძლია. ასეთი მიკრორეაქტორის არსებობა კი ამ პრობლემას გადაწყვეტს.

პროფილი

ეთნოისტორიული ეტიუდები

როლანდ თოფჩიშვილთან საუბარმა დამარწმუნა, რომ სამშობლოს სულიერი სილამაზის აღქმაში კიდევ ერთი, საოცრად მრავალმხრივი მეცნიერება — ეთნოლოგია გვეხმარება, რომელიც სხვა მეცნიერებების: ანთროპოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის ცოდნასაც მოითხოვს. ცხადია, ეს რთულია, მაგრამ როგორც როლანდ თოფჩიშვილის მოღვაწეობიდან იკვეთება, მან ეს დიდი ძალისხმევით, მაგრამ შეძლო. ამის დასტურია ის უამრავი მონოგრაფია თუ გამოკვლევა, გამოცემული წიგნები და სახელმძღვანელოები, რომელზეც იგი სტუდენტობიდან მოყოლებული დღემდე, უკვე 62 წლისა, მუშაობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ეთნოლოგმა როლანდ თოფჩიშვილმა, თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე, მრავალ კითხვაზე გასცა პასუხი: ვინ არის და რამ გადაარჩინა ქართველი ერი? როგორია მისი ეთნოგენეზისი? რა წინაპირობები უძღვოდა კავკასიაში კონფლიქტების წარმოშობას... თუმცა, როგორც მეცნიერი ამბობს, ამ თემებზე სათქმელი ამოუწურავია.

ვალი

როლანდ თოფჩიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე თავის წარმატებას რამდენიმე ადამიანს უმადლის და მათ ყოველთვის სიამოვნებით იხსენებს.

საკუთარი ნაშრომების უმეტესობას იგი იმ პიროვნებებს უძღვნის, რომელთა წინაშეც ვალში გრძნობს თავს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მისთვის ძვირფასი პიროვნებები იყვნენ აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია და პროფესორი მიხეილ გეგეშიძე, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართული ეთნოგრაფიის განვითარებას. როლანდ თოფჩიშვილის სტუდენტური ცხოვრების საინტერესოდ წარმართვა, თურმე, სწორედ მათთან მუშაობას უკავშირდება.

უნივერსიტეტში ეთნოლოგიის კათედრა XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა. იმ პერიოდში, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სულ 3 ასეთი კათედრა იყო: მოსკოვში, პეტერბურგსა და თბილისში. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ეთნოლოგიის მიმართულებით, როლანდ თოფჩიშვილმა 1972 წელს დაამთავრა. იმ პერიოდში კათედრის გამგე ბატონი გიორგი ჩიტაია იყო. სწორედ მის სახელს უკავშირდება საქართველოში ეთნოლოგიის სკოლის შექმნა. „მისგან ყველა ეთნოლოგი დავალებულია. ის არა მარტო დიდი მეცნიერი, დიდი პიროვნებაც იყო. მახსოვს, ჩემი ახალგაზრდობის დროს ხშირად ამბობდნენ: აბა, რა მეცნიერია, წიგნები არა აქვს გამოცემულიო. მაგრამ, მისი ერთი სტატია

მე-13 გვერდზე

ᲔᲗᲜᲝᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲢᲘᲣᲓᲔᲑᲘ

ეთნოლოგიის სკოლის განვითარების შემდეგი ეტაპი სწორედ როლანდ თოფჩიშვილის სახელს უკავშირდება. უკანასკნელი სიახლე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ის არის, რომ მისი ავტორობით, ახლახან, შვედეთის ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა სტატია კავკასიის ეთნიკური სიტუაციის თაობაზე. როლანდ თოფჩიშვილი უკვე 28 წიგნის ავტრია, მათ შორისაა 6 სახელმძღვანელო: „კავკასიის ეთნოლოგია“, „კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია“, „ევროპის ეთნოლოგია“, „ამერიკის ეთნოლოგია“, „სახელების ისტორია და ეთნოლოგია“ და „ქართული ერის ეთნიკური ისტორია“. გახლავთ წიგნის — „თეორიული ეთნოლოგია“ ავტორი. მას ჩაფიქრებული აქვს კიდევ რამდენიმე სახელმძღვანელოს გამოცემა.



თემის რესპონდენტი
ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲗᲝᲤᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მეთორმეტე გვერდიდან

მთელ წიგნს უდრიდა... პარადოქსი კი ის არის, რომ ბატონი გიორგის 5 წიგნი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. ლექციებს ხელით ვიწერდით, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, საფუძვლიანი ცოდნა მიგვეღო. არ დამავიწყდება მისი მზრუნველობა, როცა ისტორიის ინსტიტუტში წამიყვანა და მუშაობის საშუალებაც მომცა. ბედის წყალობა იყო ისიც, რომ ჩემს პედაგოგთან, მიხეილ გეგეშიძესთან მომიწია ურთიერთობამ, რომელიც თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი გახლდათ“, — ასე იხსენებს თავის პედაგოგებს როლანდ თოფჩიშვილი.

კიდევ ერთი ადამიანი, ვისი სამუდამო ვალიც აქვს — დედაა. მეცნიერი, უპირველესად, თავის ყველა მიღწევას დედას უმადლის. „საკმაოდ ხელმოკლე ოჯახში ვიზრდებოდი. ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ წიგნი — არასოდეს. სახლში, სადაც განსაკუთრებული არაფერი იყო, უზარმაზარი, უნიკალური ბიბლიოთეკა გვქონდა. დედა ჩვენს განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამისთვის არაფერს იშურებდა. მამას უნდოდა, პრაქტიკული ხელობა ამერჩია, მაგრამ მე სხვა გზით წავედი. მხოლოდ დედას სჯეროდა ჩემი. მახსოვს, ერთხელ ეზოში ვთამაშობდი. დედამ შემახსენა — გაკვეთილებს ხომ არ გაიმეორებდიო. იქვე ბიძაჩემი იდგა, რომელმაც გაიცინა და უთხრა: აცალე ბავშვს თამაში, ეგეც პროფესორი არ გამოვიდესო. გავიდა წლები და მიხარია, რომ დედის სურვილი შევასრულე. ჩემი ერთ-ერთი ნაშრომიც მას მივუძღვენი“, — ამბობს ბატონი როლანდი.

მეცნიერს სხვა, გამორჩეული მევალეც ჰყავდა — მისი უახლოესი მეგობარი, ფენომენალური განათლებისა და ორატორული ნიჭით დაჯილდოვებული მეცნიერი — მიხეილ ქურდიანი, რომელიც, სულ ერთი წლის წინ, უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. მათი ურთიერთობა საუკეთესო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ მეცნიერებმა ერთმანეთთან. მართალია, ხშირად კამათობდნენ სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ „მთავარში” ყოველთვის თანხმობა ჰქონდათ: ორივემ იცოდა, რომ საქვეყნო საქმეს აკეთებდა. „მაოცებდა მისი უკიდეგანო ცოდნა და ფართო დიაპაზონი თითქმის ყველა სფეროში. ამასთან, მას საოცარი ქარიზმა ჰქონდა და ყოველთვის, რა საკითხზეც უნდა ელაპარაკა, ახერხებდა აუდიტორიის დაპყრობას. მიშა ჩემი მეუღლის ბავშვობის მეგობარი იყო და, როგორც ოჯახის წევრი, ისე გვყავდა მიღებული. განსაკუთრებით ჩემს შვილებს უყვარდათ”, — ტკივილით იხსენებს მეგობარს რევაზის და თამთას მამა — როლანდ თოფჩიშვილი.

მეცნიერის შრომა დიდი სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამ ტვირთს, მთელი სიცოცხლე, მას განსაკუთრებით ერთი ადამიანი, მეუღლე — ლელა ხითარიშვილი უმსუბუქებდა. „მეუღლე რომ არ მეხმარებოდეს, ალბათ, ამდენს ვერ შევძლებდი. იგი ახლაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობს და საჭირო წიგნებით მამარაგებს. არასოდეს შევუწუხებივარ ყოფითი პრობლემებით და არასოდეს მიმძიმებს იმ გარემოს, სადაც ხშირად მუშაობისთვის განვმარტოვდები”, — ამბობს „დავალებული” მეუღლე — როლანდ თოფჩიშვილი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲫᲘᲔᲑᲐ

მთის მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებზე მუშაობამ (მისი საკანდიდატო ნაშრომი სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა) ოსთა პრობლემასთან მიიყვანა. მოგვიანებით, ამ საკითხზე კვლევის დროს, საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს არქივებში დაცული მოსახლეობის აღწერის დავთრები (სხვათა შორის, მანამდე არც ერთ მეცნიერს არ ჰქონდა ეს არქივები შესწავლილი), რომლის საფუძველზეც მეცნიერი მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს: კერძოდ, კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ოსები არა მარტო ცხინვალში, არამედ მეჯუდას, ლეხურას ხეობებში და ზნაურის რაიონში XIX საუკუნეში ჩამოსახლდნენ. როლანდ თოფჩიშვილის აზრით, „ბევრი საარქივო მასალა კვლავ გამოსამზეურებელია, რასაც ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება“.

ამ მართლაც უნიკალური მასალების შესწავლის შედეგად დაიწერა როლანდ თოფჩიშვილის მონოგრაფია ოსების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით. სად და როგორ განხორციელდა ოსთა წინაპარი ალანების ეთნოგენეზი? სად ცხოვრობდნენ ისინი საქართველოში მიგრაციამდე? — სწორედ ამ კითხვებზე იპოვის პასუხს დაინტერესებული მკითხველი როლანდ თოფჩიშვილის წიგნში: „ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი“.

ᲔᲗᲜᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ

„ჩვენ, ეთნოლოგებს განსაკუთრებით გვაინტერესებს ხალხის ყოფა და ტრადიციები, წეს-ჩვეულებები. ახლა, განსაკუთრებით, თანამედროვე სოფლის პრობლემებზე ვამახვილებთ ყურადღებას და უნდა ითქვას, რომ ქართული სოფელი — მთაშიც და ბარშიც, მძიმე მდგომარეობაშია. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დემოგრაფიული თვალსაზრისითაც დიდი საფრთხის წინ დგას ქართული სოფელი. ამ 3 წლის წინათ სტუდენტებთან ერთად დმანისის რაიონში, სოფელ გომარეთში ვიმოგზაურე. საბჭოთა პერიოდში ეს იყო ქართული „ოაზისი” ამ არაქართულ რეგიონში. იქ სამსართულიანი სკოლაა, სადაც 700-800 მოსწავლე ყოველთვის სწავლობდა, ახლა კი, როგორც იქაურებმა გვითხრეს, პირველი კლასი ვერ დააკომპლექტეს. ახალგაზრდობა ზოგი უცხოეთში გაიხიზნა, ზოგმაც თბილისს მოაშურა, სადაც ქირით ცხოვრება და ბაზრობაზე დგომა ურჩევნია. ასეთივე მძიმე სიტუაციაა ზემო იმერეთში, იმერხევში, სვანეთსა და სხვა რეგიონის სოფლებში. ასეთივე მძიმე მდგომარეობაა თურქეთის „საქართველოში” (ტაო-კლარჯეთში), იმერხევის სოფელ უბეში, ოსმა თურმანის სოფელში, სადაც 110 სახლი დგას. ზამთარში, როგორც იქაურმა მაცხოვრებელმა მითხრა, კვამლი მხოლოდ 10 სახლიდან ამოდის. ექსპედიციების დროს უამრავი ფოტო-მასალა დაგვიგროვდა, ფირზე აღვბეჭდეთ ჩამონგრეული სახლის კედლები, ჩამოვარდნილი კარ-ფანჯრები... აგეტირება, როდესაც დაცარიელებულ სახლებს უყურებ. მთავრობის ინიციატივას, რომ მთიან რეგიონებში ტურიზმი განვითარდეს, დადებითად ვაფასებ, იქნებ ამ გზით მაინც დაუბრუნდეს მოსახლეობა მამაპაპისეულ კერას.

ეთნოლოგიამ, გარდა იმისა, რომ მას შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და სწავლობს ამა თუ იმ ხალხის კულტურას, ტრადიციებს, ნეს-ჩვეულებებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, დღეს პრაქტიკული მნიშვნელობაც შეიძინა. ეთნოლოგები დღევანდელ ყოფასაც სწავლობენ, ამიტომ ამ დარგის სპეციალისტმა შეიძლება ძალზე საჭირო რეკომენდაცია შესთავაზონ ხელისუფლებას და დაეხმარონ ზოგიერთი პრობლემის გადაჭრაში. თუმცა, არც ჩვენი მხრიდან ყოფილა მსგავსი შეთავაზება. სხვათა შორის, სხვა ქვეყნებში ეთნოლოგები სახელმწიფოს მეთაურების მრჩევლებადაც კი მუშაობენ. მაგალითად, ისრაელის პრეზიდენტის თანაშემწე პროფესიით ეთნოლოგია.

ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲗᲣ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲧᲝᲤᲐᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲫᲘᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲗᲮᲠᲘᲗ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ.

საქართველო, როგორც მას ძველად ეძახდნენ — პოლიეთნიკური, და როგორც ახლა ეძახიან — მულტიეთნიკური მხარეა, სადაც ქართველების გარდა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობენ. ხელისუფლება მოვალეა იცოდეს, რა განწყობილებაა ამ ეთნოსებს შორის, რა ტენდენციები იკვეთება მათთან ურთიერთობის მხრივ და რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს. ამ საკითხისთვის ქართველ ეთნოლოგებს დროულად რომ მიექციათ ყურადღება და ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობები სიღრმისეულად შეესწავლათ, შესაძლოა, მთელი რიგი პრობლემები თავიდან აგვერიდებინა. ჩვენ ხელიდან გავუშვით დრო. შარშანწინ საგრანტო პროექტი — „ალან-ოსები ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში“ წარმოვადგინეთ, მაგრამ უცხოელმა ექსპერტმა დაწერა, რომ ეს თემა არააქტუალურია, ხოლო ქართველმა ექსპერტმა კი აღნიშნა, რომ მას ეს პრობლემა უკვე შესწავლილი ჰქონდა, თუმცაღა, ამ პროექტში ეს პრობლემა სხვა ასპექტით იყო დანახული. იგივე თემა წელს კიდევ წარვადგინე, მაგრამ არც ახლა ვარ იმედიანად“, — საუბრობს ეთნოლოგთა გულისტკივილზე როლანდ თოფჩიშვილი.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ?

„ალბათ ეს კითხვა მკითხველთა დიდ ნაწილში გაკვირვებას გამოიწვევს. ხშირად საუბრობენ გვარების მიხედვით ჩვენი ერის წარმომადგენელთა ქართველებად და არაქართველებად დაყოფაზე. დღესაც, ქართველთა გარკვეულ ნაწილს, არაქართულძირიანი გვარების მატარებელნი არაქართველებად მიაჩნია. ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ვაზვიადებ... არა, მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა და ამ მავნე აზრს ჩანასახშივე უნდა ამოძირკვა.

მე არაერთი წერილი მაქვს მიღებული, რომელთა ავტორებიც მთხოვენ, გაიგონ თავიანთი გვარის ისტორია. ბევრს იმიტომაც მოუმართავს, რომ მავანი და მავანი დაარწმუნოს, რომ ისინი ჭეშმარიტად ქართველები არიან. სამწუხაროდ, ყველა გვარზე ისტორიული საბუთები შემორჩენილი არ არის, რაც კვლევას აძნელებს, მაგრამ ეს არ არის არსებითი. ამაზე ყველა განათლებული ქართველი უნდა დაფიქრდეს. გვარების ძირების მიხედვით თუ დავიწყებთ ქართველებად და არაქართველებად დაყოფას, მაშინ ჩვენ ძირს გამოვუთხრით ერთიან ქართულ ორგანიზმს, რომელიც საუკუნეების მიღმა ჩამოყალიბდა. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ერი ბუნებრივი კატეგორია არ არის, იგი სოციალურ-კულტურული, საზოგადოებრივი ფენომენია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა მონათესავე და არამონათესავე ეთნოსთა შენივთებითაა მიღებული. მსოფლიოში ვერსად ნახავთ ერს, რომ თავისი წმინდა სისხლით მოეღწიოს აქამდე, გამონაკლისი არც ქართველები ვართ. იმ დროს, როდესაც 200 წლის წინანდელი სახელმწიფოებრიობა აღდგენილია, მახვილის ჩაცემასავითაა ქართველთა დაყოფა გვარების მიხედვით. ჩვენი ერის ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მას უხდებოდა ცხოვრება მტრულად განწყობილი მეზობლების გვერდით. ქართულ ენასა და კულტურაზე დიდი იყო გავლენა აღმოსავლელი მეზობლების მხრიდანაც. თავისთავად ცხადია, რომ საქართველოში ვრცელდებოდა არაქართული ტერმინები და სახელები. ამიტომ შეიძლება შეგვხვდეს ერთფუძიანი გვარები ქართველებში, სომხებში, აზერბაიჯანელებში. აქედან გამომდინარე, შემიძლია გიპასუხოთ, რომ ქართველია ის, ვინც თავისი სულით და შეგნებით ქართველია“, — ეს არის ეთნოლოგის, როლანდ თოფჩიშვილის პასუხი.

ᲠᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲠᲩᲘᲜᲐ?

„საქართველოს ისტორიის დემოგრაფიის შესწავლა დასრულებული არ არის. მისი კვლევა წინა თაობის ისტორიკოსებმა მომდევნო თაობებს გადაულოცეს. ჩვენ წინაშე ხშირად დგება საკითხი, რამ გადაარჩინა ქართველი ერი? — როდესაც ისტორიულ-დემოგრაფიული თვალსაზრისით შეისწავლი ქართველი ხალხის ისტორიას, პასუხსაც იქ ვიპოვნით. ჩემი აზრით, ამის მიზეზი, პირველ რიგში, საქართველოს გეოგრაფიულ კონფიგურაციაში უნდა ვეძიოთ. სხვა შემთხვევაში, ქართველი ერი ვერ გადარჩებოდა. მაგალითისთვის შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ორი ეთნოსი. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ალბანელები, რომელთა შთამომავლები არიან უდიები, ისინი ამჟამად აზერბაიჯანის ორ და საქართველოს ერთ სოფელში ცხოვრობენ. მათი შთამომავლები დღეს, დაახლოებით, 8 ათასი კაცია, მაგრამ მათ ასიმილაცია განიცადეს. რატომ? აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თავდაპირველად ხომ თურქული ეთნოსი არ ცხოვრობდა? საიდუმლო — გეოგრაფიულ-დემოგრაფიულ პრობლემაშია. მთელი აზერბაიჯანის ტერიტორია, საინგილოს რომ გასცდები, ძირითადად, სტეპები და ველია. ამიტომ მტერი ადვილად იკავებდა და იპყრობდა იმ ტერიტორიას. შედეგად იქ დამკვიდრებულმა მუსლიმებმა ადვილად შეძლეს მათი ასიმილაცია.

საქართველო კი მთიანი ქვეყანაა, ქართლის და კახეთს ხეობებს მთაც აქვთ, მთისწინეთიც და ბარიც. როდესაც მტერი მოსახლეობას თავს ესხმოდა, მას საშუალება ჰქონდა გაქცეულიყო მთაში და თავი შეეფარებინა. უკან დაბრუნდებული კი კვლავ ადვილად აღადგენდა თავის მეურნეობას. მთა რომ არ გვქონოდა, ძალიან გაგვიჭირდებოდა. სამეფო ხელისუფლებაც ხელს უწყობდა მთის ნამატი მოსახლეობის ბარში ჩამოსახლებას. ამიტომ, დღეს, როდესაც მთის სოფლები იცლება, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ერის ტრაგედიაა. ჩვენ ვკარგავთ იმ კომპონენტს, როგორიცაა, შიდა მიგრაცია, რისი საშუალებითაც ხდებოდა ქართული ეთნოსის აღდგენა. ამიტომ როდესაც პესიმისტურად ვარ ხოლმე განწყობილი, ამის მიზეზი მაქვს“, — ასკვნის როლანდ თოფჩიშვილი.

P.S. როლანდ თოფჩიშვილმა სამეცნიერო მოღვაწეობა ისტორიის ინსტიტუტში დაიწყო, ამჟამად იგი ამ ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგეა. ამასთან, მეცნიერი ათი წლის განმავლობაში ილიას უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი 2006 წლიდან მოღვაწეობს.

დიდი მასწავლებლებისგან „დავალებულ” როლანდ თოფჩიშვილს დღეს უკვე თავად ჰყავს მოვალეები თავისი სტუდენტების სახით, თუმცა, ბატონი როლანდი ამას ჩვეული თავმდაბლობთ უარყოფს. თვლის, რომ მისი მოღვაწეობა ზღვაში წვეთია და ამ სფეროში შესასწავლი ჯერ კიდევ ბევრია... „მეცნიერი ვალდებულია წეროს!” — ასეთი კატეგორიულობით იგი თავად შეგვახსენებს თავის მისიას და იმედია, იმ გამოცდილებას, რაც საქართველოს ტერიტორიაზე „მოხეტიალე” მეცნიერმა დააგროვა, ახალი წიგნებით კვლავაც გაგვიზიარებს. მე შემიძლია უბრალოდ ვთქვა, რომ ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა...

***მოამზადა* ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲫᲕᲘᲚᲛᲐ**

კვლევა

სტრიქონებს შორის „გაპარული“ ეროვნული იდენტობის აქცენტები

პოსტსაბჭოთა ლიტერატურის მეცნიერული კვლევა სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მკვლევართათვის საინტერესო გახდა იმპულსები, რომელიც საბჭოთა რეჟიმისგან გათავისუფლებული ერების თვითგამორკვევასა და იდენტობაზე ახდენენ გავლენას. სწორედ ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში ეროვნული იდენტობის ძიება გახდა ფილოლოგიის დოქტორის, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის ნინო პოპიაშვილის კვლევის საგანი, რომლის შედეგებიც მან ასახა წიგნში — „ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში“ (დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ 2011 წელს).

ნინო პოპიაშვილი

მონოგრაფიაში შესწავლილია ქართული პოსტსაბჭოთა/ პოსტკოლონიური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები და ის ესთეტიკური თუ ისტორიული წინაპირობები, რომლებიც ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურას ქმნიდნენ. ცალკე თავები დაეთმო იდენტობისა და ლიტერატურის განსაზღვრას; ენობრივ, რელიგიურ, ეროვნულ, ტრადიციულ, კულტურულ იდენტობას; გამოკვეთილია საბჭოთა მასობრივი კულტურის როლი და ტოტალიტარული იუმორი; ასევე, 1989 წლის 9 აპრილის, როგორც გარდამტეხი თარიღის, როლი ეროვნული იდენტობის ახალი ტალღის შექმნაში. ცალკე ქვეთავები კი დაეთმო ეთნიკური კონფლიქტების თემას ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში და ქალი ავტორების როლსა და ადგილს იდენტობის ძიებაში.

ნიშანდობლივია, რომ წიგნის ავტორი მხოლოდ ქართულ ჭრილში არ განიხილავს ამ პრობლემას. იგი იკვლევს პოსტსაბჭოთა იდენტობას შავი ზღვის აუზის ქვეყნების დისკურსში, აანალიზებს იდენტობის პრობლემას გლობალურ ტრანსფორმაციებთან მიმართებაში, ასევე, გლობალიზაციის გავლენას და დასავლური ღირებულებების დამკვიდრებას ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში.

ავტორი საფუძვლიანად იკვლევს სათავეებსაც და უძველესი ძეგლებიდან მოყოლებული ილიას, ვაჟას, გალაკტიონის შემოქმედებაშიც პოულობს იმ შტრიხებს, რომელსაც შემდგომში მთელი პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურა ეყრდნობა. ტრადიციული ჩარჩოებიდან იგი გადმოინაცვლებს თანამედროვე მწერლობაში და გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ კომუნისტური წყობის დროს ახერხებდნენ ქართველი მწერლები და პოეტები სტრიქონებს შორის „გაეპარებინათ“ ეროვნული იდენტობის აქცენტები (მაგალითად, ავტორი წერს: „მუხრან მაჭავარიანი სწორედ კომუნისტური ცენზურის პირობებში ახერხებდა ეროვნული იდენტობის აქცენტირებას და მოჰყავს სტრიქონები: „ნაკუწ-ნაკუწ, ნაკუწ-ნაკუწ კი არა,/ ბარიანად, მთიანად,/ გაუმარჯოს საქართველოს მთლიანად“).

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს თავი: „ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა და ქალი-ავტორი“, სადაც ნინო პოპიაშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს ქალ-ავტორთა შემოქმედებას და ეძებს იდენტობის დამადასტურებელ პასაჟებს მათ შემოქმედებაში (კერძოდ, მიმოიხილავს, ნაირა გელაშვილის, ლია სტურუას, მარიამ ნანობაშვილის, ცირა ბარბაქაძის, კატო ჯავახიშვილის, ლელა სამნიაშვილის, ეკა ღაღანიძის, დიანა ანფიმიადისა და სხვათა შემოქმედებას).

თავისთავად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი 20 წელი თითქოს არაა ისტორიისთვის დიდი დრო, მაგრამ მოვლენების სწრაფად განვითარების გამო ამ პერიოდმა მეცნიერს კვლევისათვის მდიდარი მასალა დაუტოვა. ნინო პოპიაშვილმა 9 აპრილის პერიოდში ხეებზე გაკრული ლექსებიდან უკანასკნელ ხანს გამოცემულ წიგნებამდე სრულად მიმოიხილა ქართული ლიტერატურა და თავი მოუყარა სხვადასხვა ჭრილში დამუშავებულ ტექსტებს, რომელიც მოიცავს იდენტობის ძიების უამრავ ასპექტს — სათაურიდან ფრაზებამდე, ფაბულიდან პროლოგსა და ეპილოგამდე.

როგორც ჩვენთან საუბარში ქალბატონი ნინო პოპიაშვილმა განაცხადა, მისთვის იდენტობა ძალიან მრავალმხრივი და საინტერესო პრობლემაა, რამაც ჯერ კიდევ 2006 წელს დააფიქრა. „ამ წელს გერმანიაში, მიუნხენ-ერლანგენის უნივერსიტეტში მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც ჩემი თემა იყო პოსტსაბჭოთა კულტურა და პოსტსაბჭოთა იდენტობა. ამის შემდეგ უკვე იდენტობა, როგორც პრობლემა, დავუკავშირე ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურას და 2009 წელს სამეცნიერო ფონდში, იდეების კონკურსში შევიტანე წიგნის შექმნაზე განაცხადი. ეს იდეა, დაახლოებით, ერთი წლის განმავლობაში განიხილებოდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ექსპერტების მიერ და, საბოლოოდ, 2010 წელს მოიწონეს. მომეცა ერთი წელი, დამეწერა წიგნი ქართულ პოსტსაბჭოთა იდენტობაზე ქართული ლიტერატურის გათვალისწინებით. ეს იდეა განხორციელდა ახალგაზრდა მეცნიერთა საპრეზიდენტო გრანტის ფარგლებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით“, — განაცხადა ნინო პოპიაშვილმა.

წიგნი კომპლექსური და ყოვლისმომცველია. მისი გაცნობის შემდეგ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურა დამოუკიდებლობის კვლავმოპოვებიდან დღემდე უკვე ჩამოყალიბდა თავისი გარკვეული მიმართულებებით. ავტორის აზრით, პოსტსაბჭოთა იდენტობა რთული ფენომენია, რამდენადაც იწყება ახალ ღირებულებებზე ორიენტირება. ამდენად, მნიშვნელოვანია ქართულ ლიტერატურაში საკუთარი თავის ევროპის ნაწილად მოაზრება (ანუ ქართველი, როგორც ევროპელი), ამ იდენტობის შუქ-ჩრდილები და მკვეთრი მახასიათებლები. მაგალითად, როგორ ხვდებიან ქართველები ევროპაში; რამდენად იმკვიდრებენ თავს; რა ადგილი აქვს ამაში ყოფით დეტალებს — ჩვენს წეს-ჩვეულებებს, რომელიც დასავლეთისთვის ძალიან რთულად გასაგები და ხანდახან გაუგებარია, ჩვენს სამზარეულოს, ჩვენს ერთმანეთთან დამოკიდებულებას... ასევე, საინტერესოდ არის განხილული პრობლემა ქურდული რომანტიზმისა და ქურდული იდენტობის შესახებ. „ძალიან მნიშვნელოვანი და უცნაურია, რომ ეს მენტალიტეტი საბჭოთა სივრცეშიც არსებობდა და პოსტსაბჭოთა ქართულ რეალობაშიც გამძაფრებულად არსებობს, ამიტომაც ის, როგორც ჩვენი ცხოვრების ყოფითი დეტალი, ასახულია ქართულ თანამედროვე მწერლობაშიც“, — აღნიშნავს ნინო პოპიაშვილი.

წიგნი „ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში“, უკვე შეიძლება შევიძინოთ წიგნის მაღაზიებში. მისი გაცნობა და მასში მოცემულ პასაჟებზე მსჯელობა კი მხოლოდ ახლა იწყება. ეს ის პროცესია, რომელიც მეცნიერს საკითხში კიდევ უფრო ღრმად ჩახედვის სურვილს უღვიძებს.

დისკუსია იდენტობის გამოვლენის საკითხებზე ქართულ პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში იწყება!

მოამზადა მაია ტორაძემ

60 ათასი ინგლისურენოვანი წიგნი საჩუქრად

სულ მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება ამერიკული წიგნის კლუბი, რომელიც, ამ ეტაპზე, 60 000 წიგნით შეივსება. დაინტერესებული მკითხველი ამ ბიბლიოთეკაში გაეცნობა მეცნიერების სხვადასხვა დარგის ლიტერატურას, რომელთა შორისაა ისტორია, პოლიტოლოგია, მედიცინა, ქიმია, მათემატიკა, სამართალი, ბიზნესი, ეკონომიკა. აქვე იქნება მხატვრული ლიტერატურის ფართო არჩევანი, ასევე, მრავალტომეული ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკიდან, ინგლისური ენის სასწავლო ლიტერატურა და პოპულარული პერიოდული გამოცემები, ისეთი, როგორიცაა „ატიონალ ეოგრაპჰიც“-ის ყველა ნომერი 1938 წლიდან დღემდე. ბიბლიოთეკით სარგებლობა უფასო იქნება და იგი მოემსახურება ყველა დაინტერესებულ ადამიანს.

ამერიკული წიგნის კლუბის გახსნის იდეა გაჩნდა 2009 წელს, როცა ჟურნალისტი მარინე ნარჩემაშვილი ედუარდ მაროუს სახელობის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიზიტის ფარგლებში მან გაიცნო ქალაქ ალკოას სავაჭრო აგენტი სტივენ ჰილისი, რომელმაც სურვილი გამოთქვა, დახმარებოდა საქართველოს საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაში. სწორედ ამის შემდეგ დააარსა ქალბატონმა მარინე ნარჩემაშვილმა თბილისში არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განათლებისა და სოციალური თანასწორობის ცენტრი“, რომლის ეგიდითაც ამერიკული წიგნის კლუბის გახსნის პროექტი განხორციელდა.



პროექტის განხორციელებაში, „სამოქალაქო განათლებისა და სოციალური თანასწორობის ცენტრის“ გარდა, ქართული მხრიდან მონაწილეობდა თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან — ამერიკის ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფი, ბლაუნთ ქაუნთის დაძმობილებული ქალაქების პროგრამა და ქალაქ ალკოას მუნიციპალიტეტი.

პროექტის მენეჯერის, მარინე ნარჩემაშვილის თქმით, ამერიკელი ხალხის უანგარო დახმარებამ ფასდაუდებელი შედეგი გამოიღო. „ამ პროექტის შესახებ არა ერთი სტატია დაიბეჭდა ამერიკის პრესის ფურცლებზე. სტატიებს ამერიკელი ხალხის დიდი გამოხმაურება მოჰყვა – ისინი უკავშირდებოდნენ სტივენ ჰილისს და სთავაზობდნენ როგორც წიგნებს, ასევე ფულად დახმარებას მათი ტრანსპორტირებისთვის. ზოგიერთმა უნიკალური ენციკლოპედიების ტომეულებიც კი გაიმეტა“, — განაცხადა ქალბატონმა მარინე ნარჩემაშვილმა.

ბატონი სტივენ ჰილისი პროექტს „ცვლილებებისა და განვითარების გადამდებ შესაძლებლობას“ უწოდებს და აცხადებს, რომ ქართველი ხალხის დასახმარებლად არაერთი ამერიკული კომპანია ჩაერთო.

ამერიკელი ხალხისა და პროექტის ავტორებისადმი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელსაც მიაჩნია, რომ ფართო პროფილის ლიტერატურა, რომელიც მალე თსუ-ში დაიდებს ბინას, შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს, ეზიარონ უახლეს მეცნიერულ და დარგობრივ მიღწევებს, ასევე, გაეცნონ ამერიკულ მხატვრულ ლიტერატურას და გაიღრმავონ ინგლისური ენის ცოდნა.

60 ათასამდე ამერიკული წიგნი უკვე გამოგზავნილია და თბილისელ მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ ამ უნიკალური ბიბლიოთეკით ისარგებლონ და უკეთ გაეცნონ ამერიკის მეცნიერულ და ლიტერატურულ მიღწევებს.

საქართველოს გაქრისტიანების თარიღის დასაბუთებისთვის

ან გარდაცვლილი უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ ქურდიანისა და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ეკა ვარდოშვილის ავტორობით ახლად გამოცემულმა მონოგრაფიამ „წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარადიგმული და სინტაგმატური ასპექტები“ მეცნიერულ წრეებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

წიგნის ავტორებს აინტერესებდათ — რამდენად ტრადიციულად აისახება ქრისტიანული სახისმეტყველებითი პარადიგმები აკაკი წერეთლის ნაკლებად ცნობილ ორ პოემაში: „წმინდა ანდრია პირველ-წოდებული“ და „წმინდა ნინო“.

პროფესორ მიხეილ ქურდიანს სიცოცხლეშივე ჰქონდა ვარაუდი, რომ ქართლის მოქცევის თარიღია 326 წელი. ამის მეცნიერულად დასაბუთება სრული სახით მკვლევარმა ვერ მოასწრო. მას სწორედ ამ წიგნში უნდოდა ამის ასახვა. იგი ფიქრობდა, რომ მეორე ვრცელ გამოცემაში სრულყოფილად შეეხებოდა აღნიშნულ საკითხს. რაც შეეხება წიგნს „წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარადიგმული და სინტაგმატური ასპექტები“, მასში ავტორებმა: ეკა ვარდოშვილმა და მიხეილ ქურდიანმა დაასაბუთეს, რომ როდესაც აკაკი წერეთელი წმინდა ნინოს ცხოვრების პოეტურ ვერსიას ქმნიდა, სარგებლობდა წმინდა ნინოს ცხოვრების მაშინ ცნობილი ხუთივე რედაქციით და რომ პოეტმა გაითვალისწინა ის ბიბლიურ-ქრისტიანული ტრადიციები, რითაც ნასაზრდოებია როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული მწერლობა.

მონოგრაფია განკუთვნილია ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტთათვის, საუნივერსიტეტო განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის და მკითხველთა ფართო წრისათვის. მისი შინაარსობრივი ასპექტების გაცნობის პირველი მცდელობა გახლდათ წიგნის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ოფისში შედგა. სხდომას რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე დავით ტაკიძე უძღვებოდა, რომელმაც წიგნის პრეზენტაცია მიხეილ ქურდიანის გახსენების პათოსით კი არ წარმართა, არამედ მოწვეულ სტუმრებთან ერთად ისაუბრა წიგნის ავტორთა შემოქმედების არსის მარად სიცოცხლისუნარიანობაზე.

ეკა ვარდოშვილი

სიცოცხლის დღე

„წიგნის პრეზენტაცია ჩვენი მეგობრის — მიხეილ ქურდიანის ხსოვნის დღედ არ მინდა ვაქციო, პირიქით, ეს არის სიცოცხლის დღე, რამდენადაც ყველა ხელოვანი ცოცხლობს თავის წიგნში და ეს წიგნიც ჩვენს წინაშეა. თუმცა მაინც ვერ ავცდებით, ვისაუბროთ იმ ფენომენზე, რასაც ქართულ სამეცნიერო თუ კულტურულ სივრცეში მიხეილ ქურდიანის სახელი ერქვა. რუსთაველის საზოგადოება მხოლოდ წიგნის პრეზენტაციით არ დაამთავრებს მისი სახელის უკვდავყოფას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, გელათის აკადემიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთიანი ძალისხმევითა და საპატრიარქოს თანადგომით ჩვენ შემოდგომაზე გავმართავთ დიდ საღამოს, რომელიც მიხეილ ქურდიანის ხსოვნას მიეძღვნება.

ჩემთვის საოცარი იყო ეს ადამიანი, რამდენადაც მას ჰქონდა ენციკლოპედიური განათლება, იყო მუდმივად სიახლის მაძიებელი და ნებისმიერ სფეროში ორიგინალური ნიშნით თუ თავისუფლების მაღალი ხარისხით დაღდასმული პიროვნება. ამდენად მისი შემოქმედების ნაყოფიც ყველასთვის მუდამ საინტერესოა. ამის თქმის სრულ უფლებას მაძლევს ყველა მისი ჩანაწერი, რაც კი მას დაუტოვებია და თუნდაც ის წიგნი, რომელიც მიხეილ ქურდიანმა ეკა ვარდოშვილთან ერთად დაწერა", — აღნიშნავს საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე **დავით ტაკიძე**.

განხორციელებული იდეა

„წიგნის დაწერის იდეა მომდინარეობდა ბატონ მიხეილ ქურდიანისგან. მე ქედს ვიხრი მისი ნათელი ხსოვნის, მისი ნიჭიერების წინაშე და გული მწყდება, რომ იგი გულნაკლული წავიდა ამ ქვეყნიდან.

ეს წიგნი არის ჩემი და ბატონი მიშას დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შედეგი. სტუდენტობის პერიოდიდან მე ვმუშაობდი რელიგიურ საკითხებზე, როგორც ძველ, ასევე, ახალ ქართულ ლიტერატურაში. ჩემი სადიპლომო ნაშრომის სათაური იყო „წმინდა ნინოს ცხოვრების ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობისათვის", შემდეგ კი დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რელიგიური ნაკადი ილია ჭავჭავაძის ლირიკაში", რომელიც გადამუშავებული სახით თსუ-ის გამომცემლობამ დამხმარე სახელმძღვანელოდ 2003 წელს გამოსცა. სადოქტორო დისერტაციის თემა გახლდათ „ქრისტიანული სახისმეტყველებითი პარადიგმები XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში". მიხეილ ქურდიანი იცნობდა ჩემს შრომებს, მოსწონდა კვლევის სტილი და საკითხთა ახლებურად გააზრების მეთოდი. 2007 წელს სხალთაში გაიმართა კონფერენცია თემაზე — „წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზით", სადაც წარვადგინე მოხსენება: „ჯვარსახოვნებისათვის XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში". სწორედ სხალთაში შემომთავაზა ბატონმა მიხეილმა დაგვეწერა წიგნი, რომელიც შეეხებოდა აკაკი წერეთლის პოემების „წმინდა ანდრია პირველწოდებულისა" და „წმინდა ნინოს" სახისმეტყველებით საკითხებს.

დღეს ჩვენ გვაქვს „წმინდა ნინოს ცხოვრების" ხუთი ქართული რედაქცია: შატბერდული, ჭელიშური, ლეონტი მროველისეული „წმინდა ნინოს ცხოვრება" „ქართლის ცხოვრებიდან", არსენ ბერისეული და უცნობი ავტორის XIII საუკუნის ძეგლი. ამ რედაქციებიდან უძველესი შატბერდულ-ჭელიშურია ანუ „მოქცევაი ქართლისაი". თავისთავად, ეს ორი რედაქციაა ამოსავალი წყარო დანარჩენი სამისათვის, მაგრამ არ უნდა გამოვცირხოთ,

მიხეილ ქურდიანი

რომ „წმინდა ნინოს ცხოვრების" თავდაპირველი რედაქცია IV საუკუნის შუა ხანებში შექმნილიყო.

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელმა ცალ-ცალკე პოემები მიუძღვნა ქართლის ქრისტიანიზაციის პირველ ორ ძირითად ეტაპს. კერძოდ, 1. ანდრია მოციქულის მიერ ქრისტეს სჯულის ქადაგებას. პოემის ქვესათაური ასე იკითხება: „ისტორიული პოემა", რაც მიგვანიშნებს, რომ აკაკი ისტორიული წყაროებით სარგებლობდა და 2. პოემა „წმინდა ნინო" — ქტისტიანიზაციის მეორე და უმთავრესი ეტაპის ამსახველი ნაწარმოები, რომლის ქვესათაური ასეთია: „ქრისტიანობის შემოღება საქართველოში". პოემა „ანდრია პირველწოდებული" 1884 წელსაა დაწერილი, პოემა „წმინდა ნინო" კი 1905-1906 წლებში. აკაკი თავის პუბლიცისტურ წერილებშიც არაერთხელ ახსენებს ანდრია მოციქულსა და წმინდა ნინოს.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ როდესაც აკაკი წერეთელი „წმინდა ნინოს ცხოვრების" პოეტურ ვერსიას ქმნიდა, მას ხელთ ჰქონდა „წმინდა ნინოს ცხოვრების" ხუთივე რედაქცია. მაგალითად, კერპთა სახელების მოხსენიებისას, მეფის ნადირობისა და მზის დაბნელების ეპიზოდების გადმოცემისას აკაკი სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ლეონტი მროველისეულ „წმინდა ნინოს ცხოვრების" რედაქციას, ხოლო ვაზის ჯვრის პარადიგმული სახის შესწავლისას ნათელი გახდა, რომ პოემა თანხვედრას ავლენს არსენ ბერისეულ და უცნობი ავტორის XIII საუკუნის ძეგლთან. მოვლენათა ქრონოლოგიის დაცვისას კი მწერალი ყველაზე მეტ თანხვედრას შატბერდულ-ჭელიშურ, განსაკუთრებით კი „ქართლის ცხოვრებაში" მოთხრობილ ლეონტი მროველისეულ რედაქციასთან ავლენს. ქრისტიანული პარადიგმების შესწავლისას პოემაში განსაკუთრებით გამოიკვეთა ღვთისმშობლის, წმინდა ნინოსა და ვაზის ჯვრის სახისმეტყველება.

ამრიგად, ის პარადიგმები, ქრისტიანული სახისმეტყველების ის ფორმები, რაც მომდინარეობდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, აისახებიან როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულ ლიტერატურაში", — აღნიშნა წიგნის ავტორმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა **ეკა ვარდოშვილმა**.

ავტორთა კონცეფცია

„მე პირადად ვიცი, თუ როგორ იქმნებოდა ეს წიგნი, რომელიც ავტორთა მიერ რელიგიურ საკითხებზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. პირველ რიგში, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ იმ გარემოების სირთულე, რასაც ჰქვია ანდრია პირველ-წოდებულისა და წმინდა ნინოს ცხოვრების ერთმანეთთან შეჯერება და ორი სულ სხვადასხვა ეპოქის ძეგლის ერთმანეთთან დაკავშირება — ამ ამოცანას ავტორებმა შესანიშნავად გაართვეს თავი. მინდა ვთქვა, რომ ეს ნაშრომი მიხეილ ქურდიანის აზროვნების ერთ-ერთი საინტერესო და უკანასკნელი შემოთავაზებაა. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში იგი ცდილობს შემოიტანოს კომპარატივისტიკის სფეროდან მეტ-ნაკლებად ზუსტი ტერმინოლოგია და ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებული ესსეისტური სტილი და მიდგომა. ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევის სფეროში მოქცევა უაღრესად საინტერესოა და საჭირო იქნება, ჩვენ ახალ თაობასაც ვაჩვენოთ ნაშრომში ასახული მეთოდური წანამძღვრები, მითითებები და ავტორთა მიერ შემოთავაზებული კონცეფცია.

ავტორები შესავალშივე ცდილობენ თვით ტერმინოლოგიის განმარტებას — თუ რას ვგულისხმობთ სახისმეტყველებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ტერმინების ახსნაზე, რომელიც მიღებულია ენათმეცნიერებაში და მეტ-ნაკლებად შემოტანილია ლიტერატურათმცოდნეობაშიც.

წიგნში — „წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარადიგმული და სინტაგმატური ასპექტები" ახალი კუთხითაა დანახული საქართველოში წმინდა ნინოს შემოსვლასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტი, რომელიც არის არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეების, არამედ რელიგიის ისტორიის და, პირველ რიგში, საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა კვლევის საგანი. ლიტერატურის თვალსაზრისითაც, მასში ნათლად არის წარმოსახული, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს ქრონოლოგიურად „წმინდა ნინოს ცხოვრება" პირველ ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებად. რა თქმა უნდა, ეს არ არის ამ ავტორთა პირველი დასაბუთება. ამაზე ჩვენი მეცნიერები ხანგრძლივად მუშაობდნენ. განვითარებული იყო მრავალი თვალსაზრისი, როგორც ჩემს, ასევე რევაზ სირაძისა და ზურაბ კიკნაძის მიერ, თუმცა ეკა ვარდოშვილისა და მიხეილ ქურდიანის ავტორობით გამოსულ წიგნში ნათლად არის წარმოჩენილი ყველა პრობლემური საკითხი, რაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდით არის ნაჩვენები. ავტორები ეხებიან როგორც წმინდა ისტორიულ, ასევე რელიგიის ისტორიის პრობლემატიკას. კვლევისას ისინი იცავენ ქრონოლოგიას, როდის უნდა მოსულიყო წმინდა ნინო საქართველოში და როდის უნდა მომხდარიყო საქართველოს გაქრისტიანება, რაც უკავშირდება მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ პრობლემატიკას, თვით სომხეთის გაქრისტიანების საკითხსაც კი", — აღნიშნა გამოცემული წიგნის რედაქტორმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა **ელგუჯა ხინთიბიძემ**.

„წიგნის წაკითხვის შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი რაღაც ვისწავლე და შევიძინე. მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდა 337 წელს, ავტორებს კი დასაბუთებული აქვთ, რომ ქრისტიანობა 326 წელს გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. ეს ჩემთვის აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ წიგნში ისეა დასაბუთებული, რომ არ შეიძლება, ყველა ამ აზრზე არ დადგეს", — აღნიშნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა **როლანდ თოფჩიშვილმა**.

ელენე ქურდიანი

სიცოცხლე გრძელდება... მიხეილ ქურდიანის ნაღვაწს წლები კვლავაც გამოავლენენ და ეს მოსალოდნელია მით უფრო, რომ მის ნიჭიერებას ბევრი შემფასებელი და დამფასებელი ჰყავს დღესაც. მას ეზრდება პატარა ელენე, რომელმაც იცის, ვინ არის მისი მამა – რომელიც დღეს სხვადასხვა „კედლიდან" ხან საქმიანი გამომეტყველებით, ხან კი მეგობრული ღიმილით იმზირება. მიხეილ ქურდიანის გარდაცვალებიდან ერთი წელი სრულდება და იმედია, საუნივერსიტეტო საზოგადოება მისი ხსოვნის პატივსაცემად თავის სიტყვას იტყვის. მას ხომ ეს ნამდვილად დაუმსახურებია...

მოამზადა
ნინო კაკულიამ

სიმართლის და სამართალის „დარაჯად“ ევროპაში

ირაკლი სამხარაძე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია სტუდენტთა გაცვლითი სამუშაო პროგრამების სფეროში. იგი ამ პოსტზე მიმდინარე წლის აპრილში, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის საერთო კრებაზე აირჩიეს. მას მოვალეობის შესასრულებლად ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის სათავო ოფისში უწევს მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ენატრება თავისი მეგობრები და ქვეყანა, ფიქრობს, რომ მათთვის ახლა უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს, ვიდრე საქართველოში ყოფნის პერიოდში. გთავაზობთ ინტერვიუს, სადაც მკითხველს საშუალება ექნება უკეთესად გაიცნოს ის ახალგაზრდა კადრი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უმაღლესი განათლების დაუფლებასთან ერთად, სხვა სტუდენტების პროფესიულ ზრდაზეც ზრუნავდა და თსუ-ის სტუდენტის „სახეც“ გახდა.

ნატო ოგოლაძე

— როგორ მიმდინარეობს შენი მოღვაწეობა ბელგიაში?

— მიმდინარე წლის აპრილში, პოლონეთში გამართულ ასოციაციის საერთო კრებაზე ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს, რაც საერთაშორისო ბორდის (გამგეობა) წევრობას გულისხმობს. ამ პოსტზე მუშაობა ძალიან სასიამოვნო და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაცაა. ჩემი, როგორც ელსა-ს ვიცე პრეზიდენტის, უმთავრესი ფუნქციაა კოორდინაცია გავუწიო, ევროპის მასშტაბით, 2 კვირიდან 2 წლამდე ფასიანი სტაჟირების ორგანიზებას, ევროპელ სტუდენტებს ვთავაზობ სასურველ სამუშაო ადგილებს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების იურიდიულ კომპანიებსა თუ ინსტიტუციებში, რაც მათ პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს. ამ მხრივ, ჩემი მთავარი გამოწვევაა კომუნიკაცია ევროპის საბჭოსთან, რომელიც ჩვენი ასოციაციის პარტნიორი ორგანიზაციაა. შესაბამისად, ყოველწლიურად მოგვეძებნება სამუშაო ადგილები ევროპის საბჭოში. გარდა ამისა, ვთანამშრომლობთ უდიდეს ამერიკულ იურიდიულ კომპანია „butcel long“-თან, ირლანდიურ იურიდიულ ფირმა „ართურ კოქს“-თან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან, საერთაშორისო ფარმაცევტულ ფედერაციასთან, მსოფლიოს იურიდიულ კომპანიათა ქსელ „სიემეს“-თან, ევროპის საავტორო უფლებათა დაცვის ორგანიზაციასთან და ა. შ.

— იღებენ თუ არა უკვე ქართველი სტუდენტები გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას ელსას საშუალებით?

— რა თქმა უნდა, ქართველი სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მსგავსი სახის სამუშაო პროგრამებში. 15 სექტემბერს 4 ქართველი სტუდენტის მონაცემები ევროპის საბჭოში უკვე გადაგზავნეთ, რათა მათ იქ სტაჟირების უფლება მოიპოვონ. მთელი წლის განმავლობაში ჩემი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქართველი სტუდენტების გაცვლით პროგრამებში აქტიური ჩართვის ხელშეწყობა იქნება.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ერთი წლის განმავლობაში იმუშავებ ბრიუსელში, რა გეგმები გაქვს სამომავლოდ?

— ჩემი თანამდებობა ძალაში 2011 წლის 1 აგვისტოდან შევიდა, ხოლო მუშაობას 2012 წლის 31 ივლისს ვამთავრებ. ერთი წლის შემდეგ სამშობლოში აუცილებლად დავრბუნდები, რადგან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ვმოღვაწეობ და ახალი იდეებითა და შემართებით ჩემს სამსახურში დაბრუნება ძალიან მხიბლავს.

— როგორც იურისტისთვის, რას ნიშნავს შენთვის კანონი?

— ჩემთვის კანონი უზენაესია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის სიმართლეზეა დაფუძნებული. იურიდიულ წრეებში საკმაოდ ხშირია სიმართლისა და სამართლის კოლიზიაზე მსჯელობა, მაგრამ, სწორედ, ასეთი დეტალები ხდის ჩემთვის სამართალს საინტერესოს. სამწუხაროდ, არსებობს უზნეობაზე დამყარებული კანონიც, რომელსაც არასდროს არ ვცემ პატივს — ასეთ კანონს ან შევებრძოლები, ან გავეცლები. კანონი ჩემთვის არ არის ჩარჩო — მოქმედების გარკვეული არეალი. თუ კარგი იურისტი ხარ, ისიც გეცოდინება, თუ როგორ უნდა განმარტო კანონი მაქსიმალური თავისუფლების მოსაპოვებლად, თუმცა იმასაც კარგად უნდა აცნობიერებდე, სად მთავრდება შენი უფლება და სად იწყება სხვისი.

« არსებობს უზნეობაზე დამყარებული კანონიც, რომელსაც არასდროს არ ვცემ პატივს — ასეთ კანონს ან შევებრძოლები, ან გავეცლები.

— თვლი თუ არა, რომ მორალი კანონზე მაღლა დგას...

— რთული შეკითხვაა. შეუძლებელია ცალსახა პასუხის გაცემა, რადგან კანონისა და მორალის შესატყვისი ერთიანი კრიტერიუმი არ არსებობს. სამართალი, ეს არის ზოგადსავალდებულო წესების ერთობლიობა, რომლებიც სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ, ხოლო მორალი არის ქცევის წესები, რომელიც არსებობს საზოგადოებაში და, კანონისაგან განსხვავებით, მათი დარღვევისას საზოგადოებრივი გაკიცხვის გარდა არანაირი სანქცია არ არის დაწესებული. სამწუხაროდ, ხშირია წინააღმდეგობრივი კოლიზია მათ შორის, მისი დაძლევისთვის კი სწორი აზროვნება და მიდგომაა საჭირო. მე მაინც თანაბარ დონეზე ვაყენებ მორალსა და კანონს. ვფიქრობ, მორალი კანონზე მაღლა უნდა იდგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებაზეა დამყარებული. კანონს ხალხი ქმნის სწორედ იმ მორალით, რითაც აღიზარდა.

— როგორ ფიქრობ, კანონმორჩილია თუ არა ქართული საზოგადოება?

— ქართული საზოგადოება ყოველთვის იყო კანონმორჩილი, თუმცა გამონაკლისები ყოფილა და იქნება. საქმე ისაა, რომ ეს გამონაკლისები ვერასოდეს ქმნიან ამინდს, რადგან მათი შეხედულებები ხალხისას არ ემთხვევა. კანონს ძალას კი მხოლოდ ხალხი აძლევს. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული საზოგადოება კანონმორჩილია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერასოდეს მივაღწევთ იმ საერთო წესრიგს, რასაც ძლიერი სახელმწიფო ჰქვია.

— შენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სტუდენტი ხარ, რას ურჩევდი სხვა სტუდენტებს? რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ იურიდიულ სფეროში წარმატებას მიაღწიონ?

— სტუდენტებს ახალგაზრდული წლების მაქსიმალურად გამოყენებისაკენ მოვუწოდებ, რათა სასურველ მიზანს მიაღწიონ. ძნელია კონკრეტული რჩევის მიცემა, რადგან თითოეული ადამიანი საკუთარ მისწრაფებას თავისებურად აღიქვამს. ერთი რამ, რაც ნამდვილად მინდა ვურჩიო, ესაა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება, რათა საჭირო ცოდნას დაეუფლონ. იურიდიული განათლების ზღვა იმდენად უკიდეგანოა, რომ მისი დაძლევა გამოცდილ მოცურავესაც უჭირს და ამიტომ თავდაუზოგავი შრომაა საჭირო.

— როგორც ვიცი, საკმაოდ ბევრი მეგობარი გყავს, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი. როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

— ჩემი თავისუფალი დრო ჩემს მეგობრებთან ასოცირდება. ზოგჯერ მიჭირს სამსახურთან ამ ყველაფრის შეთავსება, თუმცა „თუკი რაიმე გულით გწადია, მთელი სამყარო გეხმარება მის შესრულებაში“.

საჩუქარი აფხაზებს

გამოიცა XIX საუკუნის აფხაზეთის ამსახველი ფოტოალბომი

„აფხაზეთი XIX საუკუნე — ფოტოებში, სურათებსა და ჩანახატებში“ — ეს არის წიგნი, რომელიც 10 წლის განმავლობაში მზადდებოდა ენგურს გადმოღმა თბილისში და რომლის საშუალებითაც მკითხველს XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის შესახებ საინტერესო მასალების გაცნობა შეუძლია. გამოცემა ქართველ და აფხაზ მკითხველზეა გათვლილი და, შესაბამისად, ქართულ და აფხაზურ ენებზეა შედგენილი. ყველა ფოტო, სურათი თუ ჩანახატი მუზეუმებსა და პირად არქივებშია მოძიებული, წიგნში სულ 300-მდე ისტორიული ღირებულების მქონე დოკუმენტი შევიდა, მათ შორისაა ერმაკოვისა და როინაშვილის ფოტოები, გაგარინისა და აივაზოვსკის ჩანახატები, ჰორშელტის ნახატები... განსაკუთრებით საინტერესოა ფოტოები, რომელზედაც თავადი გიორგი შერვაშიძე „ვეფხისტყაოსნის“ თეატრალურ დადგმაში მონაწილეობს და ტარიელის კოსტიუმით არის წარმოდგენილი, ასევე, მომდევნო ჩანახატი-შარჟი, სადაც იგივე პიროვნება გალიაში, სამყაროსგან მოწყვეტილი წიგნებში ჩაფლულია გამოსახული. წიგნში „აფხაზეთი XIX საუკუნე“ შესულია 1903 წელს ქალაქ გაგრის საზეიმო გახსნის შემდეგ თავად შერვაშიძეების ეზოში გადაღებული ფოტო, რომელზეც ილია ჭავჭავაძე ქართულ თეატრალურ დასთან ერთად არის გადაღებული. ეს ისტორიული დოკუმენტი ღირებულია იმითაც, რომ, სწორედ ამ დღეს, ილიამ განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვა წარმოსთქვა.

წიგნის გამოცემა, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ერთგვარი წინ გადადგმული ნაბიჯია. იგი 4 ნაწილისაგან შედგება: აფხაზეთის სამთავრო სახლი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომები მუჰაჯირობა; დასახლებული ადგილები და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები; ეთნიკურ-სოციალური ტიპები და ყოფა-ცხოვრება, საცხოვრებელი სახლები, მეურნეობის დარგები; განათლება, მეცნიერება, საზოგადო მოღვაწეები. ფოტოალბომს თან ერთვის საძიებელიც. „აფხაზეთი XIX საუკუნე“ თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და ქართულ აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ მომზადდა და საქართველოში ლიტვის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ქალაქ ვილნიუსში დაისტამბა. მისი ტირაჟი 1500 ეგზემპლარია, აქედან 50 წიგნი საჩუქრად აფხაზ საზოგადოებას უკვე გადაეცა. აღსანიშნავია, რომ წიგნის გამოცემა განაპირობა აფხაზი საზოგადოების თხოვნამ ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა ინსტიტუტისადმი, დახმარებოდნენ ომის შედეგად განადგურებული კლულტურული მემკვიდრეობის მოძიება—აღდგენაში. „აფხაზეთი XIX საუკუნის“ შემდგენელი ამავე ინსტიტუტის წევრი თეო ქიცბა გახლავთ, მისი მთავარი რედაქტორ კი ნინო ბერძენიშვილია.



გამოცემას „აფხაზეთი ფოტოებში, სურათებსა და ჩანახატებში — XIX საუკუნე“ მეცნიერული დანიშნულება გააჩნია. წიგნი XIX საუკუნის აფხაზეთის გასაცნობად ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციასაც ითავსებს და მისდამი ინტერესი ენგურს გადაღმა დღითი-დღე იზრდება. როგორც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორმა და ამ პროექტის ხელმძღვანელმა ზურაბ შენგელიამ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, აფხაზეთში წიგნზე მოთხოვნა დიდია, მაგრამ ტირაჟის გაზრდა ფინანსური პრობლემების გამო, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება, თუმცა კი აუცილებელია.

„ვფიქრობ, კულტურული ურთიერთობები არის ის თემა, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს მოიცავს. აფხაზები თავისი ეთნოკულტურული სივრცის გაქრობის წინაშე დგანან, ჩვენ კი მათზე მონათესავე ეთნოსი არ გვყავს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ და ერთმანეთი შევავსოთ. ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელსაც სახელმწიფო ვალდებულება გააჩნია აფხაზური კულტურის მიმართ და მის განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ.

ომის ყველაზე უარყოფითი შედეგი არის ის, რომ დაიწყო ორ ეთნოსს შორის გაუცხოების პროცესი, მაგრამ 2008 წლის შემდეგ აფხაზმა საზოგადოებამ უფრო დაინახა რა უჭირთ და რა სჭირდებათ... სწორედ ამიტომ, იმედი მაქვს, რომ ომის ნალექები მალე აღმოიფხვრება“, — გვითხრა თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორმა ზურაბ შენგელიამ.

ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობების გასაღრმავებლად თსუ-ის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სამეცნიერო-კვლევით ცენტრში კიდევ რამდენიმე პროექტი მზადდება. ცენტრი თსუ-ში აფხაზური კაბინეტის დაარსებას გეგმავს, სადაც თანამედროვე აფხაზეთის ამსახველი ექსპოზიციები განთავსდება. ასევე, იგეგმება აფხაზურ ენაზე თარგმნილი, ქართული შრიფტით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია, რომელიც 1941 წელს გამოიცა. თარგმანი ცნობილ აფხაზ საზოგადო მოღვაწეს — მიხა დელბას ეკუთვნის. მიმდინარეობს მუშაობა აფხაზური ენის ზეპირმეტყველების სასწავლო კურსის მოსამზადებლადაც, იქმნება ვიდეო და აუდიო მასალა. მნიშვნელოვანია, რომ პარალელურ რეჟიმში სოხუმში სასწავლო პროგრამაზე მუშაობს სოხუმის უნივერსიტეტის ორი პროფესორ-მასწავლებელი. მათ თავად გამოთქვეს თბილისში ლექციების ჩატარების სურვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლექციებიც, რომლის მიზანიც სტუდენტებისთვის თანამედროვე აფხაზეთის გაცნობა იქნება.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

მთავარი რედაქტორი	**ნინო კაკულია**	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი სპეციალისტი	**მაია ტორაძე**	**რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი**	
ტექნიკური რედაქტორი	**მანანა ჯურხაძე**		
ფოტოკორესპონდენტი	**ლიკა პეტრიაშვილი**		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	**ზაზა გულაშვილი**		2 22 36 62